CMYK - 1

www.24saati.ge

# 24 საათი

The New York Times
International Weekly
ყოველ სამშაბათს

© გაზეთი 24 საათი | სამშაბათი 10 თებერვალი, 2009 წელი. №28 (2066) | ფასი 50 თეთრი

იხილეთ ჩანართი


The New York Times
Audacity in Shirt Sleeves

ორი ჯორჯიის გენერალი
A6



კარიკატურები ახალი წიგნებიდან
A9



# "გაქედილნი"

ეკა კვესიტაძე

რამდენიმე დღის წინათ ცენტრალურ მაგისტრალზე ოსურმა ბანდფორმირებამ მანქანა დააყაჩაღა და ადამიანი გაიტაცა. მართალია, მალხაზ ბეუფლიშვილი რამდენიმე დღეში გაათავისუფლეს, მაგრამ ეს ინციდენტი გაცილებით უფრო საგანგაშოა, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს - საქმე ქვეყნის მთავარი მაგისტრალური გზის ანუ თითოეული ჩვენგანის პირად და ქვეყნის ეკონომიკურ უსაფრთხოებას ეხება.

რუსების მიერ კონტროლირებად სამხრეთ ოსეთის ტერიტორიას აღმოსავლეთ-დასავლეთ გზატკეცილამდე მხოლოდ რამდენიმე კილომეტრი აშორებს; ამიტომ, მანძილის თვალასაზრისით, ოსური ბანდფორმირებების გზატკეცილზე გადმოსვლა პრობლემა არ არის. პრობლემა ის არის, შეუძლია თუ არა არსებულ სიტუაციაში საქართველოს ხელისუფლებას ამ გზის და შესაბამისად, საკუთარი მოსახლეობისა და ქვეყნის ეკონომიკის უსაფრთხოების დაცვა.

მაგრამ დღეს არა მხოლოდ მთავარი მაგისტრალის, არამედ მთალიანად სახელმწიფო უსაფრთხოება ისეთივე მოწყვლადია, როგორც აგვისტოს ომის დროს. სტატუსკვო იგივეა. დასავლეთის სიტყვიერი მხარდაჭერა საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთის გამაგრებულ პოზიციებს ვერაფერს აკლებს. კრემლის თვითდაჯერებული ტონი არ იცვლება, განსაკუთრებით იმ ფონზე, როდესაც ევროპის გავლენიანი ლიდერებისათვის რუსეთთან მეგობრობის აღდგენა ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტად იქცა.

ამ სურვილების დემონსტრირება კიდევ ერთხელ მოხდა მიუნხენის ყოველწლიურ კონფერენციაზე, სადაც მოუთმენლად ელოდნენ ამერიკის ახალი ადმინისტრაციის მესიჯს, რომელიც ევროპელი მეგობრებისთვის გერმანიაში ჯო ბაიდენს უნდა ჩაეტანა. ეს გზავნილი კი ასე ჟღერდა - "ამერიკა უფრო მეტს გააკეთებს, მაგრამ ამერიკა თავისი პარტნიორებისგანაც უფრო მეტს მოელის".

გაგრძელება A3 გვერდზე

# მიუნხენი: ობამას საგარეო პოლიტიკის პირველი წარდგენა და საქართველოს დიდი მხარდაჭერა

დევიდ ჯ. სმიტი
*სპეციალურად "24 საათისთვის"*

გასული კვირის ბოლოს მიუნხენში გამართულმა 45-ე საერთაშორისო უსაფრთხოების კონფერენციამ მსოფლიოსთვის პირველად თვალსაჩინო გახადა შეერთებული შტატების პრეზიდენტ ბარაკ ობამას საგარეო პოლიტიკის მიმართულებები. კონფერენციის მონაწილეებმა, რომელთა უმრავლესობასაც ევროპული აუდიტორია წარმოადგენდა, მოისმინეს ახალი კონსტრუქციული ტონი, რასაც ასეთი იმედით ელოდნენ ოფიციალური ვაშინგტონისგან. ასეა თუ ისე, რეალური პოლიტიკური მიმართულება, რომელიც ყველა ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა ყურადღებით წარმოადგინეს მიუნხენში, იყო ფრთხილი თანმიმდევრობის ჯაჭვი.

მოლოდინი დიდი იყო და ვაშინგტონმაც არ გაუშვა შანსი ხელიდან - მიუნხენში ვიცე-პრეზიდენტი ჯო ბაიდენი, ეროვნული უსაფრთხოების მრჩეველი ჯეიმს ჯონსი, ავღანეთში საგანგებო წარმომადგენელი რიჩარდ ჰოლბრუკი და შეერთებული შტატების ცენტრალური სამეთაურო შტაბის ხელმძღვანელი, გენერალი დევიდ პეტრაუსი მიავლინა.

გაგრძელება A3 გვერდზე


AFP ' 2009

# ნალდაქედილი რწყილების ქვეყანა

ალექსანდრ ბრაილოვსკი

გაგრძელება, დასაწყისი იხ. N27

ეძღვნება ბაბუაჩემ მორის თეთრაძის ხსოვნას

ერთ-ერთ საბჭოთა სახელმძღვანელოში ასეთი ფრაზა იყო: "რუსეთი დაპყრობით ომებს არასდროს აწარმოებდა". თუმცა, კიევის რუსეთისა და რუსეთის იმპერიის ტერიტორიების უბრალო შედარება ამ პოსტულატს ძირშივე უარყოფდა. მაგრამ, რუსეთის მმართველების სასიხარულოდ, რუს ხალხს კრიტიკული აზროვნება საერთოდ არ გააჩნია. როდესაც "პერესტროიკა" დაიწყო და გაირკვა, რომ საბჭოთა კავშირშიც ვარდება თვითმფრინავები, არსებობს ორგანიზებული დამნაშავეობა, ნარკომანია, პროსტიტუცია, ხდება სტიქიური უბედურებები (გორბაჩოვისეულ საჯაროობამდე ეს ყველაფერი მხოლოდ კაპიტალისტურ ქვეყნებში ხდებოდა), მრავალმა რუსმა ამ ყველაფერში გორბაჩოვი დადანაშაულა, რადგან მანამდე ქვეყანაში ასეთი რამ თითქოს არ არსებობდა. მანამდე ქვეყანა გადაჭარბებით ასრულებდა გეგმებს, ქვეყნის ბეღელი ივსებოდა და ყველა ბედნიერი იყო (თუმცა, მაღაზიებში საჭირო საქონელი საერთოდ არ არსებობდა, მაგრამ ხალხის ცნობიერებაში ეს არანაირად არ უკავშირდებოდა ყველა დარგში გეგმების მუდმივად გადაჭარბებით შესრულებას).

ამგვარად, რუსებისთვის არცთუ ძნელი დასაჯერებელი იყო, რომ საქართველო რუსეთს დაესხა თავს.

კაცობრიობის ისტორიაში მრავალი ხალხი იერთებდა და იპყრობდა ტერიტორიებს. თუნდაც მარტო რომი რად ღირს. მაგრამ რომაელები აშენებდნენ გზებს, წყალსადენებს და დაპყრობილ ხალხებს სავსებით გონივრულ სახელმწიფოებრივ მოწყობას სთავაზობდნენ.

გაგრძელება A5 გვერდზე

24 საათი
"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge
ჩვენი პარტნიორები:
თიბისი ბანკი TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს
BORJOMI ბორჯომი
GRDC group
ჯი პი აი
ვენის სადაზღვევო ჯგუფი

CMYK - 1

## ორი სიტყვით

**თბილისი.** უახლოეს მომავალში საქართველოში ჩრდილოატლანტიკურ ალიანსთან ურთიერთობის (ლიაიზონ NLO) ოფისი გაიხსნება. **ჯი-ეიჩ-ენი**

**გალი.** აფხაზი სეპარატისტები გალის რაიონში მცხოვრებ ქართველებს, აფხაზურ პასპორტებზე უარის თქმის შემთხვევაში, ჯერ ჯარიმის დაკისრებით, შემდეგ კი ციხეში ჩასმით ან გალის რაიონიდან გასახლებით ემუქრებიან. **მედიანიუსი**

**თბილისი.** აგვისტოს ომის დროს უგზო-უკვლოდ დაკარგულთა მოძიების კომისიას შსს-ს ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსი შოთა უტიაშვილი უხელმძღვანელებს.**ჯი-ეიჩ-ენი**

**თბილისი.** დღეს, 10 თებერვალს, 15:00 საათზე, სახელმწიფო კანცელარიაში საქართველოს მთავრობის სხდომა გაიმართება. სხდომას პრემიერ-მინისტრის რანგში ნიკა გილაური პირველად წარუძღვება. **ჯი-ეიჩ-ენი**

## საგარეო უწყება "სეპარატისტული კედლის" წინააღმდეგ

ცხინვალის ტერიტორიაზე საქართველოსგან გამყოფი კედლის მშენებლობა ოკუპირებული ტერიტორიების მოსახლეობის თავისუფლების შეზღუდვასა და იზოლირებას ემსახურება, - ამის შესახებ განცხადებას საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო აკეთებს.

"განზრახვა წარმოადგენს კონფლიქტის ზონების იზოლირების იმ პოლიტიკის ლოგიკურ გაგრძელებას, რომელსაც რუსეთის ფედერაცია საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე ახორციელებს. რუსეთის მხარე, მიუხედავად ცეცხლის შეტყვეტის შესახებ 6-პუნქტიანი დოკუმენტის ერთმნიშვნელოვანი მოთხოვნისა, კატეგორიულ უარს აცხადებს ოკუპირებულ ტერიტორიებზე საერთაშორისო დამკვირვებლების დაშვებაზე. ამის მიზეზი იმ დანაშაულის დაფარვაა, რომელიც ზემოაღნიშნულ ტერიტორიებზე იქნა ჩადენილი და დღესაც გრძელდება რუსი ოკუპანტებისა და მათი მარიონეტების მხრიდან. კერძოდ, საუბარია ეთნიკურ წმენდაზე ზემო აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში, ახალგორის რაიონისა და მიმდებარე ტერიტორიის სრულ გაწმენდაზე მკვიდრი მოსახლეობისგან, ადამიანის უფლებების მასობრივ დარღვევებსა და იმ არაადამიანურ სისასტიკეზე, რომელიც ამ პროცესებს სდევდა თან," - ნათქვამია განცხადებაში.

საქართვლოს საგარეო უწყების განცხადების თანახმად, რუსული პოლიტიკა სულ უფრო მეტს სესხულობს საბჭოთა მემკვიდრეობიდან.

"სხვათა შორის, გამყოფი კედლის, ამჯერად უკვე ღობის აგების იდეაში რუსეთის ხელისუფლება ორიგინალური არ არის. ნიშანდობლივია, რომ რუსული პოლიტიკა სულ უფრო მეტს სესხულობს საბჭოთა მემკვიდრეობიდან. ვფიქრობთ, საკამათო არ უნდა იყოს ის გარემოება, რომ მსგავსი "კომუნიკაციები" განკუთვნილია არა მოსკოვში გამოგონილი თითქოსდა საქართველოდან მომდინარე საფრთხის წინააღმდეგ, არამედ ემსახურება ოკუპირებული ტერიტორიების მოსახლეობის თავისუფლების შეზღუდვასა და იზოლირებას, ასევე საოკუპაციო ჯარების სამხედრო მოსამსახურეებისთვის გაქცევის საშუალების მოსპობას," - ნათქვამია განცხადებაში.

ცნობისათვის - რუსეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ე.წ. სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაცია გეგმავს რუსეთის მხარის დახმარებით საქართველოსთან ადმინისტრაციული საზღვრის მთლიანი პერიმეტრის შემოღობვას დამრღვევთა აღმოჩენის თანამედროვე, განსაკუთრებული სიგნალიზაციით აღჭურვილი ღობით. **ჯი-ეიჩ-ენი**

## მოლაპარაკებები დაიწყება

ევროკავშირთან სავიზო რეჟიმის გამარტივების და თავისუფალი სავაჭრო ურთიერთობების თაობაზე მოლაპარაკებები უახლოეს მომავალში დაიწყება, - ამის შესახებ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა გრიგოლ ვაშაძემ განაცხადა.

"ეს არის იმ გზის დასაწყისი, რომელიც რეალურ შედეგებამდე მიგვიყვანს. ჩვენი მოსახლეობა მატერიალური თვალსაზრისით ძალიან მალე იგრძნობს ამ ხელშეკრულებების შედეგებს. ევროკომისიამ თვითონ გამოთქვა საერთო საჰაერო სივრცის ამოქმედების სურვილი. ეს შეუქმნის ნორმალურ სამუშაო პირობებს ყველა საავიაციო კომპანიას," - განაცხადა ვაშაძემ. **ჯი-ეიჩ-ენი**

## ქართველი ტყვეების კვალი დაიკარგა

აგვისტოს ომის დროს ე.წ. სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე დაღუპული სამი ამოუცნობი ჯარისკაცის დნმ-ს საქართველო რუსეთს გადასცემს, - ამის შესახებ პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარემ გივი თარგამაძემ განაცხადა. მისი თქმით, იდენტიფიკაციის შემდეგ დადგინდა, რომ ისინი ქართველი ჯარისკაცები არ არიან. თარგამაძის განმარტებით, "არ არის გამორიცხული, რომ დნმ-ი აგვისტოს ომის დროს გარდაცვლილი რუსი ჯარისკაცების იყოს, რაც აუცილებლად უნდა გაირკვეს," - დასძინა კომიტეტის თავმჯდომარემ.

თარგამაძემ ასევე განაცხადა, რომ ქართულმა მხარემ ტყვედ ჩავარდნილი სამი ქართველი ჯარისკაცის კვალი დაკარგა, რომლებიც, მისი მონაცემებით, ბოლოს ვლადიკავკაზში იმყოფებოდნენ. **ჯი-ეიჩ-ენი**

# პარლამენტში საგაზაფხულო მარათონი (სესია) იწყება

გიორგი ასანიშვილი

დღეს პარლამენტის საგაზაფხულო სესიის პირველი პლენარული სხდომა გაიმართება. თუმცა, ამ კვირის საპარლამენტო ცხოვრების მთავარი მოვლენა ხუთშაბათს, 12 თებერვლისთვის არის ჩანიშნული. ამ დღეს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი დეპუტატების წინაშე ყოველწლიური ანგარიშით წარსდგება. მართალია, უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში პრეზიდენტის მისვლის თარიღი გარკვეულია, მაგრამ უცნობია, როგორი ფორმატით ჩატარდება ანგარიშის მოსმენა.

ოპოზიცია დაჟინებით ითხოვს, რომ ტრადიცია აღდგეს და მიხეილ სააკაშვილმა, თავისი გამოსვლის შემდეგ, პარლამენტი კი არ დატოვოს, არამედ ბოლომდე დარჩეს და პოლიტიკურ დებატებში მიიღოს მონაწილეობა.

**"ეს იქნება მნიშვნელოვანი ნაბიჯი ქვეყნის დემოკრატიზაციის გზაზე და ხელისუფლების სერიოზული გამოცდა,"** - აცხადებს საპარლამენტო უმცირესობის ლიდერი გიორგი თარგამაძე.

პარლამენტის სპიკერი დავით ბაქრაძე ოპოზიციის არგუმენტებს იზიარებს, მაგრამ პოლიტიკური ოპონენტების წინადადებაზე არც ჰოს ამბობს, არც - არას. იგი სთავაზობს ოპოზიციას, ჩატარდეს კონსულტაციები, მისი შედეგები ეცნობოს პრეზიდენტს და ფორმატის შესახებ გადაწყვეტილებაც სწორედ ამის შემდეგ იქნას მიღებული. ამასთან, პარლამენტის თავმჯდომარის აზრით, მიზანშეწონილი იქნება, თუ კონსულტაციებში, უმრავლესობისა და უმცირესობის წარმომადგენლებთან ერთად, მონაწილეობას მიიღებს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის საკითხთა მინისტრი დიმიტრი შაშკინი, რომელიც, როგორც ცნობილია, დემოკრატიული რეფორმების განხორციელების უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელიცაა.

პრეზიდენტის ანგარიშის მოსმენის შემდეგ, პარლამენტის საქმიანობაში წინა პლანზე გადავა საკონსტიტუციო ცვლილებების თემატიკა. იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის ჩიორა თაქთაქიშვილის თქმით, პირველი ცვლილება ითვალისწინებს საკუთრების უფლებასთან დაკავშირებული მუხლების ახალი რედაქციით ჩამოყალიბებას, მეორე - პარლამენტის დათხოვნის საკითხში პრეზიდენტის უფლებამოსილების შეზღუდვას, ხოლო მესამე - პარლამენტის არჩევის შემდეგ მთავრობისთვის ნდობის გამოცხადების აუცილებლობას.

თაქთაქიშვილის განცხადებით, საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტი გასაცნობად უკვე გადაეგზავნა ვენეციის კომისიას, რომლის დასკვნასაც პარლამენტი დაახლოებით ერთ თვეში მიიღებს. ამის შემდეგ შესაძლებელი იქნება საკონსტიტუციო ცვლილებების შეჯერებული ვარიანტის გატანა საერთო-სახალხო განხილვისთვის.

პლენარული სხდომების რეჟიმში პარლამენტი დღეიდან გადადის. თუმცა, აქტიურ საქმიანობას დეპუტატები ჯერ კიდევ გასული კვირიდან შეუდგნენ, როდესაც მინისტრთა კაბინეტისთვის ნდობის გამოცხადების საკითხზე იმსჯელეს. მაშინ ოპოზიციამ უკმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ სხდომას მინისტრობის რამდენიმე კანდიდატი არ ესწრებოდა. ოპოზიციის პრეტენზიას პასუხი პარლამენტის ბიუროს გუშინდელ სხდომაზე გაეცა.

**"იმ დღეს, 6 თებერვალს, კულტურის მინისტრი ნიკა რურუა პარიზში საქართველოს დღეებში მონაწილეობდა, თავდაცვის მინისტრი დავით სიხარულიძე მიუნხენის კონფერენციაზე იმყოფებოდა, შინაგან საქმეთა მინისტრი ვანო მერაბიშვილი კი ევროკავშირის დამკვირვებლებს გორის რაიონში ახლდა. რაც შეეხება ზურაბ ადეიშვილს, პარლამენტში მისი არყოფნა განპირობებული იყო იმით, რომ სტრასბურგის სასამართლოში სარჩელის წარდგენის ვადა იწურებოდა და ამ პროცესს კორდინირებას სწორედ იუსტიციის მინისტრი უწევდა,"** - ასეთ განმარტებას აძლევს დეპუტატებს მთავრობის საპარლამენტო მდივანი გიორგი ხუროშვილი.

პარლამენტის ოპოზიციონერ ვიცე-სპიკერ ლევან ვეფხვაძეს ეს განმარტება აკმაყოფილებს, მაგრამ, ამასთან, შენიშნავს, რომ აღნიშნული ინფორმაცია დეპუტატებს 9 თებერვალს კი არა, არამედ უშუალოდ 6 თებერვლის სხდომაზე უნდა მიეღოთ.

**"ეს გაითვალისწინეთ, რადგან მთავრობისთვის ნდობის გამოცხადების შესახებ მსჯელობა მომავალშიც ხშირად მოგვიწევს,"** - ნიკა გილაურის კაბინეტის "სიცოცხლისუნარიანობას" კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს ვეფხვაძე.

პარლამენტის თავმჯდომარე თავისი მოადგილის ამ ვარაუდს კატეგორიულად არ იზიარებს, თუმცა ეთანხმება იმაში, რომ მსგავსი ინფორმაციები პარლამენტს უფრო ოპერატიულად უნდა მიეწოდებოდეს.

რაც შეეხება მიმდინარე საპარლამენტო კვირას, საკანონმდებლო ორგანოში, პრეზიდენტის გარდა, დიდი ინტერესით ელიან აგრეთვე ევროკავშირის საგამოძიებო კომისიის თავმჯდომარე ჰაიდი ტალიავინის სტუმრობას. როგორც ცნობილია, ამ კომისიამ აგვისტოს ომის გაჩაღებაში დამნაშავის ვინაობა უნდა დაადგინოს. პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძე იმედოვნებს, რომ ტალიავინის კომისია გაიზიარებს საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის შეფასებებსა და დასკვნებს. სპიკერი ავალებს ამ კომისიის თავმჯდომარე პაატა დავითაიას, "ევროგამომძიებლებს" ამომწურავი ინფორმაცია მიაწოდოს.

თავის მხრივ, დავითაია ვარაუდობს, რომ ტალიავინის კომისია დაინტერესდება არა მარტო აგვისტოს ომით, არამედ იმ მოვლენებითაც, რომელიც რუსეთ-საქართველოს სამხედრო კონფლიქტს უძღვოდა წინ. ამასთან, პარლამენტარი კიდევ ერთხელ ითხოვს სეპარატისტთა ლიდერებზე სანქციების გაცემას. დავითაიას ეს საშურ საქმედ მიაჩნია იმის გათვალისწინებით, რომ რუსეთის მხრიდან მიზანმიმართულად ხორციელდება თავისი დანაშაულის მტკიცებულებათა კვალის წაშლა.

დავით ბაქრაძე ეთანხმება დავითაიას და იუსტიციის სამინისტროს სანქციების გაცემის პროცესის დაჩქარებას სთხოვს.

# 2008 წლის 18 ნოემბერს თურქეთში მომხდარი ავტო-ავარიის შედეგად დაზარალებულთათვის კომპენსაცია გაიცემა

სტამბოლში საქართველოს გენერალური საკონსულოდან მიღებული ინფორმაციის თანახმად, თურქული სადაზღვევო კომპანია **"Yeniden Dogus Sigorta"** (ტელ: + 90 216 4740581), ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად დაშავებული პირებისთვის ფულადი კომპენსაციის უზრუნველყოფის მიზნით, ითხოვს შემდეგი დოკუმენტების წარმოდგენას (აღსანიშნავია, რომ დოკუმენტები უნდა იყოს თარგმნილი თურქულ ენაზე და ძაპოსტილით" დამოწმებული სახით):

1. მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევის ჩანახაზი;
2. ავტობულისის ტექნიკური პასპორტი;
3. მძღოლის მართვის მოწმობა;
4. ალკოჰოლზე შემოწმების შესახებ დასკვნა;
5. ბილეთი, ან სია, სადაც აღნიშნულია დაშავებული პიროვნების გვარი;
6. პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
7. ჩატარებული მკურნალობის ხარჯების დამადასტურებელი ფაქტურები, რეცეპტები, ამონაწერი საავადმყოფოდან (დედანი);
8. ექიმის დასკვნა (მკურნალობის რა კურსი გაიარა, დაინვალიდების შემთხვევაში შესაბამისი საბუთი).

ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად გარდაცვლილი მოქალაქეების ახლო ნათესავებმა (მემკვიდრეებმა) ფულადი კომპენსაციის უზრუნველყოფის მიზნით, ზემოხსენებულ ჩამონათვალში 1-4 პუნქტებში მითითებული დოკუმენტების გარდა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები:

- ბილეთი, ან სია, სადაც აღნიშნულია დაზარალებული პიროვნების გვარი;
- გარდაცვლილი მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- გარდაცვალების მოწმობა;
- გარდაცვლილ მოქალაქეზე შედგენილი დასკვნა;
- გარდაცვლილ მოქალაქეზე გაცემული დაკრძალვის ნებართვა;
- ცნობა მემკვიდრეების შესახებ;
- გარდაცვლილის ყოველთვიური შემოსავლების შესახებ ცნობა;
- ოჯახის შემადგენლობის და მათი შემოსავლების შესახებ ცნობა;
- სოციალური დახმარებისა და პენსიით უზრუნველყოფის შესახებ ცნობა.

აქვე განცობებთ, რომ დაზარალებულის წარმომადგენლის - ადვოკატის მეშვეობით საქმის წარმოების შემთხვევაში, საჭიროებიდან გამომდინარე, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საკონსულო დეპარტამენტი მზადაა აღმოუჩინოს დახმარება ზემოხსენებულ 1-4 პუნქტებში მითითებული დოკუმენტაციის მოპოვების საკითხში. ავტობუსის მგზავრთა შესახებ თურქული ფირმის ოფიციალური წერილობითი მონაცემები და ავტოსაგზაო შემთხვევის შესახებ ზოგიერთი დოკუმენტის ასლები ინახება საგარეო საქმეთა სამინისტროს საკონსულო დეპარტამენტში.

*საქართველოს საგარეო*
*საქმეთა სამინისტროს*
*საკონსულო დეპარტამენტი*

**გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები:** მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
**რედაქცია:** სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), ლევან ღირსიაშვილი (მმართველი რედაქტორი). რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), ინგა ალავიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** *ირაკლი ლეჟავა ტელ: 899 22 09 49.* კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
**რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. ირაკლი გამრეკელის ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge**

# "გაქედილნი"

პირველი გვერდიდან

ობამას ადმინისტრაციის ახალი სტრატეგია - შეცვალოს ძველი ადმინისტრაციის ტონალობა, ითანამშრომლოს და კონსულტაციები გაიაროს ყველა პარტნიორთან, რუსეთთან ურთიერთობების გაუმჯობესებასაც გულისხმობს. მართალია, მთავარი მესიჯის მეორე ნაწილი მკაფიოა, რომ ობამა გაწვდილი ხელის სანაცვლოდ კრემლისგანაც შემხვედრ ნაბიჯებს მოელის; მართალია, ბაიდენმა ისიც ნათლად განმარტა, რომ შეერთებული შტატები არ აღიარებს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობას, არ აღიარებს გავლენის სფეროებს, მაგრამ ჯერ-ჯერობით ძალიან ბუნდოვანია, რა მიმართულებით განვითარდება ამერიკა-რუსეთის ურთიერთობები და რა გავლენას მოახდენს ის საქართველოს უსაფრთხოებაზე.

ევროპის, ამ შემთხვევაში კონკრეტულად ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრის დევიდ მილიბენდის მოლოდინი, რომ ნავთობზე ფასის ვარდნა რუსეთს უფრო ღიას ხდის თანამშრომლობისთვის, ისეთივე ილუზორული და მცდარი შეიძლება აღმოჩნდეს, როგორც თავის დროზე პუტინის ცისფერ თვალებში ბუშის მიერ ამოკითხული სულიერი სიახლოვე და მასთან დაკავშირებული ოპტიმიზმი, თუ, რა თქმა უნდა, დასავლეთი ჭკვიანურად არ გამოიყენებს რუსეთის შიდა პრობლემებს და მოვლენათა განვითარებას პუტინის კეთილი ნების იმედად არ მიუშვებს. დასავლელ ლიდერთა უმრავლესობის განწყობა კი ჯერ-ჯერობით ასეთი ქცევის დიდ იმედს არ იძლევა, ისევე როგორც რუსეთი არ იძლევა იმედის საფუძველს, რომ ის თავის საგარეო პოლიტიკაში რაიმე მნიშვნელოვან ცვლილებას შეიტანს.

ყირგიზეთის მთავრობის გადაწყვეტილება, გააუქმოს მის ტერიტორიაზე განთავსებული მანასის ბაზა მაშინ, როდესაც ამ ბაზას ავღანეთში ნატო-ს მისიის გაგრძელებაში მთავარი როლი უნდა შეესრულებინა, სრულიად ცხადია, რუსეთის ზეწოლის შედეგადაა მიღებული. ეს ზუსტად მას შემდეგ მოხდა, რაც კრემლმა, დახმარების სახით, ყირგიზეთს $2 მილარდზე მეტი სესხი გადასცა. სიტუაციის მთელი ცინიზმი კი ის არის, რომ საჯაროდ რუსეთი გულმხურვალედ უჭერს მხარს ნატო-ს მოქმედებას ავღანეთში, ანუ კრემლი თავის სტილს არ ღალატობს და არც მიზეზი აქვს იმისათვის, რომ უღალატოს, რადგან ეს სტილი ჯერ-ჯერობით აშაკარად უმართლებს.

ამ ვითარებაში, გარდა დაუღალავი დიპლომატიური შრომისა, საქართველოს ერთადერთი გამოსავალი აქვს - რამდენიმე ხნის წინ ვაშინგტონის მარშალის ფონდის დირექტორმა რონ ასმუსმა "ნიუ-იორკ თაიმისთვის" მიცემულ ინტერვიუში განაცხადა: "ჩემნაირი ადამიანების რჩევა ერთია: დაივიწყეთ რუსები, რამდენადაც შესაძლებელია, დააჩქარეთ რეფორმები და აღადგინეთ მორალური უპირატესობა, რომელიც გქონდათ და დაკარგეთ". მისი თქმით, სააკაშვილის გუნდი ამ გზით მიდიოდა, მაგრამ მათ "ამ გზაზე მყარად დგომა უჭირთ".

მაგრამ რუსული ოკუპაციისა და გლობალური ფინანსური კრიზისის ფონზე, რასაც ვადამდელ არჩევნებზე ოპოზიციის მოთხოვნა ემატება, ხელისუფლების რეფორმატორული სულისკვეთება სადღაც, ინტელიგენციისთვის საახალწლოდ მირთმეულ ინდაურიან ხონჩებთან "გაიჭედა".

თუმცა, საერთოდ რა რეფორმებზე და პროგრესზეა საუბარი, როცა ქართული საზოგადოების ნაწილი ბოლო პერიოდში იმაზე ფიქრით არის გართული, ახალი მხსნელი ბაგრატოვანთა ჯერ არდაბადებულ მემკვიდრეში იპოვოს და თავი მოიტყუოს, რომ მონარქია ტერიტორიული მთლიანობის პრობლემას გადაჭრის.

ხოლო ოპოზიცია, იმის ნაცვლად, რომ დემოკრატიული ცვლილებებისა და რეფორმების სტიმულირება მოახდინოს, ისევ ვადამდელ არჩევნებს ითხოვს, როდესაც კრიზისიდან გამოსვლის ელემენტარული მონახაზიც კი არ შეუთავაზებია ამომრჩევლისთვის. ქართულ მედიასივრცეში დებატები საერთოდ გაქრა, არა იმიტომ, რომ ვინმე კრძალავს, უბრალოდ არ არსებობს თემა, რომელზეც არსობრივი დებატი შედგებოდა ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის.

ასე რომ, არა მხოლოდ ხელისუფლების რეფორმატორული სულისკვეთება, არამედ თავად საზოგადოებაც "გაიჭედა". ასეთი მდგომარეობა კი მხოლოდ სხვათა იმედად ყოფნისთვის გაწირავს ქვეყანას.

# მიუნხენი: ობამას საგარეო პოლიტიკის პირველი წარდგენა და საქართველოს დიდი მხარდაჭერა



დევიდ ჯ. სმიტი

პირველი გვერდიდან

7 თებერვალს აუდიტორია დიდი აპლოდისმენტებით შეხვდა ბაიდენის ტრიბუნაზე გამოსვლას. ვიცე-პრეზიდენტს დრო არ დაუხარჯავს ევროპელი მოკავშირეებისთვის ამერიკის ხელის გაწვდენაზე.

**"მე ჩამოვედი ევროპაში ახალი ადმინისტრაციის სახელით, რომელსაც ახალი ტონის დამკვიდრება სურს არა მარტო ვაშინგტონში, არამედ მსოფლიოს მასშტაბით შეერთებული შტატების ყველა ურთიერთობაში. ახალი ტონი აღმოცენებულია საერთო გამოწვევებზე საპასუხოდ ძლიერი ორპარტიულობის საფუძველზე. ჩვენ კარგად გვესმის, რომ ეს გამოწვევები, რომლებიც პასუხს საჭიროებს, არ არის რამე შანსი ან ფუფუნება, არამედ აბსოლუტური აუცილებლობაა,"** - თქვა ბაიდენმა ფეშენებელურ "ბაიერიშერ ჰოფ ჰოტელში".

ამის შემდეგ რეალობის სიმკაცრის აღქმამაც არ დააყოვნა: **"ყოველი ახალი წამოწყება იმედებს უკავშირდება, ეს მომენტი კი ამერიკისა და ამ დარბაზში წარმოდგენილი სხვა ქვეყნებისთვის აღსავსეა ზოგიერთი საყურადღებო ინტერესითა და საფრთხით".**

გზავნილის არსი სავსებით გასაგებია: ცხვირწინაა სახიფათო რეალობები და მეტად უკვე აღარ შეგიძლია გადააბრალო მასთან შეწინააღმდეგების უუნარობა არაპოპულარულ ამერიკელ პრეზიდენტს. **"ამერიკა მეტს გააკეთებს - ეს კარგი ახალი ამბავია, ცუდი კი იმაში მდგომარეობს, რომ ამერიკა მეტს მოსთხოვს ასევე თავის პარტნიორებს."**

განახლებულმა დასავლურმა სულმა მხარი უნდა აუბას განახლებულ ამერიკულ მისწრაფებას.

**"ჩვენს უსაფრთხოებასა და იდეალებს შორის კონფლიქტი არ არსებობს... ჩვენი ძლიერების მქონე მაგალითი უნდა შეესატყვისებოდეს ჩვენი მაგალითის ძლიერებას,"** - განაცხადა ბაიდენმა.

**"ამერიკა არ იძალადებს. ჩვენ მხარს დავუჭერთ მათ უფლებებს, ვისაც სამართლიანობამდე მივიყვანთ. ჩვენ დავხურავთ გუანტანამოს."** ეს კი, სხვათა შორის, ისაა, რისი მოსმენაც ამერიკელთა უმრავლესობას სურდა.

**" ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში შეინიშნებოდა სახიფათო ტენდენცია რუსეთისა და ჩვენი ალიანსის წევრების ურთიერთობებში. დროა, ხელი დავაჭიროთ "გადატვირთვის" ღილაკს, როგორც პრეზიდენტი ობამა იტყოდა და ხელმეორედ გადავხედოთ იმ სფეროებს, სადაც შეგვიძლია და უმჯობესი იქნება კიდეც რუსეთთან ერთად მუშაობა".**

ამერიკის შეთავაზებული ნომერი მეორე ამოცანაა რუსეთთან თანამშრომლობა ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, ავღანეთის, ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობისა და ამერიკა-რუსეთის ბირთვული იარაღის მომავალი შემცირების სფეროებში. თუ კრემლს სურს თავისი აგრესიის შეკავება, გამაღიზიანებელი რიტორიკის შერბილება და "ცივი ომობანას" სულელური თამაშის შეწყვეტა, ბაიდენმა თანამშრომლობისთვის საკმაოდ ვრცელი პოტენციური სფეროები შესთავაზა.

მან ასევე ნათელი გახადა ისიც, რომ ობამას ადმინისტრაცია თვალს არ დახუჭავს მოსკოვის გამაღიზიანებელ აგრესიულობაზე. ბაიდენმა, როგორც ამას ბევრი ელოდა, არ დაიწყო ამერიკის გეგმების მიმოხილვა ჩეხეთის რესპუბლიკისა და პოლონეთის ტერიტორიაზე რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემის შესახებ. **"ტექნოლოგიის ეფექტიანობისა და ღირებულების გათვალისწინებით, ჩვენ განვაგრძობთ სარაკეტო თავდაცვის განვითარებას ირანის მხრიდან მომავალი მზარდი საფრთხის საწინააღმდეგოდ. ჩვენ ამას თქვენთან ერთად, ნატო-ს მოკავშირეებსა და რუსეთთან კონსულტაციებით გავაკეთებთ,"** - თქვა ბაიდენმა. უბრალოდ შეუძლებელია ამაზე მეტი ობიექტურობის გამოვლენა.

შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტმა ასევე გაგზავნა მკაფიო და არაორაზროვანი სიგნალი, რაზეც კრემლს უკიდურესი სიფრთხილე უნდა გამოეჩინა: **"შეერთებული შტატები არ აღიარებს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს დამოუკიდებელ სახელმწიფოებად. ჩვენ არ ვცნობთ არც ერთ ერს, რომლებსაც გავლენის სფერო ექნებათ. ჩვენ არ ვცვლით ჩვენს შეხედულებას იმაზე, რომ სუვერენულ სახელმწიფოებს აქვთ უფლება გააკეთონ საკუთარი არჩევანი და თვითონ შეარჩიონ მოკავშირეები".**

ეს კი საქართველოსთვის ყველაზე თვალშისაცემი პასაჟია ობამას ადმინისტრაციის მხრიდან საგარეო პოლიტიკის მიმართულებებზე პირველად გამოთქმული სიტყვის დროს!

მომდევნო დღეს საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილთან შეხვედრაზე ბაიდენს ჟურნალისტმა ჰკითხა, მხარს უჭერს თუ არა ნატო-ში საქართველოს გაწევრიანებას. **"მე მხარს ვუჭერ საქართველოს დამოუკიდებლობას. ეს კი ის გადაწყვეტილებაა, რომელიც საქართველომ უნდა მიიღოს."**

რუსეთისათვის ბაიდენის მიერ შეთავაზებული თანამშრომლობისა და კონსულტაციების მიუხედავად, საქართველოს ნატო-სკენ სვლა პრობლემა არ უნდა იყოს, თუ კი ამას კრემლი არ აქცევს პრობლემად.

განსხვავებული პერსპექტივიდან ბევრმა დასავლეთ ევროპულმა სახელმწიფომ ხელმეორედ უნდა შეისწავლოს ნატო-ში საქართველოს გაწევრიანების საკითხი იმ ახალ ჭრილში, რომელიც მათ ობამას ადმინისტრაციამ შესთავაზა მიუნხენში.

**"ჩვენ ახლებური მიდგომის შემუშავება გვჭირდება ახალი საფრთხეებისა და რეალობების გადასაჭრელად და ახალი შესაძლებლობები წარმატების მისაღწევად. ჩვენი ალიანსი უკეთ უნდა იყოს აღჭურვილი, რათა შევძლოთ მსოფლიოში ყველაზე სახიფათო იარაღის გავრცელების შეჩერება, დავუპირისპირდეთ ტერორიზმს, ვიმუშაოთ კიბერუსაფრთხოებაზე, გავაფართოოთ ენერგოუსაფრთხოება და ვიმოქმედოთ ალიანსში და მის ფარგლებს გარეთ უფრო ეფექტიანად,"** - განაცხადა ბაიდენმა კონკრეტულად ნატო-ზე საუბრისას.

ამ კონტექსტში ნატო-ში საქართველოს გაწევრიანებას აზრი აქვს. ალიანსის 60 წლისთავის იუბილესთან დაკავშირებით სტრასბურგსა და კელში 3-4 აპრილს დაგეგმილი სამიტი იდეალური ვარიანტი იქნებოდა საამისოდ.

*დევიდ ჯ. სმიტი არის საქართველოს უსაფრთხოების ანალიტიკური ცენტრის დირექტორი და ვაშინგტონის პოლიტიკური კვლევების პოტომაკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი.*

# "წითელი ხაზები" ამერიკულ-რუსულ ურთიერთობებში

დათო გამისონია

*მიუნხენის საერთაშორისო უსაფრთხოების კონფერენციაზე საქართველოს მხარდაჭერა აშშ-ს ახალმა ადმინისტრაციამ, ვიცე-პრეზიდენტ ჯოზეფ ბაიდენის სახელით, ყველასთვის გასაგებად და ღიად დააფიქსირა. "24 საათი" დაინტერესდა, თუ როგორ აფასებენ კონფერენციის შედეგებს ქართველი პოლიტოლოგები.*

"კავკასიის მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების ინსტიტუტის" დირექტორი დავით აფრასიძე მიიჩნევს, რომ **"ევროპასა და აშშ-ს შორის იყო ურთიერთსაყვედურები - ევროპელები ამბობდნენ, რომ ამერიკელები ყურს არ უგდებენ ევროპელი მოკავშირეების სატკივარს, ამერიკელები კი ყოველთვის აღნიშნავდნენ, რომ ხშირად ევროპელები გადაწყვეტილებების მიღების დროს პასუხისმგებლობის აღებისთვის მზად არ არიან. ახლა მოველით მათი პოზიციების დაახლოებას, განსაკუთრებით ავღანეთის საკითხზე."**

დავით აფრასიძის აზრით, აშშ-ს ვიცე-პრეზიდენტს ძალიან საინტერესო, ფრთხილი და მოზომილი გამოსვლა ჰქონდა. **"ითქვა იმ ძირითადი პრინციპების შესახებ, რის შეცვლასაც ამერიკა არ აპირებს. კერძოდ, არ არის დაგეგმილი უარის თქმა ანტისარაკეტო სისტემებზე. ამავდროულად, ბაიდენის გამოსვლა მოზომილი იყო, მან აღნიშნა, რომ აშშ რუსეთთან თანამშრომლობაზე თანახმაა. მარტივად რომ ვთქვათ, ამ განცხადებებში, ერთი მხრივ, არის დღემდე არსებული პოლიტიკის გაგრძელება, ხოლო, მეორე მხრივ, ახალი მიდგომების ნიშნები არსებული რეალობის გათვალისწინებით. პირველი ეს არის ზოგადი ჩარჩო, რაც იმას გულისხმობს, რომ აშშ რუსეთთან სტრატეგიულ პარტნიორობას და ურთიერთობების ნორმალიზაციას ესწრაფვის. ამ ჩარჩოში მოიაზრება ის პრინციპები, რომლებზეც შეერთებული შტატები უარის თქმას არ აპირებს - კერძოდ, საქართველო და უკრაინა, მათი სუვერენული უფლება, აირჩიონ საგარეო-პოლიტიკური ორიენტაცია. საერთო კონტექსტს აშშ-რუსეთის ურთიერთობები ქმნის და აქ ერთ-ერთი ელემენტი საქართველოც არის. შეიძლება მრავალ სფეროში გაუმჯობესდეს ურთიერთობები - საქართველოს საკითხის გარდა. მარჩიელობა იქნება იმის თქმა, თუ რომელი გადაწონის,"** - განმარტა აფრასიძემ.

"საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის" ექსპერტმა არჩილ გეგეშიძემ "24 საათთან" საუბარში განაცხადა, რომ მიუნხენში აშშ-ს ახალმა ადმინისტრაციამ საქართველოსთან მიმართებაში ძველი კურსის შენარჩუნება კიდევ ერთხელ დაადასტურა. ხოლო, რაც შეეხება საქართველოსთან აშშ-ს ურთიერთობებში კონკრეტულ მიმართულებებს, ეს რამდენიმე თვეში გამოიკვეთება. **"წლევანდელი კონფერენცია იმით იყო გამორჩეული, რომ, წინამორბედისგან განსხვავებით, შეერთებული შტატების დელეგაცია უფრო მაღალ დონეზე იყო წარმოდგენილი. გარდა ამისა, ახალი ადმინისტრაციისგან ყველა მოელოდა, ასე ვთქვათ, გლობალური პრობლემების ხედვებს და ანალიზს, რაც წარმოადგინა კიდეც ვიცე-პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა. რუსეთის მიმართ შეერთებული შტატების პოლიტიკაში ნათქვამია, რომ აშშ მასთან იმ საკითხებზე ითანამშრომლებს, რაც ორმხრივ ინტერესს წარმოადგენს - იქნება ეს ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის საკითხი თუ სხვა. მაგრამ, ბაიდენმა აღნიშნა, რომ არსებობს წითელი ხაზები, რასაც აშშ არ დაეთანხმება - ეს არის აფხაზეთის და ე.წ. სამხრეთ ოსეთის აღიარება,"** - განმარტა არჩილ გეგეშიძემ.

## დევნილი მოსახლეობისათვის გახარჯული თანხების მიზნობრიობაზე შუალედური დასკვნა ორ თვეში მომზადდება.

ამის შესახებ დღევანდელ შეხვედრაზე გახდა ცნობილი. დღეს პარლამენტში ფრაქცია "ქრისტიან-დემოკრატებსა" და კონტროლის პალატის თავმჯდომარის ლევან ბეჟაშვილის შეხვედრა გაიმართა.

"ქრისტიან დემოკრატები" და კონტროლის პალატა დევნილი მოსახლეობისათვის გაწეული დახმარებების საკითხს ერთობლივად შეისწავლიან.

როგორც ბეჟაშვილმა განაცხადა, უახლოეს ორ კვირაში სპეციალური ჯგუფები ჩამოყალიბდება, რომლებიც კონკრეტული მიმართულებით იმუშავებენ.

მხარეები გამოყოფილი თანხების თანაფარდობის საკითხსაც შეისწავლიან, კერძოდ შეხვედრაზე საუბარი იყო, სხვადასხვა ტერიტორიაზე განთავსებული დევნილების განსხვავებულ პირობებში ყოფნაზე. ოპოზიცია დაინტერესებულია დევნილთათვის აშენებლი სახლების ხარისხითაც და ამ სახლების გადანაწილებაში არსებული კორუფციული რისკებით. ქრისტიან დემოკრატები დაინტერესდნენ დევნილებისტვის თურქეთის მხარის მიერ აშენებული სახლების ხარჯებით, რათა შეადარონ სხვა კომპანიების მიერ დახარჯულ თანხებს. შეგახსენებთ, რომ კანონის თანხმად საპარლამენტო ფრაქციას უფლება აქვს კონტროლის პალატას სასესიო პერიოდში ერთხელ მოსთხოვოს მათთვის მნიშვნელოვან საკითხზე, რიგგარეშე, არაგეგმიური აუდიტის ჩატარება. **24 საათი**

## თსუ იუბილეს აღნიშნავს

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 90 წლის იუბილესთან დაკავშირებით უნივერსიტეტის პირველ კორპუსში არქეოლოგიური გამოფენა და წიგნების პრეზენტაცია მოაწყვეს.

გამოფენაზე ახალგაზრდა არქეოლოგების მიერ ახლახანს აღმოჩენილი ნივთები პირველად იქნა წარმოდგენილი. აქ იყო ძვ.წ. მე-4, მე-3 ათასწლეულების მესოპოტამიური საბეჭდავები, ძვ.წ. მე - 6, მე-5 ათასწლეულების სახვრეტები და ნამგლის ჩასართები, ძვ.წ. მე - 7 ათასწლეულის ხელცული, ძვ.წ მე - 6 ათასწლეულის კაჟის შუბისპირი და ბევრი სხვა არქეოლოგიური ნიმუში.

გუშინვე უნივერსიტეტის გამომცემლობის მიერ დაბეჭდილი წიგნების პრეზენტაცია მოეწყო. უნივერსიტეტის გამომცემლობის დირექტორ თამარ ებრალიძის თქმით, წელს გამომცემლობამ 45 წიგნი გამოსცა. მისივე თქმით, გამომცემლობა მთლიანად უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან დაფინანსდა.

პრეზენტაციაზე წარდგენილ წიგნებს შორის არის "თეორიული ენათმეცნიერების კურსი", ზურაბ კიკნაძის "ქართული ფოლკლორი", მერაბ ჩუხუას "იბერიულ - იჩქერულ ენათა შედარებითი გრამატიკა", ჩიკვილაძის ქართული პუბლიცისტიკა, თამარ შარაბიძის "ქრისტიანული მოტივები მე-19 საუკუნის ქართველ ლირიკოსთა ლირიკაში", ლელი ბარამიძის "ქართული ენის ისტორიული გრამატიკული საკითხები" და სხვა.

თამარ ებრალიძის თქმით, გარდა ქართული წიგნებისა, ითარგმნა უცხოური წიგნებიც, მაგალითად, "დონ კიხოტი", ჰაროლთ კისის "სტატისტიკა სოციალურ მეცნიერებაში" და სხვა. **24 საათი**

## კოდაში დევნილებს სახნავ-სათესი მიწები გადაეცათ

სოფელ კოდაში ჩასახლებულ, რუსული აგრესიის შედეგად დაზარალებულ 460 ოჯახს მიწები გადაეცათ - თითოეულ ოჯახს ნახევარი ჰექტარი. ამის შესახებ დევნილებს გუშინ ლტოლვილთა და განსახლების მინისტრმა კობა სუბელიანმა პირადად აცნობა.

მიწების დაკანონების პროცესი საჯარო რეესტრში დღეიდან დაიწყება.

"დავიწყეთ მიწების განაწილება. თითოეულ ოჯახს თანაბარი რაოდენობის მიწა შეხვდება. გარდა მიწების გადაცემისა, ამ ადამიანებს სახნავ-სათესი მოწყობილობებითაც დავეხმარებით. ეს ტერიტორიები უხვმოსავლიანია და შეეძლებათ, კარგი მოსავალი მოიყვანონ, რათა საკუთარი შემოსავლის წყარო გაუჩნდეთ. მთავარია, რომ ამ ადამიანებს ღირსეული საცხოვრებელი პირობები შევუქმნათ და მათი შემოსავლის წყარო გაიზარდოს," - განაცხადა კოდაში მყოფმა კობა სუბელიანმა. **მედიანიუსი**

## თომას ჰამარბერგი სოხუმში

ადამიანის უფლებათა ევროსაბჭოს უმაღლესი კომისარი თომას ჰამარბერგი გუშინ დილით თბილისში ჩამოფრინდა, რამდენიმე საათის შემდეგ კი სოხუმში სამუშაო ვიზიტით გაემგზავრა. ჰამარბერგის ვიზიტი აფხაზეთში (საქართველო) 11 თებერვლამდე გაგრძელდება.

სოხუმის მარიონეტული მთავრობის დე ფაქტო მინისტრ სერგეი შამბას განცხადებით, სოხუმი მზად არის, ჰამარბერგს კოდორის ხეობის ზედა ნაწილის დათვალიერება შესთავაზოს.

ვიზიტის ფარგლებში 11 თებერვალს თომას ჰამარბერგი გალის რაიონში ჩავა და იქ არსებულ სიტუაციას პირადად გაეცნობა. **მედიანიუსი**

ავთანდილ საყვარელიძის ინსტიტუტის ჯგუფის მეგობრები თანაუგრძნობენ მარინა მაჭავარიანს და ქეთინო საყვარელიძეს სიძისა და მეუღლის

**მერაბ ჭანტურიას**

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ ოჯახს.

*N 901 ჯგუფის მეგობრები*

# გაწკეპლილები და გასაწკეპლები

სოფიო თოდუა

დასავლეთში ხშირად მსჯელობენ იმის თაობაზე, უნდა გამოამჟღავნოს თუ არა ჟურნალისტმა თავისი სუბიექტური პოზიცია კონკრეტულად რომელიმე სიუჟეტის მომზადებისას. აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად, ჩვენ ამ საკითხებზე საკამათოდ ჯერჯერობით არ გვცხელა. მიზეზი გასაგებია: სამწუხაროდ, ქართული მედია იმდენად დამოკიდებულია პოლიტიკურ კონიუნქტურაზე, ყველაზე კეთილსინდისიერი ჟურნალისტის უწყინარ მედიატექსტებშიც ადვილად ამოიცნობა მისი პოლიტიკური მრწამსი. ასე რომ, ახლა რომ მოვყვე მტკიცებას, მეც მგონია, განათლებისა და მეცნიერების მინისტრად მაინცდამაინც ნიკა გვარამია არ უნდა დაენიშნათ-მეთქი, მაინც არავინ დამიჯერებს. არადა, რომ დაეჯერებინათ, დავამატებდი: მეც, ისევე როგორც სხვებს, მიზანშეწონილად არ მიმაჩნია ამ თანამდებობაზე იმ ადამიანის წარდგენა, რომელმაც სულ სხვა სარბიელზე გამოიჩინა თავი; მეც, ისევე როგორც სხვებს, ასევე მაინტერესებს, რა ვერ გააკეთა გვარამიას წინამორბედმა გია ნოდიამ; მეც, ისევე როგორც სხვებს, არანაირად არ მაკმაყოფილებს სკოლებსა თუ უმაღლეს სასწავლებლებში შექმნილი მდგომარეობა, რის გამოც ისინი მათ უმთავრეს ფუნქციას ვერ ასრულებენ - ცოდნას არ იძლევიან.

განათლების რეფორმა ერთ და ორ წელიწადში რომ დასრულდებოდა, ამის ილუზია არც არავის ჰქონია. მაგრამ მარტო ის ფაქტი, რომ ერთი უაღრესად წარმატებული ნაბიჯის მიუხედავად (ერთიან ეროვნულ გამოცდებს ვგულისხმობ) მოსწავლეების თვალშისაცემად დიდ ნაწილს გამოცდების ჩასაბარებლად რეპეტიტორებთან მომზადება სჭირდება, 2003 წლიდან მოყოლებული დღემდე ყველა მინისტრის ბიოგრაფიას დაამძიმებს. თუ ამ ხარვეზს (უკიდურესად რბილი ნათქვამია) ახალი მინისტრი ოდნავ მაინც ვერ აღმოფხვრის, სხვა დანარჩენი - დამთბარი შენობებიდან დაწყებული, უსაფრთხო სკოლით დამთავრებული - ისევე ადვილად მიეცემა დავიწყებას, როგორც მიეცა დავიწყებას ერთი ყურადსაღები ფაქტი, კერძოდ: ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის მზადება ალექსანდრე კარტოზიას მინისტრობის დროს დაიწყო.

თითქოს ყველამ ვიცით, რომ კარგი სკოლა ამავდროულად უსაფრთხო სკოლასაც გულისხმობს. ამის მიუხედავად, საზოგადოება, რომელიც წინამორბედ მინისტრებს სწორედ დისციპლინის გამკაცრებისკენ მოუწოდებდა, ზომაზე მეტად აღაშფოთა ახლადადნიშნული გვარამიას პირველივე კომენტარმა სკოლებში უსაფრთხოების ზომების გამკაცრებასთან დაკავშირებით. მასწავლებლებისა და მშობლების დიდი ნაწილი ასევე გააღიზიანა ვანო მერაბიშვილის საჩუქარმა, რომელიც მან მასწავლებლებს საახალწლოდ დაურიგა: ერთი ბლოკნოტი, ორი ავტოკალამი (წითელი და ლურჯი, შავი - არა) და ინსტრუქცია, რომ სკოლა და პოლიცია ერთად უნდა გაუმკლავდნენ დანაშაულს. როგორც ჩანს, ამ ერთი წლის განმავლობაში რაღაც შეიცვალა ჩვენს ცნობიერებაში და ადვილად დავივიწყეთ თუნდაც ის ფაქტი, რომ 2007 წელს ექვსი სკოლის მოსწავლე მოკლეს, სხვათა შორის - მათივე თანატოლებმა. აღარც შიგადაშიგ გარემონტებულ ტუალეტებში "შეკეთებული პლანის" სუნი აღიზიანებს ჩვენი ყნოსვის რეცეპტორებს და არც სკოლის ეზოებში ატეხილი აყალმაყალი გვაფორიაქებს, თუმცა ვიცით, რომ "ტერიტორიის" გარეთ ქუჩური გარჩევები ხშირად დრამატულად მთავრდება.

შესაძლოა, ახლადდანიშნულ მინისტრს მართლაც არ ეყოს კომპეტენცია რეფორმა განათლების სისტემაში ბოლომდე მიიყვანოს, მაგრამ თუ მას ეყოფა ძალა და სულ სხვა სფეროში დაგროვილ გამოცდილებას სკოლის უსაფრთხოებას მოახმარს, კარგია ეს თუ ცუდი?

როცა საბჭოთა საქართველოში ვცხოვრობდით, სკოლა მაშინაც არ ვარგოდა, მაგრამ ხომ იყვნენ ჩვენი მშობლები მშვიდად და ხომ სჯეროდათ, რომ შინ საღ-სალამათი ბავშვები დაუბრუნდებოდნენ? რაც შეეხება დისციპლინას სკოლაში, მე გამიმართლა და შარშან ჩემი თვალით ვიხილე, რა კეთდება ამერიკის შეერთებულ შტატებში სკოლების უსაფრთხოებასთან დაკავშირებით. მიუხედავად იმისა, რომ იქაური შთაბეჭდილებები "24 საათის" მკითხველს საქართველოში დაბრუნებისთანავე გავუზიარე, ქვეყანა არ დაიქცევა, იგივეს ხელახლა თუ გავიმეორებ. ალბათ ზედმეტია მკითხველისთვის იმის შეხსენება, რომ შეერთებულ შტატებში სკოლებში ბავშვები ცოდნის შესაძენად დადიან და სასკოლო პროცესის ჩაშლას, ტორნადოსა და წყალდიდობის გარდა, თითქმის არაფერი ემუქრება.

■ ■ ■

ამერიკაში ყველას ახსოვს 1999 წელს კოლომბაინის სკოლაში დატრიალებული ტრაგედია, როცა ორმა ახალგაზრდამ ცეცხლი გახსნა და 15 მოზარდი სიცოცხლეს გამოასალმა. იქიდან მოყოლებული დისციპლინის გამკაცრებას სკოლებში დაახლოებით ისეთივე ყურადღება ექცევა, როგორც უსაფრთოხების დაცვას ამერიკის აეროპორტებში. იქ იციან, რომ წვრილმანი ხულიგნობა და მარიხუანით თავის შექცევა, უმრავლეს შემთხვევაში, სერიოზული დანაშაულით მთავრდება. ამიტომ იხარჯება უამრავი ფული და ენერგია სკოლებში პრევენციული ზომების გასატარებლად. ამერიკის სკოლებში აუცილებლად ნახავთ კბილებამდე შეიარაღებულ პოლიციელს - და ეს მაშინ, როცა იქაური სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაციები ამ ფაქტს აპროტესტებენ და მიიჩნევენ, რომ სკოლაში იარაღასხმული ადამიანის არსებობა ცუდად მოქმედებს ბავშვის ფსიქიკაზე. ცეცხლსასროლი იარაღი, სხვადასხვა ტიპის რაციები, ხელკეტები, ელექტროშოკის აპარატები, ნარკოტიკების შესამოწმებელი დეტექტორები - სკოლის პოლიციელების ჩვეულებრივი ეკიპირებაა. მარტო ეს, როგორც ჩანს, არ კმარა და უსაფრთხოების ზომების კიდევ უფრო გასამკაცრებლად ამერიკის საჯარო სკოლებში უკლებლივ ყველა საკლასო ოთახი შიგნიდან იკეტება.

ყველა სკოლას საკუთარი ქცევის კოდექსი აქვს შემუშავებული - ზოგჯერ იმდენად მკაცრი, ჩვენი გადმოსახედიდან ძნელი დასადგენია, სად გადის ზღვარი ჩვეულებრივ სკოლასა და პენიტენციალურ დაწესებულებას შორის. რადგან ამერიკაში ყველაფერი შტატების, ოლქებისა თუ დისტრიქტების დონეზე წყდება, სკოლებში უსაფრთხოების ზომების გასატარებლად ნაირ-ნაირ მეთოდებს იყენებენ. მაგალითად: ალაბამის ერთ-ერთ საუკეთესო საჯარო სკოლაში ამაყად გვიჩვენეს თანამედროვე წკეპლა და ამ ელეგანტური "იარაღით" გაწკეპლილი ყმაწვილები. ზოგიერთ სკოლაში, განსაკუთრებით ჩრდილოეთის შტატებში, სასკოლო ფორმის ტარება ისევე აუცილებელია, როგორც საგნების სწავლა, თუმცა სამხრეთის იმ შტატებში, სადაც მოსახლეობის უმრავლესობას ლათინოსები შეადგენენ, ჩაცმულობას საერთოდ არ აქცევენ ყურადღებას. დანაშაულის სიმძიმიდან გამომდინარე, ასევე განსხვავებულია დასჯის მეთოდები. შედარებით მსუბუქი დანაშაული, როგორიცაა კედლების უწმაწური სიტყვებით აჭრელება ან მასწავლებლებისთვის სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენება, გაკვეთილების შემდეგ დატოვებითა და საკლასო ოთახის დალაგებით მთავრდება. ასევე მიღებულია დაუმორჩილებელი თინეიჯერების ცალკე ოთახებში გამოკეტვა შესვენებებზე, ლანჩსა და სპორტულ დარბაზებზე უარის თქმით. უფრო სერიოზული და სერიული გადაცდომები - იქნება ეს სისტემატური გაცდენა, სიგარეტი, მარიხუანა, ალკოჰოლი თუ სხვების დაჩაგვრის მცდელობა, ალტერნატიული სკოლებით მთავრდება. იქ მოსწავლე იმდენ ხანს რჩება, სანამ გამოსწორების გზას არ დაადგება. ზოგიერთ შტატში (ცხადია, ეს სამხრეთში არ მოხდება) ასევე მიღებულია ბავშვთა სასამართლოები, როცა სკოლის მოსწავლეებს ერთმანეთისთვის გამოაქვთ განაჩენი. ასეთი სასამართლო ჩვენთვის ამთავითვე მიუღებელია და აუცილებლად გაგვახსენებს კომკავშირული სასამართლოებს. მაგრამ იქ, სადაც ამ ტიპის "სამართალწარმოებას" ამრეზით არ უყურებენ, თინეიჯერი ადვოკატები თუ მოსამართლეები სასამართლო პროცესს წესების სრული დაცვით წარმართავენ. უსაფრთხოების ზომების გამკაცრების მიუხედავად, დანაშაულის მაჩვენებელი არასრულწლოვანებში ამერიკაში კვლავინდებურად მაღალია და ბევრი მათგანი უმძიმესი ბრალდებით მკაცრი რეჟიმის ციხეებში ხვდება. მართალია, არასრულწლოვანთა სიკვდილით დასჯას ბოლო დროს ყველა ერიდება, მაგრამ უკიდურესად მძიმე დანაშაულის შემთხვევაში სასჯელიც უკიდურესად მკაცრია.

■ ■ ■

სამწუხაროდ, მე არ ვიცი, როგორ ებრძვიან დანაშაულს ადრეულ ასაკში ევროპის განვითარებულ ქვეყნებში, მაგრამ ვიცი, რით განსხვავდება კერძო და საჯარო სკოლა ერთმანეთისაგან საქართველოში. ერთ-ერთი (თუ ერთადერთი არა) მიზეზი, რის გამოც მშობლები ნემსის ყუნწში ძვრებიან და რის ვაი-ვაგლახით დაგროვილ ფულს კერძო სკოლებში იხდიან, სწორედ უსაფრთხოების გარანტიაა. მეც კარგად მახსოვს დრო, როცა ძალიან მიხაროდა, ჩემი შვილი სკოლას თუ აცდენდა: ჯერ იმიტომ, რომ იქიდან გაციებული არ დაბრუნებულიყო, მოგვიანებით კი იმ მიზეზით, რომ ასინეთას როლი და გამუდმებით თვალთვალი იმის შიშით, ვაიდა, შარში არ გარეულიყო, ჩემთვის ძნელად მოსარგები აღმოჩნდა.

იურისტების ენით რომ ვთქვათ, რადგან განათლებისა და მეცნიერების ახლადდანიშნული მინისტრი ამჯერად ჩემი დაცვის ქვეშ იმყოფება, ეს წერილი ერთი რჩევით მინდა დავამთავრო. ბატონო ნიკა! როგორც კი სკოლაში სწავლის პროცესი ჩვეულ კალაპოტში ჩადგება, საზოგადოებას აღარ გააღიზიანებს სკოლებში უსაფრთხოების ზომების გამკაცრება; მასწავლებლებიც დიდი ხალისით ითანამშრომლებენ თქვენს კოლეგა მინისტრთან (სხვათა შორის, უსაჩუქროდაც) და მშობლებიც დაიჯერებენ, რომ საჯარო სკოლა მხოლოდ ღარიბებისთვის არ არსებობს. ახლა ჯერი თქვენზეა, ოღონდ უმორჩილესად გთხოვთ: კიდევ უფრო ნუ გააღრმავებთ იმ ნაპრალს, რაც საზოგადოებასა და განათლების სისტემაში დაკავებულ მოხელეებს შორის გაჩნდა - სამწუხაროდ, იმ მიზეზით, რომ ხელისუფლებამ კარგად ვერ გაგვაგებინა, ვინ და რა უშლის ხელს რეფორმის ბოლომდე გატარებას.

# საგანგებო რეჟიმი საქართველოს გზებზე

საავტომობილო გზების დეპარტამენტის ინფორმაციით, დიდთოვლობის გამო, მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსის საავტომობილო გზის გუდაური-კობის მონაკვეთზე მისაბმელიანი, ნახევრადმისაბმელიანი ავტოტრანსპორტის და 30 ადგილზე მეტი ტევადობის ავტობუსების მოძრაობა აკრძალულია, ხოლო დანარჩენი სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა დასაშვებია მოცურების საწინააღმდეგო ჯაჭვების გამოყენებით. თავისუფალია მხოლოდ ორი და მეტი წამყვანი ხიდის მქონე ავტოტრანსპორტის მოძრაობა.

დიდთოვლობის გამო, ზუგდიდი-ჯვარი-ხაიში-მესტია-ლასდილის საავტომობილო გზის 140-188 კმ-ებზე (მესტია-უშგულის მონაკვეთი) ავტოტრანსპორტის მოძრაობა დასაშვებია მოცურების საწინააღმდეგო ჯაჭვების გამოყენებით, ხოლო ორი და მეტი წამყვანი ხიდის მქონე ავტოტრანსპორტის მოძრაობა თავისუფალია. ამავე გზის 1-140 კმ-ებზე ავტოტრანსპორტის მოძრაობა თავისუფალია.

აკრძალულია მოძრაობა ქუთაისი-ტყიბული-ამბროლაურის საავტომობილო გზის 37-73 კმ-ებზე (ნაქერალას უღელტეხილი) მისაბმელიანი, ნახევრადმისაბმელიანი ავტოტრანსპორტის და 30 ადგილზე მეტი ტევადობის ავტობუსების, ხოლო დანარჩენი სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა თავისუფალია.

ასევე, ფონიჭალა-მარნეული-გუგუთის (სომხეთის საზღვარი) საავტომობილო გზის 74-97 კმ-ებზე მისაბმელიანი, ნახევრადმისაბმელიანი ავტოტრეანსპორტის და დიდი ტევადობის ავტობუსების მოძრაობა აკრძალულია, ხოლო დანარჩენი სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა თავისუფალია.

რაც შეეხება ქუთაისი-წყალტუბო-ცაგერი-ლენტეხი-ლასდილის საავტომობილო გზის 1-130 კმ-ს, ავტოტრანსპორტის მოძრაობა იქ თავისუფალია.

დეპარტამენტის ინფორმაციით, აღნიშნულ მიმართულებებზე მობილიზებულია საგზაო ტექნიკა. შეუფერხებელი და უსაფრთხო გავლადობის უზრუნველსაყოფად სისტემატურად მიმდინარეობს გზების გაწმენდითი სამუშაოები.

*24 საათი*

# ნალდაქეძილი რწყილების ქვეყანა

პირველი გვერდიდან

> ფასის პრობლემა ძალიან მრავალრიცხოვანი რუსი ხალხისთვის არასდროს დამდგარა. არც მაშინ, როდესაც პეტრე პირველი პეტერბურგს აშენებდა და იქაური ჭაობები რუსი ყმების გვამებით გაავსო - მშვენიერი ქალაქის სანკტ-პეტერბურგის ქუჩების ქვეშ 200 ათასამდე გვამი ასვენია, რაც რუსებს სრულად არ უშლის ხელს, რომ მის სილამაზით იამაყონ; არც მაშინ, როდესაც სტალინის გენერლები უაზროდ ერეკებოდნენ სიკვდილზე მთელ დივიზიებს.

შეგვიძლია კი იგივე ვთქვათ რუსებზე, რომლებიც მუდამ იპყრობდნენ ახალ ტერიტორიებს, ისე რომ ვერ ასწრებდნენ იმ მიწების მოწყობასა და ათვისებას, რომლებიც მანამდე გააჩნდათ?.. არ მგონია, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ პრაქტიკულად ყველა ერი, რომელიც რუსეთის იმპერიისა და საბჭოთა კავშირის ძალაუფლების ქვეშ იმყოფებოდა, პირველივე შესაძლებლობის შემთხვევაში ნებისმიერ ფასად ცდილობს რუსეთის თავიდან მოშორებას და ეს ტენდენცია გამართლებულია: მაგალითად, ფინეთი, რომელიც რუსეთს 1918 წელს გამოეყო, აყვავებული ქვეყანა გახდა. რუსეთში კი ფინეთის "თავიდან მოცილების" შემდეგ ცხოვრება არ გაუმჯობესებულა.

საოცარია: ყველა გეოგრაფიული, პოლიტიკური და სხვა მოტივით, ქართველებისთვის, უკრაინელებისთვის, ესტონელებისთვის და ლიტველებისთვის ლოგიკური იქნებოდა რუსეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობების შენარჩუნება. რუსეთში ხომ ამდენი ნავთობი და გაზია, ის ისეთი ძლიერია, რამე რომ მოხდეს, დაცვაც შეუძლია... მაგრამ არა - ყველა გარბის! მათ შორის ის ქვეყნებიც, რომლებიც ფორმალურად საბჭოთა კავშირში არ შედიოდნენ, მაგრამ მის უღელქვეშ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ აღმოჩნდნენ - პოლონეთი, რუმინეთი, ჩეხოსლოვაკია, უნგრეთი, აღმოსავლეთ გერმანია. რატომ არ უყვართ მათ ასე რუსები? ის რუსები, რომლებმაც ისინი ჰიტლერისგან იხსნეს? ეს იმის შესახებ, თუ რა სიკეთე აქვს გაკეთებული რუსეთს სხვებისთვის. დიახაც, სწორედ რუსეთმა გადატეხა ხერხემალში ნაცისტური გერმანია.

მაგრამ, აქაც დაფიქრება გვმართებს. საუბარი სულაც არ ეხება რაიმე სახის რევიზიონიზმს. საქმე სხვაა: რა ფასად მოხდა ეს ყველაფერი? მშვენიერ საბჭოთა ფილმში "ბელარუსის ვაგზალი" ჟღერდა ბულატ ოკუჯავას სიმღერა, სადაც ასეთი სიტყვები იყო: "[illegible]". აი, ამ სიტყვებზე დაფიქრება ღირს. სასტიკი ფასი, რომელიც საბჭოთა კავშირმა გამარჯვებაში გადაიხადა, სიამაყის საბაბი გახდა მაშინ, როდესაც მრისხანებას და სირცხვილის გრძნობას უნდა იწვევდეს. მართლაც, ამ ომში სსრკ-მ (გამარჯვებულმა!) ოფიციალური, ძალზე შემცირებული ცნობებით, 27 მილიონი მოქალაქე დაკარგა. ანუ სამჯერ უფრო მეტი, ვიდრე დამარცხებულმა გერმანელებმა მეორე მსოფლიო ომის ყველა ფრონტზე. და აიხსნება ეს არა იმდენად გერმანელების ბარბაროსობითა და სისასტიკით (რისი უარყოფაც უაზრობაა), რამდენადაც საბჭოთა ხელმძღვანელობის არაკომპეტენტურობით, რუსი ხალხის საყვარელი ბელადის იოსებ სტალინის მეთაურობით. მაგრამ, საქმე სწორედ ისაა, რომ ფასის პრობლემა ძალიან მრავალრიცხოვანი რუსი ხალხისთვის არასდროს დამდგარა. არც მაშინ, როდესაც პეტრე პირველი პეტერბურგს აშენებდა და იქაური ჭაობები რუსი ყმების გვამებით გაავსო - მშვენიერი ქალაქის სანკტ-პეტერბურგის ქუჩების ქვეშ 200 ათასამდე გვამი ასვენია, რაც რუსებს სრულად არ უშლის ხელს, რომ მის სილამაზით იამაყონ; არც მაშინ, როდესაც სტალინის გენერლები უაზროდ ერეკებოდნენ სიკვდილზე მთელ დივიზიებს იქ, სადაც მცოდნე მეთაური პოლკებსაც იმყოფინებდა. მაგრამ, ვინც მეთაურობა იცოდა, ისინი სტალინმა იმ დროისთვის უკვე გაანადგურა. გამოიწვია 30-იანი წლების ტერორმა და მისმა "გენიალურმა" ორგანიზატორმა რუსი ხალხის უმრავლესობის რისხვა და სიძულვილი? როგორც ჩანს - არა. ჰქონია კი როდესმე რუსეთში ადამიანის სიცოცხლეს რაიმე ფასი? ხალხი იქ ბევრია და მშვენიერი რუსი ქალები კიდევ გააჩენენ იმდენს, რამდენიც საჭიროა. ასე რომ - არ გვენანება, რამდენიც საჭიროა, იმდენს გავწირავთ. რუსები ყოველთვის ამაყობენ, როდესაც რაღაცაში სამმაგ ფასს იხდიან... ჭკუით ამას, მართლაც, ვერ მიხვდები.

...80-იანი წლების მიწურულს საქართველოს დამოუკიდებლობაზე საუბრები სერიოზულ ეჭვებს აღმიძრავდა. მე უფრო გორბაჩოვს ვეთანხმებოდი, რომელიც ამბობდა, რომ საუკუნოვანი კავშირების უცებ გაწყვეტა არ შეიძლება, ცოცხლის მოჭრა არ შეიძლება. მე მეეჭვებოდა, რომ საქართველო დამოუკიდებლად გადარჩებოდა - ყოველ შემთხვევაში, ეკონომიკური თვალსაზრისით. ამაზე ქართველმა მწერალმა ჯემალ ქარჩხაძემ თქვა: "რა თქმა უნდა, ძნელია. მაგრამ წარმოიდგინე სხვა ვარიანტი: გამოყოფას საქართველო კი არა, რუსეთი მოისურვებს, მაინც გადარჩენაზე ზრუნვა არ მოგვიწევს?"

ალბათ, უნდა განვმარტო, რომ მე ქართულ პროზას რუსულად ვთარგმნიდი. ჩემთვის სავსებით ნათელი იყო, რომ რუსეთისგან საქართველოს გამოყოფასთან ერთად საყვარელ სამუშაოს დავკარგავდი, პროფესიის შეცვლა მომიწევდა. მაშინ ჯერ კიდევ მეჩვენებოდა, რომ ერთად ცხოვრება შესაძლებელი იყო.

მაგრამ ახლა, მეოთხედი საუკუნის შემდეგ ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ რა შეცდომებიც არ იუნდა დაეშვათ ქართველ ხელმძღვანელებს ზვიად გამსახურდიასა თუ მიხეილ სააკაშვილს, მათი მთავარი სწრაფვა - რუსეთს მოსწყდნენ და ევროპას შეუერთდნენ, სწორია, თუნდაც ამით ჩემი ეკონომიკური ინტერესები ზარალდებოდეს.

რადგან რუსეთმა ყველას, ვინც თავისი ძალაუფლების ქვეშ მოაქცია, უდიდესი ბოროტება და აურაცხელი უბედურებები მოუტანა. მან მოიტანა საბჭოთა - სასტიკი, არაადამიანური და ცრუ ხელისუფლება. მან მოიტანა "გულაგი" და ათეულმილიონობით გათელილი სიცოცხლე. მოიტანა ჩამორჩენილი ეკონომიკა, რომელშიც შედეგიანად მხოლოდ ერთი დარგი - სამხედრო წარმოება მუშაობდა. (კოსმოსის ათვისება წარმატებული იმიტომ გამოდგა, რომ მას რეალურად სამხედრო მიზნები ჰქონდა). ვინმეს რამე გაუგია რუსული წარმოების ხარისხიანი სახალხო მოხმარების საქონლის - ტანსაცმლის, ფეხსაცმლის, ელექტროხელსაწყოების, ავტომობილების შესახებ? დიახ, არსებობს კალაშნიკოვის ავტომატი. მსოფლიოში ყველა ადამიანი, მათ შორის რუსიც, ცდილობს ჩაიცვას ინგლისური კოსტუმი, იტალიური ფეხსაცმელი, გაიკეთოს შვეიცარიული საათი, მოწიოს ამერიკული სიგარეტი, იაროს გერმანული მანქანებით, გამოიყენოს იაპონური ელექტრონიკა, ფინური მობილური ტელეფონები, ფრანგული კოსმეტიკა და პარფიუმერია. მართალია, რუსეთი განთქმული იყო ხიზილალით და არყით, მაგრამ ხიზილალას დებენ არა რუსები, არამედ ზუთხი, რომელიც რუსებმა უკვე თითქმის გაანადგურეს, ხოლო რუსული არყით, როგორც ეს გაირკვა, შეიძლება მოიწამლო. ნებისმიერ შემთხვევაში, შვედური მას არაფრით ჩამორჩება. ასე რომ, თუ ჩავუღრმავდებით, რუსეთისგან მოწყვეტა "მოწყვეტილთათვის" არც ისე დიდი ზარალია. ფინეთზე უკვე ვისაუბრეთ. ისტორიამ კიდევ ერთი მშვენიერი ექსპერიმენტი მოაწყო: ერთი და იგივე ხალხი, ერთი და იგივე კულტურითა და ტრადიციებით, მოვლენებმა ორ ნაწილად გაყო; ერთმა ნაწილმა თავისუფლება შეინარჩუნა, მეორე საბჭოთა კავშირის ძალაუფლების ქვეშ აღმოჩნდა. შედეგი სახეზეა: გერმანიის ის ნაწილი, რომელიც ომის შემდეგ რუსეთის გავლენის ქვეშ აღმოჩნდა, გაცილებით უარესად ცხოვრობდა, ვიდრე ევროპაში დარჩენილი ნაწილი. მაგრამ "საბჭოთა" გერმანიაც გაცილებით უკეთ მუშაობდა და ცხოვრობდა, ვიდრე რუსეთი!

ვლადიმირ პუტინმა განაცხადა, რომ ის მე-20 საუკუნის ყველაზე დიდ გეოპოლიტიკურ კატასტროფად საბჭოთა კავშირის დაშლას მიიჩნევს და არა ბოლშევიკების ხელისუფლებაში მოსვლას, რომლებმაც ამდენი ბოროტება მიაყენეს თავის ქვეყანას და ყველას, ვინც მათი გავლენის სფეროში მოექცა. პუტინის თქმით, სტალინის ჰიტლერთან გაიგივება არ შეიძლება. მისი აზრით, სტალინი მაინც უკეთესია. მან იმავე სულისკვეთებით აღნიშნა, რომ საჭიროა ახალგაზრდებს ჩავუსახოთ სამშობლოს სიყვარული და მისით სიამაყე. ამისთვის კი არ არის საჭირო სამშობლოს წარსულისთვის ჩირქის მოცხება. მაგრამ, როგორ უნდა მოვიქცეთ, თუკი "ჩირქის მოცხება" მხოლოდ და მხოლოდ მისი ისტორიის შესახებ სიმართლის თქმას ნიშნავს? ვინ არის დამნაშავე, რომ ამ სამშობლოს წარსულში ამდენი ბუნდოვანი და დაფარულია? ექიმები ხომ გამოჯანმრთელებისთვის პირველ და უმთავრეს ნაბიჯად სწორ დიაგნოზს მიიჩნევენ. თუკი კვლავ დაუფიქრებლად ვიამაყებთ რუსეთის წარსულით, ეს, რა თქმა უნდა, ისევ ისეთივე შავ და გარყვნილ მომავალში მიგვიყვანს. ჯერჯერობით კი რუსეთში რეკომენდირებულია ისტორიის ისეთი სახელმძღვანელოები, სადაც სტალინი რეაბილიტირებულია, ხოლო მასობრივი რეპრესიები ანუ ათობით მილიონი უდანაშაულო ადამიანის სადისტური განადგურება სახელმწიფოებრივი აუცილებლობით არის გამართლებული...

> ღირს კი გაკვირვება, რომ ქვეყანა ბანდიტურია?... ბევრს ახსოვს პუტინის ფრაზა: "[illegible]". მოდით, გავერკვეთ: შეიძლება დავიჯეროთ, რომ სპონტანურად წამოესროლათ ფრაზები ისეთ ძველ, საბჭოურ მმართველებს, როგორებიც იყვნენ ხრუშჩოვი ან ელცინი, მაგრამ რთულია დაიჯერო სპონტანურობა ისეთი ადამიანისგან, რომელიც "კგბ"-ს რიგებიდან არის და ევროპულ ქვეყნებში მზვერავად მუშაობდა.

უბრალოდ გასაკვირია, რატომ მიიჩნევენ რუსები ქართველ სტალინს თავისიანად! მართალია არის ხალხი, რომლებმაც ის დამნაშავედ აღიარეს, მაგრამ ეს მისი წარმომავლობით ახსნეს. როდესაც "პერესტროიკა" დაიწყო და გამოქვეყნდა ისეთი მასალები, რომლებიც სტალინის და საბჭოთა ხელისუფლების შესახებ არსებულ დოკუმენტებს ეყრდნობოდა, ზოგიერთი რუსი მწერალი - მაგალითად, ვიქტორ ასტაფეევი, ვასილ ბელოვი - ამ ყველაფერის შესახებ წერისას აღნიშნავდნენ, რომ ბოლშევიკების პარტიის მმართველობაში ბევრი ებრაელი იყო. ასევე ყურადღებას ამახვილებდნენ სტალინის ქართულ აქცენტზე და ეს მოჰყავდათ არგუმენტად როცა აცხადებდნენ, რომ ის რუსი არ არის, ქართველია და სწორედ აქედან მოდის ყველა უბედურება. ამაზე ქართველმა რეჟისორმა გიგა ლორთქიფანიძემ სამართლიანად შენიშნა, რომ სტალინი საქართველოდან წვრილმან დამნაშავედ წავიდა, ხოლო დიდ ბელადად უკვე რუსეთში ჩამოყალიბდა...

ისე, შეიძლება ითქვას, რომ საბჭოთა ხელისუფლება რაღაცაში ზედმეტად გულწრფელი აღმოჩნდა: ბანაკებში (არა პიონერულში!) ადმინისტრაცია სისხლის სამართლის დამნაშავეებს ისე ექცეოდა, როგორც სოციალურად ახლობელ ადამიანებს, რომლებსაც, უბრალოდ, "ფეხი დაუცდათ", პოლიტპატიმრებს კი მტრებად მიიჩნევდნენ და განსაკუთრებული სიამოვნებით აწამებდნენ. გასაგებია, რომ შესაბამისი ინსტრუქციები "ზევიდან" იყო წამოსული. და მაინც, ის რა ხელისუფლებაა, რომელიც ბანდიტებს, მკვლელებს, ქურდებს და მოძალადეებს შინაურებად მიიჩნევს, ხოლო მასწავლებლებს, ექიმებს, ინჟინრებს და მეცნიერებს - მტრებად? და ის რა ხალხია, რომელსაც უყვარს ასეთი ხელისუფლება და ენდობა მას? ჩემი ნაცნობი ქალი - მწერალი, ჟურნალისტი, ლექტორი, - ლექსიკონებზე მუშაობის შემდეგ ასეთ დასკვნამდე მივიდა: თუკი მე-20 საუკუნის 20-30-იან წლებში სსრკ-ში დამნაშავეთა ჟარგონი კრიმინალური სამყაროსგან შორს მდგარი ხალხისთვის პრაქტიკულად გაუგებარი იყო, დღეს მდგომარეობა სრულიად განსხვავებულია - ქურდული ლექსიკა ფართოდ გამოიყენება რუსეთის ყოველდღიურ ცხოვრებაში. და კიდევ: ის საშინელება, რაც რუსულ ჯარში ხდება, მაგალითად - "დედოვშინა", იქ კრიმინალური სამყაროდან შევიდა. არმიაში "დემბელი" და "ძველი" კი იგივეა, რაც კრიმინალურ სამყაროში "პახანი" და "კანონიერი ქურდი". არმიაში სამსახურს კი, სხვათა შორის, პრაქტიკულად ყველა რუსი ჯანმრთელი მამაკაცი გადის. ღირს კი გაკვირვება, რომ ქვეყანა ბანდიტურია?... ბევრს ახსოვს პუტინის ფრაზა: "[illegible]". მოდით, გავერკვეთ: შეიძლება დავიჯეროთ, რომ სპონტანურად წამოესროლათ ფრაზები ისეთ ძველ, საბჭოურ მმართველებს, როგორებიც იყვნენ ხრუშჩოვი ან ელცინი, მაგრამ რთულია დაიჯერო სპონტანურობა ისეთი ადამიანისგან, რომელიც "კგბ"-ს რიგებიდან არის და ევროპულ ქვეყნებში მზვერავად მუშაობდა. მან ზუსტად იცის, რას და ვისთვის ლაპარაკობს. და როგორც ჭკვიანი პოლიტიკოსი, ამბობს იმას, რაც თავისი ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობის მხარდაჭერას მოუტანს. ამ სამყაროში ძველბიჭური "[illegible]" ო, როგორ გამოხატავს სათქმელს... მისი კუმირი სტალინი სულაც არ იყო ვალდებული, თვითონ ყოფილიყო ანტისემიტი, რათა 50-იანი წლების დასაწყისში ექიმთა საქმის ინსპირირება მოეხდინა: ბელადმა იცოდა, რომ ეს "საინტერესო დასაწყისი" მხოლოდ გაზრდიდა მის პოპულარობას რუს ხალხში.

დავუბრუნდეთ საქართველოში არსებულ კონკრეტულ სიტუაციას 2008 წლის აგვისტოში... საინტერესო საქმეა: რუსეთი სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში ზუსტად იმ ტენდენციებს უჭერს მხარს, რომლებიც შეუბრალებლად ჩაახშო ჩეჩნეთში. რუსეთი დიდი ხანია, საქართველოს პროვოცირებას ახდენს. ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინათ რუსეთის ხელისუფლებაში გამოაცხადეს, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მცხოვრებლებს რუსეთის ტერიტორიაზე შესასვლელად არ სჭირდებათ ვიზების მიღება. ვაზუსტებ - თბილისში მცხოვრებთათვის საჭიროა, ხოლო ბათუმელებისთვის - არა. ეს იგივეა, ამერიკელებმა ან ევროპელებმა რომ გამოაცხადონ - აშშ-ში ან ევროკავშირის ქვეყნებში გასამგზავრებლად რიაზანის ოლქის მცხოვრებლებს ვიზები უკვე არ სჭირდებათ, ხოლო მოსკოველებისთვის კვლავ სავალდებულოა... რა არის ეს, თუ არა პროვოკაცია? ნუთუ აფხაზებს რუსების დახმარების გარეშე შეეძლოთ ქართველების აფხაზეთიდან გაყრა, მაშინ როცა ქართველები მათ რიცხობრივად ბევრად აჭარბებდნენ?... ძალიან ეშმაკური ნაბიჯია: გასცე რუსეთის პასპორტები აფხაზებსა და ოსებზე, რათა შემდეგ მიზეზი გქონდეს რუსული ჯარის შეყვანისთვის, თითქოს საკუთარი მოქალაქეების დასაცავად.

ვინმემ გაიხსენოს თუნაც ერთი მაგალითი, როცა რუსეთის ხელისუფლება რეალურ უბედურებაში მყოფ საკუთარ მოქალაქეებს დაეხმარა! მაგალითად, მეზღვაურებს, რომლებიც წყალქვეშა ნავ "კურსკის" ჩაძირვისას ზღვის სიღრმეში აღმოჩნდნენ. რუსეთის მაშინდელმა პრეზიდენტმა თავისი შვებულებაც კი არ შეწყვიტა. გასაგებია, რომ ის არ იყო ვალდებული, თვითონ ჩასულიყო ზღვის სიღრმეში, მაგრამ თუნდაც, ხალხის დასანახად მისულიყო... თუმცა რისთვის? მის ქმედებას მხოლოდ დასავლეთისა და რუსული ინტელიგენციის ნაწილის შეშფოთება მოჰყვა, მაგრამ არა რუსი ხალხის უმრავლესობის. რადგან, თუ დიდ რუს მწერლებს მოვიხმობთ, რუსეთი დაუნდობელი და არაადამიანური ქვეყანაა, სადაც ადამიანის ცხოვრება გროშად არ ღირს. "რუსეთის მოქალაქეების დაცვა..." - კი, როგორ არა?!

უნდათ კი რუსებს ერთ ჭერქვეშ ცხოვრება ჩეჩნებთან, ქართველებთან და საერთოდ იმ ხალხთან, ვინც მათთვის არის "[illegible]", რომელთაც რუსულ უბრალო მეტყველებაში მოიხსენიებენ "[illegible]". ამ კითხვაზე რუსების უმრავლესობას უარყოფითი პასუხი აქვს: "მოაშორეთ ისინი აქედან და გაუშვით მოუსავლეთში!" თუმცა მათ პასუხად ისმის: "კიდევ რა გინდათ?!..." ეს ყველაფერი ლოგიკურია, არა?

... რუსი მწერლები, სინამდვილეში, ბევრ რამეში არიან დამნაშავენი. ეს მათ შექმნეს ლეგენდა სპეტაკი რუსი ხალხის შესახებ, ღვთაებრივ და დიდი სულიერების მქონე ერზე, აქედან გამომდინარე კი, ალბათ მხოლოდ განსაკუთრებული სულიერებით აიხსნება არსებობის მიმართ ასეთი ზიზღი და ამ სიბინძურეში და სიმყრალეში ცხოვრების ნიჭი. ლოგიკა საერთოდ გაუგებარია: სულიერად ცხოვრებისთვის ფიზიკური სიბინძურე აუცილებელია? მაგრამ, სანაცვლოდ ეს მითი არაჩვეულებრივად კომფორტული აღმოჩნდა: ჩვენ ნეხვში ვართ არა იმიტომ, რომ ლოთები და უნებისყოფონი ვართ, არამედ იმიტომ, რომ საშინლად სულიერები ვართ! თუკი სულიერების გამოხატვად ლიტერატურას, მუსიკას, თეატრს და ბალეტს მივიჩნევთ, მაშინ რუსეთი ნამდვილად არის სულიერებით სავსე ქვეყანა. საქმე მხოლოდ ისაა, თუ მოსახლეობის რამდენი პროცენტი ინტერესდება ამ თავისი სულიერი სიმდიდრით? და მაინც უცნაურია, რომ ასეთი სულიერების მქონე ქვეყნის ხალხი ერთმანეთს ცუდად ექცევა, ხოლო უსულგულო სტალინს კარგად - მას რუსი ხალხის ნების საუკეთესო გამომხატველად მიიჩნევენ.

დასასრული შემდეგ ნომერში

*ალექსანდრ ბრაილოვსკი დაიბადა 1959 წელს საქართველოში, სწავლობდა მოსკოვში, დაამთავრა გორკის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტი. რუსულად თარგმნა ნოდარ დუმბაძის, ჯემალ ქარჩხაძის, რეზო ჭეიშვილის და ჯემალ თოფურიძის ნაწარმოებები. 1993 წლიდან ცხოვრობს საფრანგეთში. გამოქვეყნდა და დაიდგა მის მიერ რუსულ ენაზე ნათარგმნი ე.შმიტის პიესა "გარყვნილი." არის პარიზის მცოდნე. აწყობს ექსკურსიებს პარიზის ისტორიულ და "ლიტერატურულ" ადგილებში.*

## თანამშრომლობა ტანზანიის უნივერსიტეტთან

ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი გიგი თევზაძე და პროფესორები ნათია კოპალიანი და ზურაბ გურიელიძე ტანზანიაში იმყოფებოდნენ. მათი ვიზიტის შედეგად ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და დარ ეს სალამის უნივერსიტეტს შორის ხელი მოეწერა ხელშეკრულებას, ასევე დაიწყო მოლაპარაკებები ტანზანიის ერთ-ერთ ნაციონალურ პარკში ქართული მეცნიერების მიერ კონსერვაციული პროექტების განხორციელების შესახებ. კერძოდ, შესაძლებელია ილია ჭავჭავაძის სახელობის უნივერსიტეტს მიეცეს შესაძლებლობა ტანზანიის ერთ-ერთ ნაციონალურ პარკში ააშენოს საკუთარი კვლევითი სადგური. ამის თაობაზე საუბარი ტანზანიის ბუნებრივი რესურსების და ტურიზმის სამინისტროს ველური ბუნების დივიზიონთან წარმოებს და მოლაპარაკებების გაგრძელება გაზაფხულისთვის იგეგმება.

ტანზანიასთან თანამშრომლობის დაწყების გამო გუშინ ილია ჭავჭავაძის უნივერსიტეტის ტერიტორიაზე არსებულ თეატრალურ სარდაფში საზეიმო ღონისძიება მოეწყო, რომელსაც უნივერსიტეტის რექტორი გიგი თევზაძე, ცოცხალი სამყაროს შემსწავლელ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი დავით თარხნიშვილი და თბილისის ზოოლოგიური პარკის დირექტორი ზურაბ გურიელიძე ესწრებოდნენ. **24 საათი**

## სოციალური პროექტის პრეზენტაცია

დღეს ბრიტანული ფარმაცევტული კომპანია "გლაქსოსმიტკლაინი" და საქართველოში მისი ოფიციალური პარტნიორი "ავერსი-ფარმა" ერთობლივი სოციალური პროექტის პრეზენტაციას გამართავენ.

პროექტის მთავარი მიზანია, სოციალურად დაუცველი მოსახლეობისთვის ხელმისაწვდომი გახადოს ინოვაციური პრეპარატი "სერეტიდი," რომელიც წარმოადგენს ეფექტურ პრეპარატს ბრონქული ასთმისა და ფილტვის ქრონიკული დაავადების მქონე მოზრდილებისა და ბავშვების (4 წლიდან) სამკურნალოდ.

2009 წლის 1 თებერვლიდან "გლაქსოსმტიკლაინმა" და "ავერსი-ფარმამ" მნიშვნელოვნად გაზარდეს ფასდაკლების მოცულობები: ფარმაცევტულმა კომპანიამ "ავერსი-ფარმამ" 15-პროცენტიანი ფიქსირებული ფასდაკლება 20 პროცენტამდე გაზარდა. **ჯი-ეიჩ-ენი**

## ვაშაძე-ტალიავინის შეხვედრა

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრ გრიგოლ ვაშაძის განცხადებით, ოფიციალურმა თბილისმა საქართველო-რუსეთის ომის შესახებ ამ კონფლიქტის შემსწავლელი ევროკავშირის საგამოძიებო კომისიის წერილობითი კითხვები უკვე მიიღო. ეს განცხადება ვაშაძემ აღნიშნული კომისიის თავმჯდომარე ჰაიდი ტალიავინთან შეხვედრის წინ გააკეთა. მისი თქმით, ქართული მხარე ამ კითხვებზე წერილობით პასუხებს უახლოეს მომავალში გასცემს.

საგარეო საქმეთა სამინისტროში გრიგოლ ვაშაძისა და ჰაიდი ტალიავინის შეხვედრა გუშინ გაიმართა.

როგორც ტალიავინიმ აღნიშნა, შეხვედრა ძალიან საინტერესო იყო და, ძირითადად, კომისიის ფარგლებში თანამშრომლობას შეეხებოდა.

ჰაიდი ტალიავინი საქართველოს 8 თებერვალს ეწვია. გუშინ ის, ვაშაძის გარდა, შეხვდა შინაგან საქმეთა და თავდაცვის მინისტრებს, ასევე სახელმწიფო მინისტრს რეინტეგრაციის საკითხებში.

დღეს ტალიავინი პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძეს შეხვდება. დაგეგმილია ვიზიტი კონფლიქტის ზონაში. **ინტერპრეს-ნიუსი, მედია-ნიუსი**

## მოძრაობა "7 ნოემბრის" საპროტესტო მსვლელობა

მოძრაობა "7 ნოემბრის" წევრები გუშინ, ზურაბ ვაზაგაშვილის დაბადების დღესთან დაკავშირებით, თბილისში, კორტებთან შეიკრიბნენ და ავტომანქანებით ქალაქის მასშტაბით საპროტესტო მსვლელობა მოაწყვეს.

ახალგაზრდული ორგანიზაცია "7 ნოემბრის" წევრები ვაზაგაშვილის მკვლელების დასჯას ითხოვენ. ისინი აღნიშნულ საქმეში რამდენიმე მაღალჩინოსანს ადანაშაულებენ.

ცნობისთვის: ზურაბ ვაზაგაშვილი 2006 წელს კორტებთან განხორციელებული სპეცოპერაციის დროს დაიღუპა. **მედიანიუსი**

## აქცია უშიშროების საბჭოსთან

"კმარა სპორტის აკადემიის უზურპაცია" - ამ ლოზუნგით უშიშროების საბჭოს შენობასთან სპორტის აკადემიის პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები შეიკრიბნენ. აქციის მონაწილეები უშიშროების საბჭოს სთხოვენ, შედგეს სასამართლო პროცესი, რომელიც გადაწყვეტს სპორტის აკადემიის ბედს. როგორც აქციის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა ირაკლი დოლაბერიძემ განაცხადა, შედგენილია მორიგების აქტი და ამის მიუხედავად პროცესი არ შემდგარა. პროცესის დანიშვნის მოთხოვნით, სპორტის აკადემიამ განცხადებით მიმართა უშიშროების საბჭოს. აქციის მსვლელობისას სპორტის აკადემიის წარმომადგენლები უშიშროების საბჭოში შევიდნენ. იქიდან გამოსულებმა კი აქციის დანარჩენ მონაწილეებს აცნობეს, რომ მათი განცხადება მიღებულია და უახლოეს დღეებში განიხილავენ.

ოთხშაბათს აკადემიის წევრები კვლავ აპირებენ უშიშროების საბჭოსთან აქციის გამართვას. **24 საათი**

# ორი ჯორჯიის გენერალი

გიორგი ასანიშვილი



2009 წლის 9 იანვარს საქართველო და აშშ ოფიციალურად გახდნენ სტრატეგიული პარტნიორები. ეს ნიშნავს, რომ ორ ქვეყანას შორის მომავალში კიდევ უფრო გაღრმავდება პოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო, კულტურული თუ სხვა სახის ურთიერთობები. თუმცა, ეს პროცესი, ალბათ, უფრო რთული იქნებოდა და დროში გაიწელებოდა, რომ არა ცალკეული პიროვნებები, რომლებმაც საქართველოსა და შეერთებული შტატების დაახლოებისთვის წლების განმავლობაში ამზადებდნენ ნიადაგს. ისინი ორივე სახელმწიფოს ინტერესებს ერთგულებდნენ და ოფიციალური კონტაქტები "ადამიანურ" რანგში აჰყავდათ. ასეთი პერსონები "ბიპატრიოტები" არიან და მათი კრედო ასეთია: "ორად განაწილებული სიხარული ორმაგი სიხარულია, ორად განაწილებული მწუხარება - ნახევარი მწუხარება". ამ ხალხის ღვაწლი "არამშობლიური" ქვეყნის მიმართ იმდენად დიდია, რომ მათ მიერ გაკეთებულ კეთილ საქმეთა ჩამონათვალს მეორე სახელმწიფოს თვალსაჩინო ფიგურებიც სიამოვნებით მოაწერდნენ ხელს.

ასეთ "ორმაგი პატრიოტის" კლასიკური ტიპაჟია ჯორჯიის (აშშ) შტატის ეროვნული გვარდიის უფროსი 1999-2007 წლებში დევიდ პოიტრესი. იგი თითქმის ათი წლის განმავლობაში კოორდინაციას უწევდა და ეხმარებოდა საქართველოს ეროვნულ გვარდიას სამხედრო რეფორმების საქმეში. ალბათ, გადაჭარბებული არ იქნებოდა იმის თქმა, რომ დევიდ პოიტრესმა წარუშლელი კვალი დატოვა "ორივე ჯორჯიის" ეროვნული გვარდიების ისტორიაში. "სამვარსკვლავიანი გენერალი" საქართველოში 20-ზე მეტჯერ არის ნამყოფი და მის თითქმის ყველა კუთხეს ზედმიწევნით იცნობს. მის ღვაწლს ყველაზე მეტად, როგორც ჩანს, საჩხერის რაიონში "აფასებენ" - პოიტრესი საჩხერის რაიონის საპატიო მოქალაქეა. მართალია, დღეს იგი აქტიურ სამხედრო სამსახურს უკვე აღარ ეწევა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც რჩება საქართველოს მეგობარ და გავლენიან ადამიანად ამერიკის შეერთებულ შტატებში.

**დევიდ პოიტრესი წარმოშობით ჯორჯიელია. იგი დაიბადა ქალაქ მეიკონში, სადაც მამამისი ქალაქის წყლით მომარაგების სამსახურში მუშაობდა, დედა კი სკოლის მასწავლებელი იყო. თავად ბიბ ქაუნთის საჯარო სკოლაში სწავლობდა. მოგვიანებით მან განათლების მიღება ოქსფორდში განაგრძო, თუმცა სამხედრო-საჰაერო ძალების ოფიცრის წოდება უკვე ატლანტაში მიიღო. ის ამერიკის სამხედრო-საჰაერო ძალებში 4 წლის განმავლობაში მსახურობდა. ამის შემდეგ მოხალისედ წავიდა ვიეტნამში, სადაც ერთი წლის განმავლობაში იმსახურა. მისი კარიერა, მთლიანობაში, მოიცავს საზოგადოებრივ სამსახურს, სამხედრო სამსახურს და კერძო ადვოკატურას. დევიდ პოიტრესის პოლიტიკური კარიერის დასაწყისი ვირჯინიის შტატთან არის დაკავშირებული, სადაც მან შტატის გუბერნატორის აპარატში დაიწყო მუშაობა. 1999 წელს პოიტრესმა გენერალ-ადიუტანტის ჩინი მიიღო, მოგვიანებით კი გენერალ-მაიორი და გენერალ-ლეიტენანტი გახდა.**

დევიდ პოიტრესს ქართველი სამხედროებიდან ახლო ურთიერთობა აქვს საქართველოს ეროვნული გვარდიის ყოფილ სარდალთან, ამჟამად კი პარლამენტის წევრთან, საჩხერის რაინის მაჟორიტარ დეპუტატთან, პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილესთან სამსონ (სოსო) ქუთათელაძესთან. მათი ოჯახები, უკვე რამდენიმე წელია, მეგობრობენ.

**სამსონ (სოსო) ქუთათელაძე:: "საქართველოს ეროვნული გვარდია და ჯორჯიის (აშშ) შტატის ეროვნული გვარდია 1995 წლიდან თანამშრომლობენ. გენერალი დევიდ პოიტრესი პირადად უწევდა კოორდინაციასა და ზედამხედველობას ამ პროცესს. ნებისმიერი თხოვნა ჩვენი მხრიდან ამა თუ იმ სფეროში დახმარების გაწევასთან დაკავშირებით დაუყოვნებლიოვ სრულდებოდა. გარდა იმისა, რომ გენერალი პოიტრესი, როგორც "ჭეშმარიტი ამერიკელი", ძალიან მომთხოვნი და პუნქტუალურია, ამავე დროს, ის, როგორც "ჭეშმარიტი ქართველი", უშუალო ურთიერთობებში მეტად მეგობრულია. "სამვარსკვლავიან გენერალს" ძალიან უყვარს ჩვენი ქვეყანა და თითქმის მთელი საქართველო ფეხით აქვს მოვლილი. საქართველოს სიყვარულში მას საკუთარი მეუღლე უწევს "მეტოქეობას": ელიზაბეტ პოიტრესი არაერთხელ დახმარებია კასპისა და წყნეთის მიუსაფარ ბავშვთა სახლებს. ასეთ სახლებს გენერალიც ხშირად სტუმრობდა და თუ რაიმეთი შეეძლო დახმარება, ძალ-ღონეს არ იშურებდა. სწორედ ჯორჯიის შტატის ეროვნული გვარდიის დახმარებით ჩაუტარდა რემონტი წყნეთის მიუსაფარ ბავშვთა სახლს".**

კიდევ ერთი "ქართული შტრიხი", რომლითაც ამერიკელი გენერალი გამოირჩევა, არის ის, რომ საქართველოში სტუმრად ყოფნის დროს, დევიდ პოიტრესი სასტუმროში გაჩერებას, მეგობრის სახლში ამჯობინებს ღამის გათევას. იგივე ჩვევა პოიტრესს ოკეანის გაღმაც "გადაჰყვა": საქართველოდან ჩასულ მეგობრებს სასტუმროში ფეხს არ ადგმევინებს და საკუთარ სახლში უმასპინძლდება.

**სამსონ ქუთათელაძე: "იყო შემთხვევები, როდესაც დევიდ პოიტრესი, საჩხერეში ჩამოსვლისას, სასტუმროში არ რჩებოდა და ჩემს ოჯახში ღამის გათევას არჩევდა. ამასთან, რამდენიმე თვის წინათ, როდესაც საქართველოს საპარლამენტო დელეგაცია შეერთებულ შტატებში ჩავიდა, ამერიკელი გენერალი მაშინვე მოვიდა ჩვენთან, თბილად მოგვიკითხა და დაინტერესდა, რაიმე დახმარება ხომ არ გვჭირდებოდა... გარკვეულ პერიოდში, ჩემი მეუღლე ამერიკაში სწავლობდა. მართალია, ის საცხოვრებლით უზრუნველყოფილი იყო, მაგრამ ცოლ-ქმარმა პოიტრესებმა მაინც თავის სახლში "მიუჩინეს ადგილი". ერთი სიტყვით, დევიდი და ელიზაბეტი, უამრავ სხვა სიკეთესთან ერთად, "ქართული" სტუმართმოყვარეობითაც გამოირჩევიან".**

ქართველი დეპუტატის თქმით, მას უამრავ უცხოელთან ჰქონია საქმიანი ურთიერთობები.

**"არიან ადამიანები, ვინც ზედმიწევნით ასრულებს თავის სამსახურებრივ მოვალეობას. დევიდ პოიტრესი თავის მისიასაც პირნათლად ასრულებდა და პლუს, ასეთ საქმეებსაც აკეთებდა, რაც თანამდებობრივად არ ევალებოდა - "მფარველობდა" ბავშვთა სახლებს, ეცნობოდა ქართულ კულტურასა და ტრადიციებს, ადიოდა მაღალმთიან რეგიონებში დევიდი თბილი, სამხრეთელი ადამიანია. მას არასდროს ეზარება, გაგიღიმოს, სასიამოვნო სიტყვებით მოგმართოს და ისეთი რამ გკითხოს, რაც უშუალოდ საქმეს არ შეეხება. მაგალითად, "როგორ არიან შენები?", "რამე ხომ არ გჭირდებათ?"... დევიდ პოიტრესი კარგად ჯდება ქართველი კაცის ტიპაჟში"**, - თავის ჯორჯიელი კოლეგის ადამიანურ ღირსებებს ხაზგასმით გამოყოფს საქართველოს ეროვნული გვარდიის ყოფილი სარდალი.

2009 წლის აგვისტოში, რუსეთის მიერ საქართველოზე განხორციელებული სამხედრო აგრესიის დროს, მართალია, პოიტრესი ჯორჯიის შტატის ეროვნული გვარდიის ხელმძღვანელი უკვე აღარ იყო, მაგრამ მისი შემცვლელი, გენერალი ტერი ნესბიტიც ისე მოიქცა, როგორც, ალბათ, დევიდი მოიქცეოდა - ჯორჯიის შტატის ეროვნულმა გვარდიამ აგვისტოს მოვლენებზე სწრაფი რეაგირება მოახდინა და საქართველოში დიდი რაოდენობით შემოიტანა ჰუმანიტარული დახმარება: კარვები, საბნები, ბალიშები, საკვები პროდუქტი. გარდა ამისა, სწორედ ჯორჯიის შტატის ეროვნულმა გვარდიამ დაგეგმა საქართველოსთვის ამ მძიმე დღეებში ქართული სამხედრო შენაერთების ერაყიდან თბილისში დისლოცირება...

აღსანიშნავია, რომ ჩვენს ქვეყანას ჯორჯიის შტატში, ადგილობრივ ეროვნულ გვარდიასთან ერთად, მეორე "ლობისტიც" ჰყავს.

ეს არის საზოგადოებრივი ორაგიზაცია "ატლანტა-თბილისი; დაძმობილებულ ქალაქთა კომიტეტი". ის ჯერ კიდევ 1988 წელს დაარსდა და მასში შედიან იურისტები, ეკონომისტები, სასულიერო პირები, ქართული დიასპორის წარმომადგენლები. კომიტეტის ამოცანაა, დაეხმაროს საქართველოს ეკონომიკური, სამართლებრივი, საგანმანათლებლო, ჰუმანიტარული და სხვა სფეროების განვითარებაში. "ატლანტა-თბილისი; დაძმობილებულ ქალაქთა კომიტეტი" სპონსორობას უწევს ქართველ სტუდენტებს, ახალგაზრდა იურისტებს, მიუსაფარ ბავშვთა სახლებს. აგვისტოს ფორს-მაჟორის დროს, კომიტეტმა საქველმოქმედო საღამო გამართა და შემოსული თანხა მთლიანად გადარიცხა ლტოლვილთა დახმარების ფონდში.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის შემდეგ, მკითხველისთვის ალბათ სულაც არ იქნება სიურპრიზი იმის თქმა, რომ გენერალი დევიდ პოიტრესი "დაძმობილებულ ქალაქთა კომიტეტთან" მჭიდრო კონტაქტშია.

"სამვარსკვლავიანი" გენერალი დღეს მორიგი "სპეცოპერაციისთვის" ემზადება - ხანგრძლივი და წარმატებული სამხედრო კარიერის შემდეგ, მასში კვლავ პოლიტიკოსმა გაიღვიძა და ჯორჯიის შტატის გუბერნატორის პოსტისთვის ბრძოლა დაისახა მიზნად.

**"მსურს ჩემი წვლილი შევიტანო ახალი ჯორჯიის დაბადებაში,"** - "თანაშტატელებისგან" ნდობის მანდატს ითხოვს დევიდ პოიტრესი. დასახული მიზნის მისაღწევად ის საკმაოდ აქტიურობს: ჯორჯიის შტატის ქალაქებში მართავს უამრავ შეხვედრებს, რომლის დროსაც სხვადასხვა პრობლემებზე და მათი გამოსწორების გზებზე საუბრობს. იგი ინტერვიუებს აძლევს მედიასაშუალებებს, პოლიტიკურ ოპონენტებს იწვევს საჯარო დისკუსიებში, პასუხობს ამომრჩეველთა შეკითხვებსა და განცხადებებს...

"სამოქალაქო სფეროში" დაბრუნების სურვილს პოიტრესი იმით ხსნის, რომ მოსწონს პოლიტიკაში ყოფნა. იგი იმედოვნებს, რომ სამხედრო-სამოქალაქო ურთიერთობებში თავისი უზარმაზარი გამოცდილება პოლიტიკურ ასპარეზზე წარმატების მიღწევის ერთგვარი გარანტია იქნება.

# მსჯავრდებულები გაუსაძლისი პირობების გამო დახმარებას ითხოვენ

*"საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია" სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ქსნის დაწესებულებაში არსებულ მდგომარეობას არაჰუმანურს და არაადამიანურს უწოდებს.*

საია-ს თავმჯდომარე თამარ ხიდაშელმა ჟურნალისტებს ქსნის N7 დაწესებულებიდან პატიმრების მიერ გამოგზავნილი წერილი გააცნო. მსჯავრდებულები სასჯელაღსრულების დაწესებულებებში არსებული გაუსაძლისი პირობების გამო დახმარებას ითხოვენ.

**"საია-ს წერილობით 34-მა მსჯავრდებულმა მიმართა. განცხადებაზე ხელმოწერით მსჯავრდებულები ერთხმად ადასტურებენ დაწესებულებაში არსებულ გაუსაძლის პირობებს, რაც, მათივე თქმით, დაწესებულების ადმინისტრაციის უკანონო მოქმედებაში, მძიმე სანიტარულ-ჰიგიენურ პირობებში და ადეკვატური სამედიცინო მომსახურების უგულებელყოფაში გამოიხატება,"** - განაცხადა ხიდაშელმა.

მისივე თქმით, მიმდინარე წლის 5 თებერვალს საია-ს წარმომადგენელმა ქსნის დაწესებულებაში არსებული მდგომარეობა შეისწავლა, რის შედეგადაც დადასტურდა, რომ პატიმრები ავტოფარეხის ტიპის საკნებში ცხოვრობენ, სადაც საპირფარეშოს ვენტილაცია შედის, არ აქვთ სასმელი წყალი, შხაპს კვირაში ერთხელ, 15 წუთით იღებენ, წყლის ტემპერატურას კი ადმინისტრაციის თანამშრომლები არეგულირებენ - მათი ხასიათის მიხედვით ონკანში მოდის ხან ყინულივით ცივი, ხან მდუღარე წყალი.

**"ჩვენმა წარმომადგენელმა ასევე დაადგინა, რომ მსჯავრდებულებს არ ეწევათ სრულყოფილი სამედიცინო მომსახურება, რის გამოც უმრავლესობას უმნიშვნელო ავადმყოფობა ქრონიკულ დაავადებაში გადაეზარდა. 2176-პატიმრიან დაწესებულებას 7 მედიკოსი ემსახურება და ამ მომსახურების ხარისხი თავად შეგიძლიათ განსაზღვროთ. ჩვენს წარმომადგენელთან საუბრისას ერთ-ერთმა ექიმმა განაცხადა, რომ ისინი მედიკამენტების სიმცირეს განიცდიან,"** - განუცხადა ჟურნალისტებს თამარ ხიდაშელმა, რომლის თქმითაც, პატიმრების განცხადებით, სამედიცინო დახმარების მოთხოვნის შემთხვევაში, მათ ემუქრებიან, რომ **"თავს კარცერში ამოაყოფინებენ"**.

**"ჩვენი საჯარო პროტესტის გამო, თუ რომელიმე ჩვენგანზე მოხდება საქმის აღძვრა, ან აღმოგვაჩნდება რომელიმე ე.წ. აკრძალული ნივთიერება, ან აღმოვჩნდებით სხვა ადმინისტრაციაში, როგორც ყოველთვის ხდება, იცოდეთ, რომ ეს იქნება პასუხი საპყრობილეს ადმინისტრაციის მხრიდან ჩვენს პროტესტზე,"** - ნათქვამია პატიმართა წერილში, რის გამოც, "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია" თხოვნით მიმართავს ახალ მინისტრ დიმიტრი შაშკინს, კონტროლზე აიყვანოს ქსნის N7 საპატიმრო და მსჯავრდებულების საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას უფრო მეტი ყურადღება დაუთმოს.

ციხის მსოფლიო სტანდარტებით დადგენილია "მსჯავრდებულებთან მოქცევის მინიმალური სტანდარტული წესები," რომელიც 1985 წელს გაერო-ს კონგრესმა მიიღო. გაერო-ს სტანდარტული წესების მიხედვით, ციხეში იკრძალება ყველა სახის დისკრიმინაცია, მსჯავრდებული უნდა მოთავსდეს ცალკე საკანში ან საერთო საკანში მას ცალკე საწოლი ეკუთვნის. საკანში სანიტარული ნორმები მკაცრად უნდა იყოს დაცული, სავენტილაციო სისტემით მუდმივად უნდა ნიავდებოდეს, რათა ჰაერი გაიწმინდოს და განათებული იმ დონეზე უნდა იყოს, რომ ზიანი არ მიადგეს პატიმრის მხედველობას. ამავე სტანდარტებით, ციხის ტუალეტი დღეში რამდენჯერმე უნდა იწმინდებოდეს და პატიმრებს რიგში დგომა არ უნდა უწევდეთ. მსჯავრდებულები უნდა ბანაობდნენ მინიმუმ კვირაში ერთხელ, ხოლო მამაკაცები პირად ჰიგიენას რეგულარულად იცავდნენ.

პატიმრები უნდა იკვებებოდნენ რეგულარულად - ჯანმრთელობისა და ძალის შესანარჩუნებლად საკმარისი კალორიით, მათთვის წყალი მუდმივად ხელმისაწვდომი უნდა იყოს. ყველა საპატიმროში უნდა იყოს ექიმი და სტომატოლოგი.

გაერო-ს სტანდარტები საპატიმროებში კრძალავს სასტიკ მოპყრობას, დამცირებას, დასჯას წამების მეთოდებით. საერთო ჯამში, გაერო-ს რეკომენდაციით, ციხის რეჟიმი თავისუფალი ცხოვრების წესისგან მცირედ უნდა განსხვავდებოდეს, რათა "პატიმრებში პასუხისმგებლობისა და ადამიანური ღირსების გრძნობა არ მოკვდეს. ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისთვის, რათა პენიტენციური სისტემიდან - მონანიების ადგილიდან, საზოგადოებას სრულფასოვან წევრად დაუბრუნდნენ."

გარდა გაერო-ს სტანდარტებისა არსებობს ევროკავშირის რეკომენდაციებიც, რომელიც გაერო-ს სტანდარტებისგან უმნიშვნელოდ განსხვავდება. მაგალითად, ევროკავშირის რეკომენდაციით, დასაშვებია შვებულება. ევროპული წესებით, პატიმარს, რომელიც ციხეში დასაქმებულია, ეკუთვნის დასვენება - კვირაში მინიმუმ ერთი დღე.

ციხის საერთაშორისო სტანდარტების დარღვევის გამო ცოტა ხნის წინ სტრასბურგის სასამართლომ საქართველო სოლიდური სანქციით დააჯარიმა, საუბარია, შალვა რამიშვილისა და დავით კოხრეიძის განაცხადზე, რომლითაც მათ საპატიმროში არსებული გაუსაძლისი პირობების გამო ევროსასამართლოში სარჩელი გააგზავნეს და მოიგეს კიდეც.

თამარ ხიდაშელის განცხადებით, საპყრობილეში არსებული პირობები არღვევს ადამიანის უფლებათა კონვენციის მე-3 მუხლს და საკმარისია იმისთვის, რომ ევროპის სასამართლომ მიიღოს კონვენციის მესამე მუხლის დარღვევის გადაწყვეტილება და საქართველოს დაეკისროს ფულადი კომპენსაცია.

**"საქართველოს მთავრობა ყურადღებით უნდა იყოს, რათა თითოეული საქმე, რომელიც გაიგზავნება მსგავსი მოთხოვნით და დასაბუთებული იქნება, დასრულდება ქვეყნის საწინააღმდეგო გადაწყვეტილებით, შესაბამისად, ქვეყანას მოუწევს ბიუჯეტიდან სოლიდური თანხების გამოყოფა კომპენსაციის ასანაზღაურებლად,"** - განაცხადა თამარ ხიდაშელმა.

*24 საათი*

# გატაცებული ქართველი მსაჯი გათავისუფლებულია

*მალხაზ ბეუქლიშვილი ტყვეობიდან გათავისუფლებულია. შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ე.წ. სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე გატაცებული ქართველი მსაჯი 8 თებერვალს, ქართული მხარის ჩარევის შედეგად, ყოველგვარი გამოსასყიდის გარეშე გაათავისუფლეს.*

ბეუქლიშვილი გუშინწინ, გვიან ღამით, ე.წ. "მოდულის" შენობაში დაკითხეს. დაკითხვის შემდეგ, მას ჟურნალისტებთან არანაირი კომენტარი არ გაუკეთებია.

6 თებერვალს, დაახლოებით დილის 7 საათზე თბილისი-სენაკის მაგისტრალზე, იგოეთის გადასახვევთან, ოსმა შეიარაღებულმა ბოროტმოქმედებმა დასავლეთის მიმართულებით მიმავალი "მერსედესის" მარკის მანქანა გააჩერეს. ავტომობილში ფეხბურთის მსაჯები ისხდნენ, რომლებიც ზუგდიდში კალენდარულ მატჩზე დასასწრებად მიდიოდნენ. ყაჩაღებმა მატჩის დელეგატ თამაზ კოსტავას მანქანა ჩამოართვეს და ოთხივე მგზავრს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს. საბოლოოდ, "მერსედესი" და ერთ-ერთი მგზავრი მალხაზ ბეუქლიშვილი ორჭოსანის მიმართულებით წაიყვანეს.

მომხდარი ქართველ სამართალდამცველებს თავად დაზარალებულებმა აცნობეს, რის შემდეგაც საქმეში ევროკავშირის წარმომადგენლებიც ჩაერთვნენ. ოსურ მხარესთან მოლაპარაკების შემდეგ, უცხოელი დამკვირვებლების დახმარებით, ცნობილი გახდა, რომ სეპარატისტები გატაცებულის გათავისუფლების სანაცვლოდ 50 ათას აშშ დოლარს ითხოვდნენ. დანაშაულიდან მეორე დღეს, სეპარატისტული რეჟიმის ე.წ. შინაგან საქმეთა სამინისტრომ გაავრცელა ინფორმაცია, რომ მალხაზ ბეუქლიშვილი ოსმა სამართალდამცველებმა შაბათს, გვიან საღამოს ჩატარებული სპეცოპერაციის შედეგად გაათავისუფლეს.

ასევე ითქვა, რომ გამტაცებელთა ვინაობის დასადგენად ამჟამად საგამოძიებო ღონისძიებები მიმდინარეობს. წინასწარი ინფორმაციით, გამტაცებლები ერთ-ერთი შეიარაღებული დაჯგუფების წევრები არიან, რომლებიც ორჭოსანი-წინაგარის ტერიტორიაზე მოქმედებენ.

მართალია, ჯერ კიდევ გუშინწინ ოსური და რუსული მხარეები ირწმუნებოდნენ, რომ ორჭოსანთან გატაცებული ფეხბურთის მსაჯი თამაზ ბეუქლიშვილი გათავისუფლებული იყო, მაგრამ ამ ინფორმაციას ქართული მხარე არ ადასტურებდა. გუშინ კი საქართველოს შს სამინისტრომ ოფიციალური განცხადება თავის ვებ გვერდზე გამოაქვეყნა და დაადასტურა, რომ ქართული მხარის ჩარევის შემდეგ, ყოველგვარი გამოსასყიდის გარეშე გაათავისუფლეს მალხაზ ბეუქლიშვილი.

ოფიციალური ინფორმაციით, ბეუქლიშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია და იგი უკვე საკუთარ ოჯახშია.

*საკუთარი ინფორმაცია*

# ნაწილობრივ დაკმაყოფილებული სარჩელი

*თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილებით, ნაწილობრივ დაკმაყოფილდა შპს "კაფე რუსთაველის" დირექტორის იოსებ ქოქოლაძის სარჩელი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თბილისის რეგიონალური ცენტრის მიმართ.*

სასამართლოს მიერ სადავო საკითხის გადაწყვეტის გარეშე, ბათილად იქნა ცნობილი თბილისის საგადასახადო ინსპექციის 2006 წლის 14 დეკემბრის საგადასახადო შემოწმების აქტი, 2007 წლის 9 იანვრის N07 ბრძანება და 2007 წლის 11 იანვრის N970 საგადასახადო მოთხოვნა, რომლითაც შპს "კაფე რუსთაველს" საშემოსავლო, სოციალური, ქონების, დამატებული ღირებულების გადასახადის და ასევე ჯარიმის სახით დაერიცხა 346 270.10 ლარის გადახდა.

სასამართლომ მიიჩნია, რომ საგადასახადო ორგანოს მიერ არ იქნა გამოკვლეული საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის გარემოებები და ისე იქნა დარიცხული შესაბამისი გადასახადები. აღნიშნული გარემოება გახდა სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციული აქტების ნაწილობრივ ბათილად ცნობის საფუძველი.

სასამართლომ დაავალა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თბილისის რეგიონალურ ცენტრს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის გარემოებების გამოკვლევისა და სათანადო მტკიცებულებების შეფასების შემდეგ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გამოსცეს ახალი ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოში, დასაბუთებული გადაწყვეტილების მხარეთათვის ჩაბარების დღიდან 14 დღის ვადაში.

*თბილისის საქალაქო სასამართლოს პრესსამსახური*

## გაწყვეტილი ხელშეკრულება

სადაზღვევო კომპანია "ალდაგსა" და იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტს შორის ურთიერთშეთანხმების საფუძველზე ხელშეკრულება 1 თებერვლიდან გაუქმდა, - აცხადებს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი სალომე მახარაძე.

სადაზღვევო კომპანია "ალდაგსა" და სასჯელაღსრულების დეპარტამენტს შორის ხელშეკრულება 2007 წლის შემოდგომაზე გაფორმდა. ხელშეკრულება პატიმართა სამედიცინო მომსახურებას ითვალისწინებდა.

როგორც სალომე მახარაძე აცხადებს, სადაზღვევო კომანიასთან ხელშეკრულება ეფექტური არ აღმოჩნდა.

"პრეტენზიები თავად მედპერსონალსაც ჰქონდა, რადგან დაბალი ანაზღაურება იყო. გარდა ამისა, პატიმრების მკურნალობაც არაეფექტური აღმოჩნდა, ამიტომ ურთიერთშეთანხმების შესაბამისად, ხელშეკრულება გაუქმდა," - აცხადებს სალომე მახარაძე. მისი განმარტებით, წელს სასჯელაღსრულების დეპარტამენტში სამედიცინო უზრუნველყოფის სამსახური შეიქმნა, სადაც 15 საშტატო ერთეულია.

ამჟამად, სასჯელაღსრულების დეპარტამენტში 400 მედპერსონალი მუშაობს.

"სწორედ სამედიცინო უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლები გააკონტროლებენ მედპერსონალის მუშაობას დაწესებულებებში," - აცხადებს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელი სალომე მახარაძე.

მისივე თქმით, ის ექიმები, რომლებიც პატიმართა მომსახურების ანაზღაურებას სადაზღვევო კომპანია "ალდაგისაგან" იღებდნენ, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თანამშრომლები გახდნენ და მათთან, შესაბამისად, ხელშეკრულება გაფორმდა. **მედიანიუსი**

## განზრახ მკვლელობაში ეჭვმიტანილები დააკავეს

თბილისის მთავარი სამმართველოს და სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ერთობლივად გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შედეგად დააკავეს 27 წლის რომან ქრისტესიაშვილი და 28 წლის გელა კოჩიევი, რომლებიც ეჭვმიტანილები არიან 61 წლის ხვთისო არჩემაშვილის განზრახ მკვლელობაში. აღნიშნული დანაშაულის შეუტყობინებლობისათვის აგრეთვე დაკავებულია, 30 წლის ლიდა მაისურაძე. დაკავებულებმა დანაშაული აღიარეს. მიმდინარეობს გამოძიება სსკ-ის 109-ე, 236-ე და 376-ე მუხლებით. საქმეს იძიებს თბილისის მთავარი სამმართველო. **ჯი-ეიჩ-ენი**

## ჯგუფური განაცხადი ევროსასამართლოში

არასამთავრობო ორგანიზაცია "ადამიანის უფლებათა ცენტრმა" სტრასბურგში, ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში ჯგუფური განაცხადი გაგზავნა. განაცხადი რუსეთ-საქართველოს ომის შედეგად დაზარალებული 77 ადამიანის საქმეს აერთიანებს.

საჩივარი ეხება ევროპული კონვენციის მე-2 (სიცოცხლის უფლება), მე-3 (წამების აკრძალვა), მე- 8 (პირადი ცხოვრებისა და საცხოვრებლის ხელშეუხებლობის უფლება) მე-14 (დისკრიმინაციის აკრძალვა) და კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლის (საკუთრების უფლება) სავარაუდო დარღვევის შემთხვევებს. განაცხადი მიმართულია რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ. "ადამიანის უფლებათა ცენტრი" აგრძელებს აგვისტოს ომის შედეგად დაზარალებულ პირთა სამართლებრივ დახმარებას გაერო-ს ადამიანის უფლებათა კომიტეტში ინდივიდუალური განაცხადების წარდგენისა და წარმოების გზით. **ჯი-ეიჩ-ენი**

## ამოუცნობი ჯარისკაცების დნმ-ს საქართველო რუსეთს გადასცემს

აგვისტოს ომის დროს, ე.წ. სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე დაღუპული 3 ამოუცნობი ჯარისკაცის დნმ-ს საქართველო რუსეთს გადასცემს, - ამის შესახებ განცხადება პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარემ გივი თარგამაძემ გააკეთა. მისი თქმით, იდენტიფიკაციის შემდეგ დადგინდა, რომ ისინი ქართველი ჯარისკაცები არ არიან.

თარგამაძის განმარტებით, "არ არის გამორიცხული, რომ დნმ აგვისტოს ომის დროს გარდაცვლილი რუსი ჯარისკაცების იყოს, რაც აუცილებლად უნდა გაირკვეს".

თარგამაძემ ასევე განაცხადა, რომ ქართულმა მხარემ ტყვედ ჩავარდნილი 3 ქართველი ჯარისკაცის კვალი დაკარგა, რომლებიც მისი მონაცემებით, ბოლოს ვლადიკავკაზში იმყოფებოდნენ. **ჯი-ეიჩ-ენი**

## მოსკოვში კრიმინალური ავტორიტეტი, მეტსახელად "ალიკ სოჩინსკი" მოკლეს

მოსკოვში კრიმინალური ავტორიტეტი, მეტსახელად "ალიკ სოჩინსკი" მოკლეს. სოჭის მკვიდრი 36 წლის ალიკ მინალიანზე ეს რიგით მეორე თავდასხმა იყო. რუსი სამართალდამცველების ინფორმაციით, უცნობმა პირებმა ის ავტომატით იმ სახლის სადარბაზოსთან დაცხრილეს, სადაც ბინას ქირაობდა. დაიჭრა "მერსედერსის" მძღოლიც, რომელმაც მინალიანი სახლში მიიყვანა.

რუსი სამართალდამცველების ინფორმაციით, სოჭის მკვიდრი ალიკ მინალიანი კრასნოდარის მხარის გამოსასწორებელ დაწესებულებებს აკონტროლებდა, სოჭის ოლიმპიადის მოსამზადებელ სამუშაოებთან დაკავშირებით კი, ის მეტად გააქტიურდა. მინალიანს მოსკოვში თავს 2006 წელს, კრასნოპრესნენსკის სანაპიროზეც დაესხნენ, თუმცა მაშინ ის ცოცხალი გადარჩა. **ჯი-ეიჩ-ენი**

## მადრიდში "ეტამ" ტერაქტი მოაწყო

მადრიდში საგამოფენო ცენტრ "იფემას" ტერიტორიაზე დანაღმული ავტომობილი აფეთქდა. ესპანეთის სახელმწიფო ტელე-რადიოკომპანია RTVE-ის ინფორმაციით, წინასწარი მონაცემებით აფეთქებას მსხვერპლი არ მოჰყოლია. მომხდარზე პასუხისმგებლობა ბასკურმა ტერორისტულმა ორგანიზაციამ "ეტამ" აიღო. პირმა, რომელმაც თავი ამ ორგანიზაციის წევრად დაასახელა, "წითელი ჯვრის" ადგილობრივ განყოფილებაში დარეკა და მოსალოდნელი აფეთქების შესახებ ინფორმაცია მიაწოდა. ამან სამართალდამცველებს საშუალება მისცა, საგამოფენო ცენტრში მყოფთა ევაკუაცია დროულად მოეხდინათ და მსხვერპლი თავიდან აეცილებინათ. აფეთქება მადრიდის დროით დილის ცხრა საათისთვის მოხდა. ბომბი ავტომანქანაში იყო ჩადებული. **საკუთარი ინფორმაცია**

## ერაყი ნავთობის წარმოებას ორჯერ გაზრდის

ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების ორგანიზაცია (ოპეკი) მარტის თვეში დაგეგმილ შეხვედრაზე, სავარაუდოდ, კვლავ მიიღებს გადაწყვეტილებას ნავთობის მოპოვების შემცირების შესახებ, ხოლო ერაყი ორჯერ გაზრდის ნავთობის წარმოებას, განაცხადა ერაყის ნავთობის მინისტრმა ხუსეინ ალ-შახრისტანმა. მინისტრის აზრით, თუ "ოპეკის" მორიგ შეხვედრაზე მიღებული იქნება გადაწყვეტილება ნავთობის მოპოვების შემცირების შესახებ, ბარელი ნავთობის მინიმალური ფასი 70 აშშ დოლარამდე გაიზრდება. **"ჩვენ არ ველით ბარელზე 70 აშშ დოლარს ქვევით ფასს. ივარაუდება, რომ შემცირება სტიმულს მისცემს იმ მწარმოებლებს, რომლებიც არ არიან "ოპეკის" წევრები,"** - განაცხადა მინისტრმა. ალ-შახრისტანის თქმით, ერაყი აპირებს ნავთობის წარმოების გაზრდას 2,4 მილიონი ბარელიდან 4,5 მილიონ ბარელამდე დღეში. ცნობისათვის, ერაყი ნავთობის მარაგების მიხედვით მსოფლიოში მესამე ადგილზეა - 115 მილიარდი ბარელი. **ჯი-ეიჩ-ენი**

## ჩავესი ოპეკის გადაწყვეტილებას მიესალმება

ვენესუელის პრეზიდენტ უგო ჩავესის განცხადებით, იგი დარწმუნებულია, რომ გასული წლის ბოლოს ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების ორგანიზაციის (ოპეკი) მიერ მიღებული გადაწყვეტილება ნავთობის მოპოვების 2,2 მლნ ბარელით/დღეში შემცირების შესახებ შედეგს მოიტანს და ნავთობზე ფასის სტაბილიზირებას მოახდენს. **"ოპეკის ერთიანობა, დადგენილი კვოტების შესრულებაში დისციპლინა სანავთობო ბაზარზე, საბოლოო ჯამში, სტაბილურობას მოიტანს,"** - განაცხადა ჩავესმა. ჩავესის აზრით, ოპეკის გადაწყვეტილება და სხვა საერთაშორისო ფაქტორები, მათ შორის ბარაკ ობამას გეგმები "აშშ-ს ეკონომიკის რეაქტირების შესახებ" პოზიტიურად აისახება ნედლეულის ბაზარზე ფასების ჩამოყალიბებაზე. **ჯი-ეიჩ-ენი**

## შარლ აზნავურმა შვეიცარიაში სომხეთის ელჩობაზე უარი განაცხადა

შარლ აზნავურმა შვეიცარიაში სომხეთის ელჩობაზე უარი განაცხადა. რადიო "სვობოდას" ინფორმაციით, ესპანურ გაზეთ "პაის"-ისთვის მიცემულ ინტერვიუში შარლ აზნავური აცხადებს, რომ ცოტა ხნის წინ სომხეთს პრეზიდენტმა სერჟ სარგსიანმა მას შვეიცარიაში ელჩობა შესთავაზა. **"სიამაყე განვიცადე და იმ დღეს ბედნიერი ვიყავი, თუმცა მეორე დღეს რომ დავფიქრდი, მივხვდი, ამ წინადადების მიღების შემთხვევაში მე თავისუფლებას დავკარგავდი. თუ მთავრობის მიერ მიღებული რომელიმე გადაწყვეტილება არ მომეწონება, თავს ცუდად ვიგრძნობ. არ შემიძლია, თავისუფლება რომელიმე საპატიო წოდებისთვის დავკარგო,"** - აცხადებს შარლ აზნავური. **ჯი-ეიჩ-ენი**

## ესპანეთში "ეტასთან" დაახლოებული პარტიები არჩევნებიდან მოხსნეს

ესპანეთის უმაღლესმა სასამართლომ ხელისუფლების მოთხოვნა დააკამყოფილა და რეგიონული არჩევნებიდან ორი რადიკალური ბასკური პარტია - "დემოკრატია 3000000" და "ასკატასუნა" მოხსნა. ორივე ამ პარტიას ტერორისტულ ორგანიზაცია "ეტასა" და მის პოლიტიკურ ფრთა "ბატასუნასთან" კავშირში ადანაშაულებენ, რომელთა საქმიანობა ესპანეთში 2003 წლიდან აკრძალულია. ამა წლის იანვარში ესპანეთის პოლიციამ ორივე პარტიის ხელმძღვანელობა დააკავა, რადგან სამართალდამცველებს ეჭვი აქვთ, რომ პარტიების ლიდერები "ბატასუნას" მიერ არიან ხელდასმულნი. **მედიანიუსი**

## იემენში "ალ ქაიდასთან" კავშირში ეჭვმიტანილები გაათავისუფლეს

იემენის ხელისუფლებამ ბოლო ორი დღის განმავლობაში "ალ ქაიდასთან" კავშირში ეჭვმიტანილი 170 ადამიანი გაათავისუფლა. დაკავებულებმა წერილობითი ჩვენება მისცეს პოლიციას, რომ ტერორისტულ საქმიანობაში არასდროს მიიღებენ მონაწილეობას. იემენში მსგავსი პრაქტიკა სტანდარტულია და უკვე დიდი ხანია, მოქმედებს. გარდა ამისა, ეჭვმიტანილთა გათავისუფლებას ადგილობრივი ტომების უხუცესები გააკონტროლებენ, რომლებიც ქვეყნის გარკვეულ ნაწილში დიდი ავტორიტეტითა და გავლენით სარგებლობენ. აშშ-ს რეაქცია ჯერჯერობით უცნობია, ცნობილია მხოლოდ ის, რომ ვაშინგტონში არ მოეწონებათ იემენის ხელისუფლების ასეთი საქციელი, რადგან აშშ, როგორც წესი, არ ჩქარობს ხოლმე ეჭვმიტანილთა გათავისუფლებას გუანტანამოს საპყრობილედან, სადაც პატიმართა ნახევარზე მეტს იემენელები შეადგენენ. **მედიანიუსი**

# სამხრეთ კორეას ჩრდილოეთის არ ეშინია

მარიკა იაშვილი

**"სეული არ აპირებს, ჩრდილოეთის წინაშე დათმობებზე წავიდეს,"** - სამხრეთ კორეის პრეზიდენტ ლი მენ ბაკის განცხადებით, ფხენიანის მხრიდან წამოსული მუქარების მიუხედავად, მისი ხელისუფლება მკაცრ ტონს არ შეცვლის და პოზიციებს არ დათმობს. ჩრდილოეთის მიმართ მკვეთრი პოლიტიკის გატარება ლიმ პრეზიდენტის პოსტის დაკავებისთანავე დაიწყო.

ბოლო პერიოდში სულ უფრო ხშირად ვრცელდება ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ფხენიანი შორი მოქმედების რადიუსის რაკეტის საცდელი გაშვებისთვის ემზადება და სამხრეთთან სამშვიდობო შეთანხმების გადახედვას აპირებს.

სამხრეთ კორეაში დისლოცირებული აშშ-ს სახედრო ძალების მეთაურის განცხადებით, იმ შემთხვევაში, თუ ფხენიანი რაკეტის გამოცდის გადაწყვეტილებას არ შეცვლის, ის საპასუხო დარტყმას მიღებს.

ამერიკელმა გენერალმა ვოლტერ შარფმა მოუწოდა ჩრდილოეთ კორეას, უარი თქვას პროვოკაციებზე და ამ საკითხს პასუხისმგებლობით მოეკიდოს.

გენერალ შარფის თქმით, რომელიც 28 500 ამერიკელ სამხედროს მეთაურობს, ამერიკული და სამხრეთკორეული სამხედრო შენაერთები მზად არიან, ჩრდილოეთის მიერ დესტაბილიზაციის ნებისმიერ მცდელობას შესაბამისი პასუხი გასცენ. შარფი, ისევე როგორც მთელი მსოფლიო, მოუწოდებს ოფიციალურ ფხენიანს, არ გამოსცადოს თავისი ბალისტიკური რაკეტა და მობილიზება გააკეთოს იმ მოლაპარაკებებზე, რომლებიც ბირთვული პროგრამის დასრულებას შეეხება.




*გენერალ შარფის თქმით, ამერიკული და სამხრეთკორეული სამხედრო შენაერთები მზად არიან, ჩრდილოეთის მიერ დესტაბილიზაციის ნებისმიერ მცდელობას შესაბამისი პასუხი გასცენ.*

გენერალ შარფის განცხადებით, მათ შეშფოთებას იწვევს ჩრდილოეთ კორეის არსენალი, რომელიც სამხრეთის საზღვრებთან არის განლაგებული.

თავის მხრივ, ანალიტიკოსები ორ კორეულ რესპუბლიკას შორის სერიოზულ შეტაკებებს არ მოელიან. მათი აზრით, რაკეტის გამოცდის შესახებ ჩრდილოეთის მხრიდან გაკეთებული განცხადებები, სამხრეთ კორეაზე ზეწოლის მცდელობაა. ფხენიანს სურს, გატეხოს სეულის მკაცრი პოლიტიკა და ამერიკის ახლად არჩეული პრეზიდენტის ყურადღება მიიპყროს.

პრეზიდენტ ლი მენ-ბაკის განცხადებით, ჩრდილოეთი არასდროს პასუხობს სამხრეთკორეელი მინისტრების მზადყოფნას მოლაპარაკებების წარმოებაზე. მისი თქმით, სეულის ყოველი მცდელობა, დაემყარებინა ფხენიანთან ნორმალური ურთიერთობა, კრახით დასრულდა. ტრადიციულ რადიომიმართვაში პრეზიდენტმა მწუხარება გამოთქვა იმის გამო, რომ ჩრდილეთ კორეის მუქარების სერია მოსახლეობის შეშფოთებას იწვევს და განაცხადა, რომ მათ გამო ნერვიულობა არ ღირს.

**"ხელისუფლება მზად არის, ნებისმიერ დროს მიუჯდეს მოლაპარაკებათა მაგიდას ჩრდილოეთთან ერთად და ნებისმიერი საკითხი გადაჭრას,"** - განაცხადა ლიმ.

ლიმ აგრეთვე ისიც განაცხადა, რომ არ გაიმეორებს თავისი წინამორბედების მიერ დაშვებულ ისეთ შეცდომებს, როგორიც დიალოგის დაუფიქრებლად წამოწყებაა. მისი თქმით, სჯობს დასაწყისში ცოტაოდენი პრობლემები იყოს, მაგრამ მოლაპარაკებები სწორი მიმართულებით მიდიოდეს, ვიდრე დრო იმის გარკვევაში კარგონ, თუ რა სურს ჩრდილოეთ კორეას და თავი იმით დაიმშვიდონ, რომ ყველაფერი კარგია, რაც კარგად მთავრდება. მით უფრო, რომ არავინ იცის, დამთავრდება თუ არა კარგად ჩრდილოეთთან დიალოგი.

**"ჩვენ მზად ვართ, ვითანამშრომლოთ ფხენიანთან, მაგრამ მათაც უნდა გააცნობიერონ, რომ სამხრეთ კორეა ერთადერთი ქვეყანაა, რომელსაც მათი მომავალი მართლა აღელვებს და სურს, დაეხმაროს მათ,"** - განაცხადა ლიმ.

მისი გამოსვლა წინ უძღოდა გაერთიანების ახალი მინისტრის დამტკიცებას, რომელსაც ფხენიანში "ჩრდილოეთ კორეის კონფრონტაციის მსურველ ფანატიკოსს და ამერიკის სამსახურში მყოფ გამყიდველს" უწოდებენ. ჩრდილოეთი ამტკიცებს, რომ ამ ადამიანის მოლაპარაკებებში ჩართვა პროცესს კატასტროფამდე მიიყვანს. მით უფრო, რომ გასული წლის თებერვალში სამხრეთ კორეის სათავეში კონსერვატორი პრეზიდენტის მოსავლის შემდეგ ორ კორეას შორის ურთიერთობები ისედაც გართულდა.

პრეზიდენტ ლის მიერ ბოლო პერიოდში მიღებული ერთ-ერთი გადაწყვეტილება მის წინამორბედთა მეირ გატარებული პოლიტიკის გადახედვას გულისხმობს. მისი განცხადებით, ფხენიანი მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიღებს სეულთან ეკონომიკურ თანამშრომლობას, თუ ბირთვულ პროგრამაზე უარს იტყვის.

ასეთმა ახლებურმა მიდგომამ ჩრდილოთ კორეის უკმაყოფილება გამოიწვია. თითქმის ამ პოლიტიკის პასუხად გავრცელდა ინფორმაცია, რომ ჩრდილოეთ კორეა უკვე იწყებს მუშაობას ახალი რაკეტის გამოცდაზე. აგრეთვე მოსალოდნელია, რომ ჩრდილოეთმა, დაძაბულობის ხელოვნურად გამოსაწვევად, მცირე დიაპაზონის რაკეტები სამხრეთთან საზღვაო საზღვრის მიმართულებითაც გაუშვას. ხოლო ჩრდილოეთ კორეას, იაპონიას, სამხრეთ კორეას, აშშ-ს, რუსეთსა და ჩინეთს შორის მიმდინარე მოლაპარაკებები ამჟამად სწორედ ბირთვული იარაღის გამოცდის საკითხზეა შეჩერებული.

# ავღანეთი - ერაყზე უფრო დიდი პრობლემა

მარიკა იაშვილი

კონფლიქტის დარეგულირება ავღანეთში ბევრად უფრო რთული იქნება, ვიდრე ერაყში იყო, - ამერიკის პრეზიდენტი ბარაკ ობამა ავღანეთს ყველაზე პრობლემურ რეგიონად მიიჩნევს.

**"ჩვენ ავღანეთში უმძიმესი მემკვიდრეობა მივიღეთ, არასდროს არსად მინახავს იმის მსგავსი არეულობა, როგორიც აქ დაგვხვდა,"** - განაცხადა მიუნხენის კონფერენციაზე რიჩარდ ჰოლბრუკმა, ობამას ადმინისტრაციის საგანგებო წარმომადგენელმა ავღანეთსა და პაკისტანში.

ავღანეთში კონფლიქტის დარეგულირების გზების ძიებამ აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია ნატო-ს წევრი ქვეყნების თავდაცვის მინისტრთა კონფერენციაზე. სამხედრო თუ სამოქალაქო? - ასეთია მთავარი კითხვა, რომელზე პასუხის გაცემასაც მიუნხენში ცდილობდნენ.

ამერიკული სამხედრო ძალების წარმომადგენელი, გენერალი დევიდ პეტრაუსი მიიჩნევს, რომ ავღანეთში წესრიგის დასამყარებლად ერაყში გამოყენებული მეთოდებია საჭირო, რადგან, მისი აზრით, თუ ქმედითი ნაბიჯები სასწრაფოდ არ გადაიდგმება, ავღანეთში ვითარება თანდათან უფრო გაუარესდება, ამის თავიდან ასაცილებლად კი აუცილებელია ტაქტიკის შეცვლა რაც შეიძლება სწრაფად.

გენერალი პეტრაუსი, რეგიონში ამერიკული სამხედრო ძალების უმაღლესი მეთაური, თავისი მოსაზრების გამოთქმისას ეყრდნობა იმ გაკვეთილს, რომელიც ამერიკელებმა ერაყში მიიღეს.

**"მომავალში ამერიკელებმა ადგილობრივ, რიგით ავღანელებთან უფრო ახლოს უნდა იცხოვრონ და ითანამშრომლონ. ეს თანხმობის მიღწევასა და კარგი ხელისუფლების ჩამოყალიბებას შეუწყობს ხელს,"** - აცხადებს გენერალი.

ობამას ხელისუფლება აღნიშნავს, რომ ავღანეთთან მიმართებაში მისი პოლიტიკა ჯერ კიდევ განხილვის პროცესშია და ამ პრობლემის მოგვარებაში პაკისტანისა და რეგიონის სხვა ქვეყნების მონაწილეობასაც საჭიროდ მიიჩნევს.

**"ჩემი აზრით, ავღანეთის საკითხის გადასაწყვეტად ახალი იდეები და ნატო-ში ჩვენს მოკავშირეებსა და სხვა დაინტერესებულ ქვეყნებს შორის უკეთესი კოორდინაციაა საჭირო. მთავარი კი ის არის, რომ გვქონდეს საკმარისი დრო ყველაფრის უკეთ შეფასებისა და გაანალიზებისთვის,"** - აცხადებს ობამა.

გენერალმა ჯეიმს ჯონსმა, ამერიკის პრეზიდენტის ახალმა მრჩეველმა ნაციონალური უსაფრთხოების საკითხებში, კონფერენციაზე რეპორტიორებს განუცხადა, რომ ავღანეთში ამერიკელ სამხედროთა რაოდენობის გაორმაგება და 60 000-მდე გაზრდა არ არის საკმარისი პრობლემის მოსაგვარებლად. **"მხოლოდ შეიარაღებული ძალები არ არის საკმარისი და ჩვენ ქმედებათა ფართო სპექტრს უნდა მივმართოთ,"** - ამბობს ჯონსი.

აშშ დიდი ხანია, ცდილობს ნატო-ს დარწმუნებას, გაზარდოს თავისი ძალები ავღანეთში. ამავე აზრს იზიარებს ბრიტანეთის თავდაცვის მინისტრი ჯონ ჰატონიც. **"ყველაზე მნიშვნელოვანი, რისი გაკეთებაც ახლა შეიძლება, სამხედრო კონტინგენტის გაზრდაა,"** - ამბობს ის, - **"სხვა ყველა შეხედულება, რომ ავღანეთში ვითარების სტაბილიზება სხვანაირი გზებით არის შესაძლებელი, ბავშვური ილუზიაა."**

ჰატონის აზრს არ იზიარებს გერმანიის თავდაცვის მინისტრი. მიუხედავად იმისა, რომ სწორედ გერმანიაა ის ქვეყანა, რომელსაც ავღანეთში ყველაზე მეტი სამხედრო ჰყავს, ფრანც ჟოსეფ იანგი მიიჩნევს, რომ მოკავშირეებმა მიზნის მისაღწევად სხვა ხერხებსაც უნდა მიმართონ და სამოქალაქო მიდგომა უნდა შეიმუშაონ.

ამჟამად ავღანეთში 3 500 გერმანელი ჯარისკაცი იმყოფება და ბერლინი მათი რაოდენობის 1000-ით გაზრდას გეგმავს. რაც შეეხება ნატო-ს ძალებს, ავღანეთში ამჟამად 55 000 ჯარისკაცი იმყოფება, ამერიკელ სამხედროთა ჩათვლით.

მიუნხენის კონფერენციაზე სიტყვით ავღანეთის პრეზიდენტი ჰამიდ კარზაიც გამოვიდა. მან კიდევ ერთხელ გაიმეორა თავისი მიმართვა თალიბებისადმი და მათ ავღანეთში დაბრუნებისკენ მოუწოდა, რათა არჩევნების წინ მიღწეულ შეთანხმებათა მონაწილენი გახდნენ. არჩევნები ავღანეთში 2009 წელს იგეგმება და ეს მოწოდება შესაძლოა, მის საარჩევნო აგიტაციადაც კი ჩაითვალოს.

კონფერენციაზე გამოსვლისას კარზაიმ, რომლის რეპუტაციაც ბოლო პერიოდში საგრძნობლად შეირყა, სცადა ავღანეთის მთავრობის დაცვა იმ საზოგადოების თვალში, რომელიც ავღანურ ხელისუფლებას სულ უფრო ხშირად აკრიტიკებს.

გამოსვლაში მან აღიარა, რომ მისი ხელისუფლებისთვის უცხო არ არის კორუფცია, რის მიზეზადაც ამჟამად მის ქვეყანაში არსებული პრობლემები დაასახელა. კარზაის განცხადებით, პრობლემების მოსაგვარებლად ავღანეთის დახმარების მსურველ საერთაშორისო ორგანიზაციების კოორდინირებული მუშაობაა საჭირო.

# რევიუ

## კარიკატურები ახალი წიგნებიდან

### გამოვიდა დავით ქართველიშვილის "ახალი წიგნი" და ლაშა ბუღაძის ახალი წიგნი

ია ვეკუა

"ყურადღება, ჩვენ ახლა ვიმყოფებით თბილისში, რესპუბლიკის მოედანზე და მივემგზავრებით□ " "□ წინანდალში მდებარე ეს სახლი ალექსანდრე ჭავჭავაძემ მე-19 საუკუნის დასაწყისში ააშენა და ის მალე იქცა მაშინდელი ქართველი საზოგადოების კულტურულ ცენტრად", - აგრძელებს №1 გიდის დაწყებულ ტექსტს გიდი №2 - ალექსანდრე ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმის ექსკურსიამძღოლი ქალბატონი. №1 კი ლაშა ბუღაძეა, ჯერ კიდევ ახალგაზრდა, თუმცა თანამედროვე ქართული ლიტერატურის უკვე შემდგარი წარმომადგენელი. ავტობუსში კიდევ ერთი მწერალია - დავით ქართველიშვილი, წინანდალში კი "ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის" მიერ გამოცემული მისი "ახალი წიგნისა" და ბუღაძის "კარიკატურისტის" პრეზენტაციაზე მივემგზავრებით.





ლაშა ბუღაძის მიერ შესრულებული კარიკატურა, "მინისტრი ლოცულობს"

რატომ წინანდალში? უბრალოდ მუზეუმის მოსანახულებლად და ცხადია, მისი პოპულარიზაციისთვის. გარდა ამისა, აქვე ირკვევა, რომ ორივე ავტორი სხვადასხვა დროს წინანდლის პრემიის ლაურეატი ყოფილა. მოკლედ ჭავჭავაძეებთან "სტუმრობის" ერთი მიზეზი გაირკვა, მთავარი მიზეზის შესახებ კი ქვემოთ მოგახსენებთ.

ამპარტავნება, ანგარება, სიძვა, მრისხანება, ნაყროვანება, შური და სასოწარკვეთა - ამ შვიდი მომაკვდინებელი ცოდვის შესახებ ალბათ ყველას გსმენიათ და იქნებ რომელიმეს ტყვეობაში თავადაც ბრძანდებით (დიდი ბოდიშის მოხდით, ცხადია). ლაშა ბუღაძის "კარიკატურისტის" შვიდი გარდაცვლილი პერსონაჟი და მათი კარიკატურების ხასიათი (რომელთა ავტორიც თავად ბუღაძე გახლავთ) შესაძლოა სწორედ იმაზე მიუთითებს, რომ ავტორმა ნაწარმოები ჩამოთვლილ ცოდვებზე ააგო. ან ეს სულაც არაა ასე და უბრალო დამთხვევაა□ როგორც ბუღაძე ამბობს, მისი მესამე რომანი წინა ორისგან - "ბოლო ზარისგან" და "ოქროს ხანისგან" განსხვავებული და სერიოზულია. "ვეცადე, ამ რომანით ახალ ლიტერატურულ სიბრტყეზე გადამენაცვლებინა", - ამბობს ავტორი და თავადვე გვიყვება "კარიკატურისტის" მოკლე შინაარსს: "მოკლედ, არის კარიკატურისტი, რაღაც ჟურნალში მუშაობს, რომლის მიერ დახატული კარიკატურების გმირები ან საეჭვო ვითარებაში კვდებიან ან ასეთივე ვითარებაში კლავენ. ცხადია, ჩნდება ეჭვი კარიკატურისტზე, თუმცა ამ საქმის გამომძიებელი სხვა ვერსიაზე მუშაობს და ფიქრობს, რომ კარიკატურისტის სახით ქვეყანას უხილავი კორექტორი მოევლინა".

აქ საუბარში დავით ქართველიშვილი ერთვება და ბუღაძეს შეახსენებს, რომ მის ნაწარმოებში "ბევრი სექსებია". ბუღაძე ოდნავ წითლდება, თავს ხრის და ცდილობს, გაიხსენოს ის ცნობილი ქართული ნაწარმოებები, სადაც ასევე "ბევრი სექსებია", თუმცა მიხეილ ჯავახიშვილის გარდა ვერავის იხსენებს. დარბაზიდან ახსენებენ, რომ მეტ-ნაკლებად შემსამჩნევი ერიტიკული სცენა აქვს ერთ-ერთ მოთხრობაში ფუცუ დგებუაძე-ფულარიასაც (!), მაგრამ სავარაუდოდ ლაშას ეს ნაწარმოები არ აქვს წაკითხული, ამიტომ დგებუაძე-ფულარიას "ფანის" რეპლიკა მისი ყურის მიღმა რჩება.

ლაშა ენაწყლიანია და უყვარს, როდესაც უსმენენ, ამიტომ დავით ქართველიშვილის "ახალი წიგნის" შესახებაც გვაწვდის ინფორმაციას: "საინტერესო წიგნებს ბევრი წერს, მაგრამ იშვიათად იწერება მნიშვნელოვანი წიგნები. სწორედ ასეთი წიგნები ქმნიან ლიტერატურას. ეს ის შემთხვევაა, როდესაც სიუჟეტის გარდა მნიშვნელოვანია თხრობის მანერაც. ასეთია დათოს წიგნი, რომელიც ჩემთვის ლიტერატურის შექმნის ავტორისეულ ანალიზსაც შეიცავს."

ცხადია ბუღაძე მხოლოდ ამით არ კმაყოფილდება და ქართველიშვილის რომანის ანალიზის შემდეგ მის მოყოლას იწყებს: "ცნობილი ბიზნესმენი ახალგაზრდა მწერალს მისი ბიოგრაფიის დაწერას სთხოვს, თუმცა თავისი ცხოვრებიდან არაფერს უყვება. სთავაზობს, მასთან გადმოვიდეს საცხოვრებლად და დაწეროს ის, რასაც საკუთარი თვალით იხილავს□ " ასე იწყებს მწერალი "ახალი წიგნის" წერას, რომლის ერთ-ერთი პერსონაჟი თავადვე ხდება. სწორედ აქ იწყება ზღვარის წაშლა მწერლისა და მისი წიგნის პერსონაჟი მწერლის ცხოვრების, ანუ რეალობასა და გამოგონილს შორის.

ორივე წიგნს აქვს შანსი 2009 წლის "საბას" საუკეთესო რომანის ნომინაციაში მოხვდეს. ამ ლიტერატურულ პრემიას უკვე ფლობენ დავით ქართველიშვილიც და ლაშა ბუღაძეც (ეს უკანასკნელი ერთბაშად ორს). ბუღაძემ მეორე "საბა" 2007 წელს "ოქროს ხანისთვის" მიიღო, ყველაზე საინტერესო კი ისაა, რომ მისი მთავარი კონკურენტი ამ ნომინაციაში სწორედ დავით ქართველიშვილი იყო რომანით "იყო საღამო, იყო დილა". მაშინ ფავორიტად სწორედ ქართველიშვილის რომანს მიიჩნევდნენ და მთავარი ფსონებიც მის გამარჯვებაზე იდებოდა, ამიტომ როდესაც ჟიურიმ პრიზის მისაღებად ლაშა ბუღაძე მიიხმო, დაჯილდოვების დამსწრე საზოგადოებამ ეს მოვლენა მხოლოდ კანტიკუნტი ტაშითა და ქართველიშვილისთვის მხარზე ხელის მოთათუნებით აღნიშნა. გავიდა ერთი წელი და ქართველიშვილმა ორ ძველ მოთხრობას ორი ახალიც დაუმატა და კრებული "4 მოთხრობა" გამოსცა, რომელმაც "საბას" პრემიაც მოუტანა. ამ ორ ავტორს შორის "დუელის" მეორე ტური კი როგორც გითხარით, შესაძლოა კვლავ გაიმართოს - ივნისში, თიბისი ბანკის კოხტა ეზოში.

## "Art" = დიდი ხელოვნება

მანანა პაიჭაძე

**ათი წლის წინათ (პრემიერის ზუსტი თარიღია 1999 წლის 2 ოქტომბერი) თემურ ჩხეიძემ კოტე მარჯანიშვილის სახელობის დრამატულ თეატრში ფრანგი დრამატურგი ქალის იასმინა რეზას პიესა "ART"-"ხელოვნება" დადგა. პიესა ერთმოქმედებიანია, ქართული ტექსტის ავტორი არის თამაზ გოდერძიშვილი, მხატვარი - იური გეგეშიძე, მსახიობები - ზურაბ ყიფშიძე, ალეკო მახარობლიშვილი და მიხეილ გომიაშვილი. სპექტაკლი გენიალურია, აბსოლუტურად გენიალური! მისი ყველა კომპონენტი სრულად ავსებს არა მარტო სასცენო სივრცეს, არამედ მაყურებელთა დარბაზსაც. ეს კი, სამწუხაროდ, არც თუ ისე ხშირად ხდება ხოლმე.**

სპექტკლი "ART"-"ხელოვნება" ბევრჯერ ვნახე, და არ გამოვრიცხავ იმასაც, რომ კიდევ რამდენჯერმე ვნახავ. ყოველთვის, როდესაც მარჯანიშვილის თეატრის აფიშაზე ვკითხულობ - იასმინა რეზა "ART"-"ხელოვნება" (სხვათა შორის აფიშაზეც და პროგრამაშიც რატომღაც შეცდომით წერია მწერლის გვარი - ის მოხსენიებულია როგორც "რიზა") - მისი კვლავ ნახვის სურვილი მიჩნდება. რატომ? თბილისის თეატრებში ხომ ბევრი სხვა კარგი და ძალიან კარგი სპექტაკლიც იდგმება?! პასუხი ამ კითხვაზე რთულიც არის და ამავე დროს მარტივიც: ალბათ ეს ის შემთხვევაა, როდესაც თანაბრად მაღალპროფესიონალურ დონეზეა წარმოდგენილი ლიტერატურული ტექსტი, რეჟისურა, სცენოგრაფია და რაღა თქმა უნდა აქტიორული/სამსახიობო ხელოვნება. მსახიობების ოსტატობა იმაშიც ვლინდება, რომ ყოველ სპექტაკლში მათ შეაქვთ ახალი ინტონირება და აქცენტირება, თანაც ისე, რომ ამით არ არღვევენ სპექტაკლის ძირითად ტონალობას.



XX საუკუნის ცნობილი ქართველი ლიტერატურათმცოდნე, კრიტიკოსი და ესსეისტი გურამ ასათიანი თავის ესსეში "სცენა და დარბაზი" წერს: "თეატრის სცენას აქვს თავისი შინაგანი უსაზღვროება... ამ სიღრმეში არის დაპირება, გამოუცნობ ზრახვათა, მოულოდნელობათა ნიშანი, რომელიც წინათგრძნობის განცდად ეუფლება დარბაზს. ის ჰამლეტის მამის აჩრდილივითაა: რაღაცას გვაგონებს გამუდმებით, რაღაც აუცილებელ მოწოდებას აღვიძებს ჩვენში."

რა მოწოდებებებს (თუ მოწოდებას) აღვიძებს მაყურებელში სპექტაკლი "ART"-"ხელოვნება"?

პირველ რიგში ორიოდე სიტყვა თავად პიესაზე და მის ავტორზე:

თანამედროვე ფრანგი დრამატურგი ქალი იასმინა რეზა (დაიბადა პარიზში 1959 წლის 1 მაისს, ეთნიკური წარმომავლობა: მამით - ირანელი, დედით - უნგრელი; თავს ფრანგად და თავის მშობლიურ ენად ფრანგულს მიიჩნევს) დღესდღეობით მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ავტორია. მის კალამს ეკუთვნის პიესები: "საუბრები დაკრძალვის შემდეგ" (1987), "მოგზაურობა ზამთარში" (1989), "ART" (1994), "შემთხვევითი მამაკაცი" (1995), "ცხოვრების სამი ვერსია" (2000), "ესპანური პიესა" (2004), "სინათლე" (2006), "ხოცვაჟლეტის ღმერთი" (2006). იასმინა რეზა პროზასაც წერს. მისი ჯერჯერობით ბოლო წიგნი სათაურით "ბინდისა და სიბნელის განთიადი" ნიკოლა სარკოზის ბიოგრაფიული პორტრეტია.

პროფესიონალური განათლებით მსახიობი (ის სწავლობდა პარიზის უნივერსიტეტში, შემდგომ კი ჟაკ ლეკოკის საერთაშორისო თეატრალურ სტუდიაში), იასმინა რეზა პიესების წერას იწყებს 1987 წელს. წარმატებული აღმოჩნდა მისი პირველივე პიესები, მაგრამ პიესამ "ART" (1994) მას მსოფლიო აღიარება და პოპულარობა მოუხვეჭა.

გაგრძელება A10 გვერდზე



აფიშა

10 თებერვალი

თეატრი

**შოთა რუსთაველის სახელობის თეატრი**
მცირე სცენა
"Play ანუ სიკვდილის როკვა"
რეჟისორი: რობერტ სტურუა
დასაწყისი: 19.00

**კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრი**
"ზაფხულის რამის სიზმარი"
რეჟისორი ლევან წულაძე
დასაწყისი: 20.00

**თეატრი სხვენში**
"ქვრივები"
რეჟისორი მალხაზ ასლამაზიშვილი
დასაწყისი: 20.00

**თეატრალური სარდაფი**
"სიყვარული, ნარკოტიკი და ..."
დასაწყისი: 20.00

**პანტომიმის თეატრი**
"ბლედი"
დასაწყისი: 19.00

**თავისუფალი თეატრი**
"ჯინსების თაობა"
რეჟისორი დავით დოიაშვილი
დასაწყისი: 19.00

კინო

**"ამირანი"**
"ქორწილის დღე"
დასაწყისი: 18.45; 20.30; 22.15
"ოპერაცია ვალკირია"
დასაწყისი: 20.00
"იგორი"
დასაწყისი: 12.45; 14.00; 16.00
"რაც ყველაზე ძლაიან გიყვარს"
დასაწყისი: 18.00

**"რუსთაველი"**
"იგორი"
დასაწყისი: 12.45; 14.30; 16.15; 18.00
"ოპერაცია ვალკირია"
დასაწყისი: 13.00; 15.15; 17.30
"ავსტრალია"
დასაწყისი: 12.30; 15.30; 18.30; 21.30
"არწივის თვალი"
დასაწყისი: 21.45
"ტრანსპორტერი III"
დასაწყისი: 13.15; 15.00; 17.00; 19.00; 21.00
"რაც ყველაზე ძლაიან გიყვარს"
დასაწყისი: 12.15; 15.00; 17.15; 19.30; 22.00

გალერეა

**"ქარვასლა"**
"ჩეხეთის მარგალიტები"

**"ორნამენტი"**
ტიხრული მინანქრის მუდმივი გამოფენა

**"შარდენი"**
ლევან მარგიანის ნამუშევრების გამოფენა

**"ვერნისაჟი"**
გიორგი გაგოშიძის გამოფენა
"აბასთუმანი, აბასთუმანი..."

**ჰობი**
როკო ირემაშვილის პერსონალური გამოფენა
ფერწერა, გრაფიკა

# "Art" = დიდი ხელოვნება

პირველი გვერდიდან

1994 წელს "ART"-ი დაიდგა პარიზში "კომედი დე შანზ ელიზეს" თეატრში ცნობილი ფრანგი რეჟისორის და მსახიობის პატრის კერბრატის მიერ. ეს დადგმა ძალიან დიდხანს იყო თეატრის რეპერტუარში. უნდა აღინიშნოს აგრეთვე, რომ ამ სპექტაკლში თამაშობდნენ ისეთი მსახიობები, როგორიც არიან პიერ არდიტი, პიერ ვანეკი და ჟან-ლუი ტრენტინიანი. "ART"-ი წარმატებით იდგმება აშშ-ში, ინგლისში, გერმანიაში, შვეიცარიაში, რუსეთში, ისრაელში, ბელგიაში, ესპანეთში, არგენტინაში. . . და საქართველოში (2000 წელს რეჟისორ თემურ ჩხეიძეს, მსახიობებს - ზურაბ ყიფშიძეს, მიხეილ გომიაშვილს და ალეკო მახარობლიშვილს ამ სპექტაკლისათვის მიენიჭათ საერთაშორისო თეატრალური ფესტივალის "ოქროს ნიღაბი" გრან-პრი). იასმინა რეზას პიესას მიენიჭა მრავალი პრემია, მათ შორის მოლიერის სახელობის პრემია, ტონის პრემია, ლოურენს ოლივიეს სახელობის პრემია.

პიესის შექმნას საფუძვლად დაედო კონკრეტული ფაქტი მწერლის ცხოვრებიდან: მისმა ერთმა მეგობარმა, პროფესიით დერმატოლოგმა, თეთრი სურათი იყიდა. როდესაც იასმინა რეზამ გაიგო, რომ მან ამ სურათში 200 000 ფრანკი (მაშინ დაახლოებით 40 000 $) გადაიხადა, მას სიცილი აუვარდა, მეგობარიც აყვა სიცილში და... ისინი მეგობრებად დარჩნენ. პიესა როცა დაწერა, რეზამ ის ჯერ ამ თავის მეგობარს წააკითხა, რასაც მეგობრის მხრიდან ანალოგიური რეაქცია მოჰყვა. მაგრამ პიესის არსებობის მიუხედავად მას კვლავინდებურად უყვარდა და მოსწონდა თავისი თეთრი სურათი.

ამ პიესის ჟანრად სახელდება კომედია. და თუ კი შეიძლება არსებობდეს ცრემლნარევი, ღრმა, ფილოსოფიური კომედია, მაშინ "ART"-ი სწორედ ასეთ კომედიას წარმოადგენს.

სიუჟეტი: სამი მეგობრის ხანგრძლივ მეგობრობას სერიოზული განხეთქილება ემუქრება "თეთრი სურათის" გამო, რომელიც სერჟმა (ქართულ დადგმაში სერგომ - მიხეილ გომიაშვილი) ძალიან დიდ თანხად 200 000 ფრანკად (ქართულ დადგმაში 6 000 ლარად) იყიდა. "სურათი თეთრია, აბსოლუტურად თეთრი, თვალს თუ მოჭუტავ, რამდენიმე ზოლს დაინახავ, რომლებიც ასევე თეთრია." ამ ამბით შეწუხებული და აღშფოთებულია მარკი (ქართულ დადგმაში მამია - ზურაბ ყიფშიძე), რადგანაც ის ჩათვლის, რომ თუკი სერგოს ეს სურათი მოსწონს და ამდენ ფულს იხდის მასში, მაშინ გამოდის, რომ მას - მარკს/მამიას ფერწერისა და ხელოვნების არაფერი გაეგება; იგი იმ დასკვნამდე მიდის, რომ თურმე მას და მის უახლოეს მეგობარს მთელი ცხოვრება განსხვავებული ფასეულობებით უცხოვრიათ. ამ სიტუაციის განმუხტვას ცდილობს მესამე მეგობარი - ივანი (ქართულ დადგმაში - ივანე - ალეკო მახარობლიშვილი), რომელიც (პიესის სიუჟეტის თანხმად) მართალია ინტელექტით თავის მეგობრებს ჩამორჩება, მაგრამ თავისი დამთმობი ბუნებით, გულკეთილობით თუ მიამიტობით ახერხებს სამივეს შორის კონფლიქტის განმუხტვას.





მეგობრები მეგობრებად რჩებიან, მაგრამ რა ვნებათა ღელვის ხარჯზე! კამათისას მეგობრები ეხებიან სხვადასხვა დონის პრობლემებს და თემებს - როგორც ფილოსოფიურს, ლიტერატურულს, ფსიქოლოგიურს (პიესაში და შესაბამისად სპექტაკლშიც გვხვდება ფსიქოანალიზის "მამების" - ს. ფროიდის და კ. გ. იუნგის ციტატები, რომლებიც ივანესთვის მის ფსიქოლოგს ჩაუწერინებია; საინტერესოა, რომ პიესის ქართულ ვერსიაში ფსიქოლოგის გვარი "შამანაურია" - "შამანი" ხომ ძველ ხალხთა ტომებში ექიმს, მკურნალს, სასწაულთმოქმედს ნიშნავს), ასევე ბანალურ ყოფით საკითხებს. საგულისხმოა, რომ სურათის მფლობელი სერგო მამიას სთავაზობს მისი თქმით ერთ-ერთი უთანამედროვესი მწერლის სენეკას ტრაქტატის "ბედნიერ ცხოვრებაზე" წაკითხვას, რომელიც ჭეშმარიტი შედევრიაო. და მთელი დატვირთვა პიესის და სპექტაკლის ამ მონაკვეთისა სწორედ ის არის, რომ ეს მართლაც ასეა. ახალგაზრდა მკითხველთა (და მაყურებელთა) საყურადღებოდ განვმარტავ: ლუციუს ანეუს სენეკა ძველი და ახალი წელთაღიცხვის მიჯნაზე მოღვაწე რომაელი ფილოსოფოსი, პოეტი და სახელმწიფო მოღვაწე იყო. სწორედ მას ეკუთვნის ცნობილი გამონათქვამი: "სიცოცხლე თეატრივითაა, რომლის წარმოდგენაშიც მთავარია არა ხანგრძლივობა, არამედ ის, თუ როგორ შეასრულებ მასში საკუთარ როლს".

მისი ტრაქტატი "ბედნიერ ცხოვრებაზე" - "De vita beata" - აგებულია შემდეგნაირად: თემის გაშლა და შემდგომ მისი ცალკეული პოსტულატების არგუმენტირება, ბოლოს კი დასკვნა: **ჭეშმარიტი ბედნიერება ზნეობრიობაში ძევს.**

სწორედ ასეთია პიესა "ART"-ის არქიტექტონიკა და მისი მთავარი მოწოდება მკითხველისა და მაყურებლის მიმართ.

ერთ-ერთ ინტერვიუში თემურ ჩხეიძე ამბობს: "მთავარი ის კი არ არის, რას დადგამ, პიესას თუ პროზას, მთავარია გამოჩნდეს გამართული, საინტერესო ურთიერთობებით დატვირთული ნაწარმოები, რომელსაც აუცილებლად ექნება სათქმელი. ვგულისხმობ სათქმელს, რომელიც პირადად შენს სათქმელს და შინაგან განწყობას დაემთხვევა. ეს გარემოება ძალზე მნიშვნელოვანია, რადგან თუ წაკითხულმა არ აგაღელვა და არ მოგინდა, ეს გრძნობა სხვასაც გაუზიარო, კარგ სპექტაკლს ვერ დადგამ." (ინტერვიუდან ჟურნალისათვის "ქართული მწერლობა" 2008 წლის ნოემბერი).

სწორედ ასეთი "სათქმელია" ინტელექტუალური კამერული თეატრის ოსტატის იასმინა რეზას პიესა "ART"-ი, რომელიც, მართალია ფრანგული პიესაა, მაგრამ ამავე დროს უნივერსალურია. სწორედ ამიტომ მოერგო მას ესოდენ კარგად ე.წ. "გადმოქართულება" - ანუ სახელების და გვარების, ასევე ზოგიერთი რეალიის შეცვლის ხარჯზე მისი ქართულ სინამდვილეში გადმოტანა. ასეთი ამბავი ხომ ნებისმიერ ქვეყანაში შეიძლება მოხდეს და, ვინ იცის, რამდენჯერ მომხდარა და კიდევ მოხდება.

რეჟისორმა თემურ ჩხეიძემ თეთრი სურათი სპექტაკლის მეოთხე მოქმედ პირად აქცია, რომელიც მუდამ იცვლის ადგილს და დანიშნულებას. სპექტაკლის შუაში კი გამოჩნდება შავყდიანი პატარა წიგნი - სენეკას ტრაქტატი "ბედნიერ ცხოვრებაზე"- კონტრასტების თამაში: ჭეშმარიტება ხომ ყოველთვის შავით თეთრზე სჩანს და იწერება. თეთრი სურათი სუფთა დაფად (tabula rasa) გადაიქცევა და სერგოს ნებართვით მამია მასზე ფლომასტერით ხატვას იწყებს (პოპულარული თანამედროვე სიტყვებით რომ ვთქვათ - კრეატიულად აითვისებს ტილოს). ის მოთხილამურეს ხატავს, რომელიც მთიდან ძირს ეშვება.

არც პიესა და არც სპექტაკლი "ART"- ი არ არის ხელოვნებაზე. მართალია, დრამის ყველა კოლიზია აგებულია თეთრ აბსტრაქტულ სურათზე როგორც ხელოვნების ნიმუშზე, მაგრამ ეს თეთრი სურათი თავად არის ინდიკატორი (და შესაბამისად სემიოტიკური ნიშანი) უსაგნო, აბსტრაქტული ფერწერისა (გნებავთ აბსტრაქტული ექსპრესიონიზმის, სუპრემატიზმის, პოპ-არტის და ნებისმიერი სხვა მოდერნისტული მიმდინარეობისა), რომელიც ასოციაციურად რაღა თქმა უნდა პირველ რიგში კაზიმირ მალევიჩის შავ (1915), წითელ (1915) და თეთრ (1919) კვადრატებს უკავშირდება. "ჩემი დროის უჩარჩოო ხატი" - ასე უწოდა მალევიჩმა თავის ცნობილ "შავ კვადრატს". სწორედ ამიტომ იქმნება სცენაზე კონფლიქტური სიტუაცია - მეგობრების განსხვავებული დამოკიდებულება ამ სურათის მიმართ არღვევს მათი ურთიერთობის სტერეოტიპულ ჩარჩოებს (მათ ჩვეულ ცხოვრებისეულ რიტმს, ჩვევებს). "ამ სურათს ჩარჩო არ სჭირდება"-, ამბობს სერგო. ხოლო ივანეს ერთ-ერთი რეპლიკაა (როდესაც აზრის გამოთქმა სთხოვეს) - "მე მგონი ეს სურათი რომელიღაცა მიმდინარეობის დასასრული უნდა იყოს" - პროფესიონალურად აბსოლუტურად ზუსტად დასმული დიაგნოზია, თუმცაღა ივანე ამას ინტუიტურად ამბობს.

თეთრ სურათს ჩარჩო არ აქვს, არც სჭირდება, მაგრამ ერთგვარ ვერბალურ ჩარჩოშია ჩასმული თავად პიესა: სპექტაკლი იწყება და მთავრდება მამიას რეპლიკით. დასაწყისში ასეთი რეპლიკაა: "ჩემმა მეგობარმა სერგომ სურათი იყიდა. სურათი თეთრია, აბსოლუტურად თეთრი." ხოლო ბოლოს კი: "ჩემმა მეგობარმა სერგომ სურათი იყიდა. სურათზე კაცი თეთრ სივრცეს კვეთს და ნელ-ნელა უჩინარდება, იცრიცება. აღარც თოვლის ღრუბელი მოჩანს. თოვს, უსასრულოდ თოვს".

ნება მიბოძეთ ჩემს წერილსაც გავუკეთო ჩარჩო. ოღონდ, თუკი მამიას ცნობიერებაში თეთრი სურათის ანუ სინამდვილის აღქმა შეიცვალა, რაც მისი საწყისი და ფინალური რეპლიკების სხვაობიდან ჩანს, ჩემი ბოლოთქმა ისეთივე იქნება, როგორც დასაწყისში:

**ათი წლის წინათ (პრემიერის ზუსტი თარიღია 1999 წლის 2 ოქტომბერი) თემურ ჩხეიძემ კოტე მარჯანიშვილის სახელობის დრამატულ თეატრში ფრანგი დრამატურგი ქალის იასმინა რეზას პიესა "ART"-"ხელოვნება" დადგა. პიესა ერთმოქმედებიანია, ქართული ტექსტის ავტორი არის თამაზ გოდერძიშვილი, მხატვარი - იური გეგეშიძე, მსახიობები - ზურაბ ყიფშიძე, ალეკო მახარობლიშვილი და მიხეილ გომიაშვილი. სპექტაკლი გენიალურია, აბსოლუტურად გენიალური! მისი ყველა კომპონენტი სრულად ავსებს არა მარტო სასცენო სივრცეს, არამედ მაყურებელთა დარბაზსაც. ეს კი, სამწუხაროდ, არც თუ ისე ხშირად ხდება ხოლმე.**

# ოქროს ნიღბიანები დიდი ბრიტანეთიდან

კვირა საღამოს, ლონდონში ვარსკვლავთცვენა იყო. როგორც შეშვენით ისეთი... წითელი ხალიჩა ლონდონელებსაც უყვართ, თუმცა იქ ყველაფერი ბევრად მოკრძალებული და აკადემიურია, ვიდრე შტატებში და კონკრეტულად - ჰოლივუდში.

ბრიტანული კინო და ტელე აკადემიის (ბაფტა) პრიზი ნომინაციაში "წლის საუკეთესო ფილმი" გადაეცა დენი ბოილის სურათს "მილიონერი ჯურღმულებიდან".

ამ ფილმმა საერთო ჯამში 7 ნომინაციაში გაიმარჯვა. მათ შორის მოიპოვა პრიზები საუკეთესო რეჟისურისა და საუკეთესო სცენარისთვის.

"მილიონერი ჯურღმულებიდან" - ამ ერთმა ფილმმა იმაზე მეტი ჯილდო დააგროვა, ვიდრე ბოილის სხვა დანარჩენმა ფილმებმა მთლიანობაში. უნდა აღინიშნოს მხოლოდ ერთი რამ, 1995 წელს მისმა ფილმმა სახელწოდებით "არც ისე ღრმა სასაფლაო" "ბაფტას" მიერ დაჯილდოვდა როგორც წლის საუკეთესო ბრიტანული ფილმი, სულ ეს იყო ბოილის ბრიტანული წარმატებების ანგარიშზე.

ამ ფილმის სცენარზე საიმონ ფიუფოი მუშაობდა, ამ უკანასკნელმა ჯილდოს გადაცემის ცერემონიაზე განაცხადა, რომ "ოქროს ნიღბის" ზუსტი ორი ასლი უკვე სახლში აქვს და რომ "სასიამოვნოა ნამდვილის მიღება".


რეჟისორი დენი ბოილი

საუკეთესო ქალი მსახიობისთვის დააჯილდოვეს ქეით უინსლეტი, მან მთავარი როლი შეასრულა ფილმში "მკითხველი". მამაკაცი მსახიობებიდან კი "ბაფტამ" ფილმის "მებრძოლი" მთავარი როლის შემსრულებელი - მიკი რურკი გამოარჩია.

მეორეხარისხოვანი როლების ჯერიც მალე დადგა. ამ კატეგორიაში ყველას აჯობა პენელოპა კრუზმა (ფილმიდან "ვიკი, კრისტინა, ბარსელონა"), იგივე ნომინაციაში ჰიტ ლეჯერს გამოარჩევენ, თუმცა ეს უკანასკნელი ერთი წლის წინ გარდაიცვალა. ჯოკერის როლი ფილმში "ბნელი რაინდი" მისი უკანასკნელი კინოსახე აღმოჩნდა.

პრიზები: საუკეთესო დიზაინი, გრიმი და საუკეთესო ვიზუალური ეფექტები - ყველაფერი დევიდ ფინჩერის ფილმმა "ბენჟამინ ბატონის საოცარი ამბავი" დაიმსახურა. ამ ფილმის კდიევ ერთი ღირსება გახლავთ ბრედ პიტი, რომელმაც მთავარი როლი შეასრულა, თუმცა ბრიტანულმა კინოაკადემიამ ეს არაფრად ჩააგდო.

ფინჩერის ახალი კინოს სცენარი სკოტ ფიტცჯერალდის ფსიქოანალიტიკური დრამის მიხედვით არის აგებული. ეს ისტორია მისტიკური ელემენტების ნაკლებობას არ უჩივის და გვიყვება ამბავს ადამიანზე, რომელმაც სიცოცხლე უკუღმა მიმართულებით განვლო, ანუ სიბერიდან ჩვილობამდე.

სპეციალური პრიზი "საუკეთესო ბრიტანული ფილმისთვის" გადაეცა კინოს "ადამიანი მავთულზე". რაც შეეხება ბრიტანეთის მიერ რჩეულ უცხოენოვან სურათს, წელს ის ფრანგული ფილმი "მე შენ დიდი ხანია მიყვარხარ" აღმოჩნდა.

"ოქროს ნიღაბი" ბრიტანული კინოხელოვნების განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის გადაეცა არა ერთ კონკრეტულ ადამიანს, არამედ კინოსტუდიას - Pinewood and Shepperton. ამ სტუდიამ 75 წლის განმავლობაში თურმე 500 000 ფილმი გადაიღო.

"ამომავალი ვარსკვლავი" - ამგვარი ტიტული 2008 წლის ნამოღვაწარით ოღონდაც მხოლოდ ერთი წლით ახალგაზრდა ბრიტანელმა მსახიობმა ნოელ კლარკმა დაიმსახურა.

"ბაფტას" ოქროს ნიღბებით დაჯილდოების ცერემონია გაიმართა 8 თებერვალს, ლონდონში, ორი კვირით ადრე ვიდრე ახალი ოსკაროსნები გაივლიან უკვე ჰოლივუდურ წითელ ხალიჩაზე.

# "სექსი დიდ ქალაქში" კვლავ ეკრანებზე

ტელესერიალ "სექსი დიდ ქალაქშის" ვარსკვლავებმა წინა წელს გამოსული ფილმის სიქველში მონაწილეობისთვის კონტრაქტს მოაწერეს ხელი. შეგახსენებთ, რომ ფილმი იგივე სახელწოდების პოპულარული ამერიკული ტელესერიალის მიხედვითაა გადაღებული. ფილმის გაგრძელების იდეა და პროექტი კომპანია Warner Brothers-ს ეკუთვნის და იგი ეკრანებზე 2010 წლის ზაფხულში გამოვა. მასში მონაწილეობას მიიღებენ მაყურებლისთვის უკვე კარგად ნაცნობი სახეები - სერიალის მსახიობები: სარა-ჯესიკა პარკერი, კიმ კეტრელი, კრისტინ დევისი და სინტია ნიქსონი. ფილმის შექმნაში მონაწილეობას მიიღებს ასევე მაიკლ პატრიკ კინგი, სერიალის პირველი კინოფირის სცენარის ავტორი და რეჟისორი გახლავთ. თავის განცხადებაში კინგმა აღნიშნა: "აღფრთოვანებული ვარ იმით, რომ კვლავ მომეცა ასეთ არაჩვეულებრივ მსახიობებთან მუშაობის საშუალება".

კინოვერსია "სექსი დიდ ქალაქში" (Sex and the City) მთელი მსოფლიოს ჰიტად იქცა. ბრიტანეთში კინოფილმების ჰიტპარადში მან პირველი ადგილი დაიკავა. გამოსვლის დღიდან პირველ უიქენდზე ამერიკის შეერთებულ შტატებში ფილმმა კინოთეატრებში 56,8 მილიონი დოლარი გამოიმუშავა. ბრიტანეთში ფილმის DVD ვერსიის გამოსვლიდან ერთ კვირაში, მისი 920 ათასზე მეტი დისკი გაიყიდა.



"სექსი დიდ ქალაქში"-ს პირველი კინოფილმის სიუჟეტი მთლიანად იგივე სახელწოდების პოპულარულ ტელესერიალზეა დაფუძნებული. სიუჟეტის ცენტრი ჟურნალისტ კერი ბრედშოუს (მას სარა-ჯესიკა პარკერი თამაშობს) და მისი მეგობრების სამანტას (კატრალი), მირანდას (ნიკსონი) და შარლოტას (დევისი) ცხოვრების ისტორიებს მოგვითხრობს, რომელიც სერიალში განვითარებული მოვლენებიდან ოთხი წლის შემდეგ ვითარდება. ტელეშოუს ფაბულა ოთხ ახალგაზრდა ქალზე, ნიუ იორკში მცხოვრებ დაქალების ირგვლივ ბრუნავს, რომლებსაც თავიანთი სამუშაო და უჩვეულოდ დახლართული სასიყვარულო ურთიერთობები აქვთ.

აღსანიშნავია, რომ სერიალის პირველი კინოვერსიის მსოფლიო პრემიერა არა ამერიკის შეერთებულ შტატებში, არამედ ლონდონში გაიმართა, სადაც სპეციალურად ამ დღისთვის არაჩვეულებრივად მოწყობილ ლესტერის-პარკში ენთუზიაზმით აღსავსე ფილმის მსახიობებმა და სხვა ცნობილმა ადამიანებმა მოიყარეს თავი. შეკითხვაზე, თუ რატომ მიიღეს გადაწყვეტილება მსოფლიო პრემიერის ლონდონში ჩატარების შესახებ, სერიალის მთავარმა გმირმა სარა ჯესიკა პარკერმა უპასუხა: "ჩვენმა უფროსებმა გვითხრეს, რომ აქ უნდა წამოვსულიყავით და ჩვენც ძალიან გაგვიხარდა. ეს არაჩვეულებრივი საშუალებაა სტარტი მივცეთ ჩვენს თავგადასავლებს, რაშიც ლესტერ-პარკში გატარებულ საღამოს ვგულისხმობ. ამის შემდეგ ფილმს ჩვენს მშობლიურ ამერიკაში წავიღებთ, ქალაქში, სადაც იგი დაიბადა და რომელიც ჩვენ ძალიან გვიყვარს". პარკერის აზრს კიმ კატრალიც დაეთანხმა, რომელიც ფილმში მხურვალე სამანტას როლს თამაშობს: "მე მიყვარს ნიუ იორკი, მე იქ ვცხოვრობ, თუმცა აბსოლუტურად დაუჯერებელი სასიყვარულო რომანი მაკავშირებს დიდ ბრიტანეთთან".

ადრე გავრცელდა ინფორმაცია, რომ მსახიობ გოგონებს შორის უთანხმოება მოხდა, თუმცა გასული წლის მაისში ერთ-ერთ თოქ-შოუში პარკერმა განაცხადა, რომ "გიჟდება ამ ქალებზე".

ტელესერიალის გადაღებები 1999 წელს დაიწყო და 2004 წელს დამთავრდა, რის შემდეგაც გადაიღეს დოკუმენტური ფილმი, თუ როგორ იქმნებოდა ეს სერიალი. თავისი არსებობის ექვსი წლის მანძილზე, ტელესერიალს ექვსი "ემის" პრემია და რვა "ოქროს გლობუსი" აქვს მიღებული.

## 2009 წელს ქართული კულტურა მსოფლიოს რვა ქალაქს მოივლის

პროექტ "ქართული სეზონის" ფარგლებში მსოფლიოს რვა ქალაქში ქართული კულტურის წარდგენა გრძელდება.

როგორც კულტურის სამინისტროში იუწყებიან, 5 თებერვალს პარიზის ინვალიდთა სასახლეში გამართული ქართული სიმფონიური ორკესტრის კონცერტის შემდეგ, ქართული ხელოვნების მასპინძელი მომდევნო ქალაქი ვენეცია იქნება. 3 ივნისიდან 7 ივლისამდე ვენეციაში 53-ე ბიენალეზე სხვადასხვა ქვეყნების პავილიონების ინაუგურაციის პარალელურად, ქართული პავილიონის პრეზენტაციაც გაიმართება.

პროექტ "ქართული სეზონის" ფარგლებში ასევე დაგეგმილია საქართველს შესახებ წიგნის გამოცემა სახელწოდებით "MAGNUM GEORGEA", რომელიც საერთაშორისო გამომცემლობების მსოფლიო გაყიდვების ქსელში გავრცელდება.

გაზაფხულზე წიგნ "MAGNUM GEORGEA"-ს პრეზენტაციაზე დასაწრებად თბილისში მსოფლიოში ცნობილი ფოტოგრაფები ჩამოვლენ და საქართველოს შესახებ ფოტო რეპორტაჟებს მოამზადებენ..

"წლის განმავლობაში ევროპის რამდენიმე ქალაქში, ბერლინში, ლონდონსა და სტრასბურგში, ქართული თეატრალური დადგმები, კომბინაციები, გამოფენები, ფოტოგამოფენები, კონცერტები და და სხვადასხვა სახის კულტურული ღონისძიებები გაიმართება.ოქტომბერში ამავე პროექტის ფარგლებში, სტოკჰოლმში ვანის გათხრებისას აღმოჩენილი კოლხური ოქროს გამოფენა მოეწყობა, სახელწოდებით "ოქრო მრავალი კოლხეთი, ახალი აღმოჩენა საქართველო", რომელიც ამჟამად ათენის "ბენაკის" მუზეუმშია გამოფენილი. გარდა ამისა ქართველ მხატვართა ნამუშევრების გამოფენა გრძელდება ამსტერდამში მსოფლიოში ცნობილ "კობრას" მუზეუმში, რომელიც 2008 წელს მსოფლიოს საუკეთესო მუზეუმად დასახელდა. ლიტვის დედაქალაქი ვილნიუსი კი ნიკო ფიროსმანის ნახატების გამოფენას მასპინძლობს. კიდევ ერთი ქართველი მხატვრის ეთერ ჭკადუას ნამუშევრები გამოფენილია სტოკჰოლმის ერთ-ერთ მუზემში, განუცხადეს "მედიანიუსს" კულტურის სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში. **მედიანიუსი**

## გამომცემლობა "ინტელექტი" გენო კალანდიას წიგნის "100 ლექსის" პრეზენტაციას გამართავს

11 თებერვალს, 15:00 საათზე, გამომცემლობა "ინტელექტი" ქართველი პოეტის, გენო კალანდიას წიგნის "100 ლექსის" პრეზენტაციას გამართავს.

როგორც გენო კალანდიამ განაცხადა, "ინტელექტმა" წიგნი "ქართული პოეზიისობის ავტორია პოეტი" სერიით გამოიცა. წიგნის შემდგენელი და წინასიტყვაობის ავტორია პოეტი რენე კალანდია. წიგნის პრეზენტაცია 11 თებერვალს, გამომცემლობა "ინტელექტში" (ჭავჭავაძის გამზ. N 17 ბ) გაიმართება. **ჯი-ეიჩ-ენი**

## ვაჩნაძიანთკარის ისტორიულ მუზეუმი კვლავ დაუცველია

ვაჩნაძიანთკარის ისტორიულ მუზეუმში არსებული ექსპონატები, რომელიც იქ მუზეუმის გაძარცვის შემდეგ კიდევ შემორჩა, კვლავ დაუცველია. ამის შესახებ ინფორმაციას "კახეთის საინფორმაციო ცენტრი" ავრცელებს.

კულტურული მემკვიდრეობის და ძეგლთა დაცვის სპეციალისტი, ისტორიკოსი თამაზ მარკოზაშვილი "კახეთის საინფორმაციო ცენტრთან" საუბრისას მიიჩნევს, რომ ვაჩნაძიანის სოფლის ისტორიის მუზეუმში, რომელიც რამდენიმე დღის წინ, მეოთხედ გაიძარცვა, ჯერ კიდევ არის შემორჩენილი დიდი მნიშვნელობის მქონე ნივთები.

"საშიშროება იმისა, რომ მუზეუმიდან ანტიკვარული იარაღის გატანის შემდეგ, მძარცველები წერილობითი ძეგლების გატანითაც დაინტერესდნენ, დიდია", - აცხადებს მარკოზაშვილი.

მიუხედავად იმისა, რომ მუზეუმების დაცვის თხოვნით სპეციალისტებმა გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგეობას არაერთხელ მიმართეს, ადგილობრივ ხელისუფლებას ამ დრომდე არანაირი ღონისძიება არ გაუტარებია.

გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგებლის გიორგი ჩივიაშვილის განცხადებით, "ძარცვის ფაქტებზე გამოძიებას პოლიცია აწარმოებს და საზოგადოებრივ წესრიგის დაცვასაც ეს ორგანო უზრუნველყოფს". **ჯი-ეიჩ-ენი**

## გორის მუნიციპალიტეტი "ყინულის ფესტივალს" მასპინძლობს

გორის მუნიციპალიტეტმა "ყინულის ფესტივალს" უმასპინძლა. ეს ფესტივალი ატენის ხეობაში, სოფელ ბიისის გაყინულ ჩანჩქერზე გაიმართა. მასში მონაწილეობა ცნობილმა მთამსვლელებმა გივი ქართველიშვილმა, გია თორთლაძემ და შეჯიბრის მთავარმა მსაჯმა - ბიძინა გუჯაბიძემ მიიღეს.

ორგანიზატორთა ვარაუდი გამართლდა - ფესტივალში, დაახლოებით, 200-მდე ადამიანი ჩაერთო, რაც წინა წლებში ჩატარებული შეჯიბრების მასშტაბებს ბევრად აღემატებოდა.

ფესტივალის ორგანიზატორები არიან: საქართველოს მთამსვლელთა ეროვნული ფედერაცია, გორის მუნიციპალიტეტის გამგეობა და ტურისტული ცენტრი - "ტონთიო". ფესტივალის სპონსორია ფიჭური კავშირგაბმულობის კომპანია "მაგთიკომი".

აღსანიშნავია, რომ ალპინისტები ყინულზე ცოცვაში ერთმანეთს უკვე რამდენიმე წელია ეჯიბრებიან, მაგრამ შეჯიბრი ფესტივალის სახით წელს პირველად გაიმართა. **"პირველი"**

## ფილარმონიის საკონცერტო დარბაზის გახსნა სექტემბრისთვის გადაიდო

სახელმწიფო ფილარმონიის საკონცერტო დარბაზის გახსნა 2009 წლის სექტემბრისთვის გადაიდო. თუმცა, მისი გახსნა წლის დასაწყისში იგეგმებოდა. ამის შესახებ ინფორმაცია გერმანულმა კომპანიამ "ინტერნაციონალ ევენტმა" ეკონომიკის სამინისტროს ოფიციალურად შეატყობინა.

ეკონომიკის სამინისტრომ კომპანიის თხოვნა გაითვალისწინა. კომპანიამ ფილარმონიის რეკონსტრუქციის გაჭიანურების მიზეზად, მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი დაასახელა.

ინფორმაციას, რომ ფილარმონია წელს შემოდგომით გაიხსნება, საკონცერტო დარბაზის დირექტორი გია კერესელიძეც ადასტურებს.

მისი ინფორმაციით, 2008 წლის აგვისტოს მოვლენებმა სერიოზული შეფერხებები გამოიწვია პროექტის განხორციელებაში. მისი თქმით, გერმანული კომპანია, რომელიც ფინანსურ მექანიზმს აგვარებს საქართველოში აგვისტოს მოვლენების გამო ვერ ჩამოვიდა.

სახელმწიფო ფილარმონიის რეკონსტრუქციის სამუშაოებისთვის 1 მილიონი დოლარია გათვალისწინებული. ფილარმონიის მთლიანი რეკონსტრუქციისათვის 9 აშშ ლნ დოლარია ჩადებული.

სახელმწიფო ფილარმონია 49 წლიანი იჯარით კომპანია "ინტერნაციონალ ევენტს" გადაეცა. **მედიანიუსი.**

## ვაჩნაძეანის სოფლის ისტორიის მუზეუმი მეოთხედ გაიძარცვა

რამდენიმე დღის წინათ, ვაჩნაძეანის სოფლის ისტორიის მუზეუმი მეოთხედ გაიძარცვა. ამჯერად დაუდგენელმა პირებმა მუზეუმიდან ანტიკვარული თოფები, ხმლები და სატევრები მოიპარეს.

კახეთის საინფორმაციო ცენტრის მიერ მოპოვებული ინფორმაციით, ზარალმა 100 ათას ლარს გადააჭარბა.

მომხდართან დაკავშირებით აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. გამოძიებას შს გურჯაანის სამმართველო აწარმოებს.

აღსანიშნავია, რომ გურჯაანის რაიონში მუზეუმების გაძარცვის ყველა ფაქტი გამოუძიებელია. საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ მუზეუმების გაძარცვის ფაქტებზე რეაგირებას არც ადგილობრივი გამგეობა და კულტურის განყოფილება ახდენს.

არასამთავრობო ორგანიზაციები აპირებენ მუზეუმების გაძარცვის ფაქტების მიმართ პოლიციის და ხელისუფლების უყურადღებობა აქციით გააპროტესტონ. **მედიანიუსი.**

## რუსთაველის ფონდი 45 სამეცნიერო პროექტს დააფინანსებს

რუსთაველის ფონდის სამეცნიერო საბჭომ დასაფინანსებლად შერჩეული 45 სახელმწიფო საგრანტო პროექტი დაამტკიცა. რუსთაველის ფონდის მიერ 2008 წელს გამოცხადებულ სახელმწიფო საგრანტო კონკურსში მონაწილეობას იღებდა 263 სამეცნიერო პროექტი.

დაფინანსებულ პროექტებს შორის 22 ქართველოლოგიური მიმართულებისაა, ხოლო დანარჩენი კი ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების სფეროს მიეკუთვნება. გამარჯვებული პროექტების მთლიანი ბიუჯეტი სამ წელზე შეადგენს 5 315 500 (ხუთი მილიონ სამასთხუთმეტი ათას ხუთას) ლარს.

2009 წლის განმავლობაში რუსთაველის ფონდის მეშვეობით გამარჯვებულ პროექტებში დასაქმებული იქნება 800-ზე მეტი ადამიანი, რომლებშიც შედიან მეცნიერები და დამხმარე პერსონალი. დასაქმებული ადამიანების ხელფასის ოდენობა თვეში 300 დან 1200 ლარამდე მერყეობს.

სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსი ყოველწლიურია და ხელს უწყობს საქართველოს სამეცნიერო პოტენციალის წარმოჩინებასა და გაძლიერებას, ქართული კულტურული მემკვიდრეობის მეცნიერული კვლევის განვითარებას, მსოფლიო პროცესებში ინტეგრირებას და საქართველოში მეცნიერების დაფინანსების საერთაშორისოდ აპრობირებული თანაბარკონკურენტული და გამჭირვალე სისტემის შექმნას. დასაფინანსებელი პროექტების შერჩევა ხდება დამოუკიდებელ ადგილობრივ და საერთაშორისო ექსპერტთა შეფასების საფუძველზე. შედეგებს ამტკიცებს რუსთაველის ფონდის სამეცნიერო საბჭო. **მედიანიუსი.**

## ველისციხის თეატრი შესაძლოა, გაუქმდეს

ველისციხის თეატრი არასამეწარმეო, არაკომერციული იურიდიული პირის სტატუსით არსებობს და ადგილობრივი ბიუჯეტიდან სუბსიდიის სახით წლის განმავლობაში 31 ათას ლარს იღებს.

კახეთის საინფორმაციო ცენტრმა გამოაქვეყნა გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დავალებით შექმნილი კომისიის დასკვნა, სადაც ნათქვამია: ძდახარჯული თანხა უნდა მოხმარებოდა თეატრის კულტურული ცხოვრების გამოცოცხლებას, რაც არაჯეროვნად განხორციელდა, რის გამოც კომისიას მიაჩნია, რომ ველისციხის თეატრი გურჯაანის კულტურის ცენტრს უნდა შეუერთდეს".

ველისციხის თეატრის დირექტორის ნუნუ კარდენახიშვილის განცხადებით, აღნიშნული პრაქტიკულად თეატრის გაუქმებას ნიშნავს და თეატრის თანამშრომლები ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ ეს არ მოხდეს.

ველისციხის თეატრი ერთადერთი თეატრია კახეთის რეგიონში, რომელმაც საკუთარი ძალებით და მონდომებით შეინარჩუნა კულტურის სახლი და აქტიურ მუშაობას ეწევა. **მედიანიუსი.**

# ქართველები საქართველოს უნდა დაუბრუნდნენ!

### სახელმწიფო აპარატი დიასპორის საკითხებში - ერთი წლის შემდეგ

თამარ კიკნაველიძე

12 თებერვალს, ქართული დიასპორის საკითხებისა თუ პრობლემების განხილვა-მოგვარების მიზნით ამოქმედებულ სტრუქტურას ერთი წელი უსრულდება, რაც ამ რგოლის შრომისუნარიანობის შესაფასებლად, ვფიქრობ, საკმარისი დროა. ახალი აპარატის მიერ გაწეული სამუშაოების შესაჯამებლად, ტრიბუნა დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრ იულონ გაგოშიძეს დავუთმეთ, რომლის ყურადღება უკვე ერთი წელია, რაც არქეოლოგიიდან სხვა საქმეზეა გადატანილი.

"არ არსებობს ქვეყანა დიასპორის გარეშე და დიასპორა ქვეყნის გარეშე", - ეს იულონ გაგოშიძის სიტყვებია. დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი კი, შარშან პრეზიდენტის დადგენილებით შეიქმნა...

**იულონ გაგოშიძე:** - ამ სტრუქტურის შექმნას დიდი დრო დასჭირდა, იმაზე მეტი ვიდრე გვეგონა და ვგულისხმობდით. მუშაობა, სრული შემადგენლობით, პირველი აგვისტოდან დავიწყეთ და საქართველოში განვითარებულმა მოვლენების მიზეზით, მოქმედება თავიდანვე 24 საათიან რეჟიმში გვიხდებოდა. საკმაოდ დაძაბული მდგომარეობის მიუხედავად, ჩვენი აპარატის წარმომადგენლებმა დავალებებს კარგად გაართვეს თავი და მათი ძალისხმევით არაერთი საკითხი გადაიჭრა. მთელი მსოფლიოს მასშტაბით გაბნეული ქართული დიასპორის წარმომადგენლებს ყოველდღიურად ვუკავშირდებოდით და უახლოეს ინფორმაციებს ვაწვდიდით საქართველოში არსებული მდგომარეობის შესახებ. ეს კი, სწორედ იმ დროს შევძელით, როდესაც რუსებმა ყველანაირი ქართული საიტი დაბლოკეს, ჩვენი საიტის არსებობის შესახებ კი, არაფერი იცოდნენ. აგვისტოს მოვლენების პერიოდში, სხვადასხვა საშუალებით, ერთდროულად 36 ქვეყანას და დაახლოებით, 180 ორგანიზაციას ვუკავშირდებოდით, რაც იოლი საქმე არ გახლდათ.

**- უპირველესად რა სჭირდება ქართულ დიასპორას?**

- სწორედ ამის გაგება გახლდათ ჩვენი პირველი ამოცანა, რომელიც შევეცადეთ რომ ქართულ დიაპორასთან დაახლოებითა და მათთან უშუალო ურთიერთობით გაგვერკვია. სხვათაშორის, ამ საქმეში მას-მედიის წარმომადგენლებმაც დიდი როლი შეასრულეს, რომლებმაც ახლადშექმნილი აპარატის მიმართ დიდი ყურადღება გამოიჩინეს და მის შესახებ ინფორმაციაც ოპერატიულად გაავრცელეს. პირველი ზარი ჩემთან ახალი ზელანდიიდან შემოვიდა... მოგვაინებით, როსტოვის ქართული დიასპორის წარმომადგენლებთან შესახვედრად მოსკოვში გავემგზავრე, სადაც საინტერესო შეხვედრა შედგა. აქვე უნდა ითქვას, რომ ქართულმა დიასპორამ შედარებით იოლად დაივიწყა ყველაზე უარესი, რაც ჩვენ მემკვიდრეობით საბჭოთა კავშირიდან გადმოგვეცა. კერძოდ, ის, რომ საკუთარ თავზე კი არა, მუდამ სხვაზე ვართ დამოკიდებული, რაც მათთვის უცხოა. რუსეთის შემდეგ როსტოვში ჩავედი, როსტოვიდან კი - უკრაინაში, შემდეგ თურქეთში, სადაც არაერთ ქართველს შევხვდი და აღმოვაჩინე, რომ უცხოეთიდან საქართველოში მომხდარ სიახლეებსა თუ წინსვლას უკეთ ხვდებიან და აფასებენ, ვიდრე აქ. მაგალითად, თურქეთში, მარმარილოს ზღვის სანაპიროზე გაშენებულ ქალაქებში მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი ქართველია, თანაც, რაღაც ყანტა-ყუნტა ხალხი კი არა, საკმაოდ პატივსაცემი ადამიანები, მაგალითად, ინეგოლში ოცი წელიწადია რაც ოთხ წელიწადში ერთხელ მერის არჩევნები ტარდება და სულ ქართველს ირჩევენ. ქართველების ხელშია, ასევე, განათლების სფერო, პოლიცია... ისინი ქართულად ლაპარაკობენ, აჭარული დიალექტსა და კილოზე. ერთადერთი, ძალიან უჭირთ ქართული ტელევიზიებით გადმოცემული ინფორმაციების გაგება, რადგანაც "ნამეტანი ცქვიტად ლაპარიკობენო", - მითხრეს... ევროპას რაც შეეხება, ვიყავი საფრანგეთში, გერმანიაში, ჰოლანდიაში, პოლონეთრში, ლატვიაში, კვიპროსზე, სომხეთში და მალე აზერბაიჯანშიც გავემგზავრები.

**- უპირველესად, რა პრობლემების მოგვარებას ითხოვენ ქართული დიასპორის წარმომადგენლები?**

- ერთმანეთისგან განსხვავებულ პრობლემებთან ერთად, საერთოც ბევრია... უპირველესად, ახლადჩასულების ინტეგრაცია, რაზეც საელჩოები და საკონსულოები მუშაობენ. თუმცა, საკონსულოსთან ურთიერთობა ხშირად გართულებულია, რადგანაც მათ, სამწუხაროდ, არც სათანადო ფინანსები და არც ადამიანური რესურსი გააჩნიათ იმისათვის, რომ პრობლემები მოაგვარონ. ამათ გარდა, ახალჩასულებს დიდ დახმარებას უწევენ ქართული სათვისტომოები. საბჭოთა კავშირში, სახელმწიფო ორგანო საკუთარი მოქალაქის მტერი იყო, რაც, ეტყობა, დღემდე გამოყოლილი გვაქვს. შედეგად კი, ვიღებთ იმას, რომ მილიონი ქართველი ხმის მიცემის უფლებას არის მოკლებული, რადგანაც არ არიან დარეგისტრირებულნი. ვფიქრობთ, რომ აუცილებელია მეტად ამოქმედდეს საპატიო კონსულთა ინსტიტუტი, რადგანაც მას ნაკლები დაფინანსება სჭირდება და არსებობენ კადრები, რომლებიც ამ საქმეს სათანადოდ გაუზღვებიან.

**- ქართული დიაპოსპორის რეგისტარციის გარდა, კიდევ რა პრობლემები ექმნებათ უცხოეთში წასულ ქართველებს?**

- ქართული ენის პრობლემა! ამისათვის კარგი იქნება თუ ამოქმედდება საკვირაო სკოლები და საბავშვო ბაღები, რათა იქ დაბადებულმა და გაზრდილმა ბავშვებმა მშობლიური ენა არ დაივიწყონ. საკვირაო სკოლები იქ ენთუზიასტების ხარჯზე ფუნქციონირებენ. მართალია, ერთი-ორს მეცენატი პატრონობს, მაგრამ მსოფლიო ფინანსურმა კრიზისმა მათ ხელშეწყობაზეც იმოქმედა. ასეთი დაწესებულების სათანადოდ დაფინანსების შემთხვევაში კი, ქართველი ბავშვები პირველ სიტყვებს მასპინძელი ქვეყნის ენაზე აღარ იტყვიან. საქართველოს პრეზიდენტის ინიციატივით, მათთვის გასაგზავნი წიგნების შეძენა მილიონ ლარზე მეტი დაიხარჯა, რაც ჩვენი აპარატის ბიუჯეტს დიდად აღემატება.

**- არალეგალების პრობლემას რაც შეეხება?**

- ეს მწვავე პრობლემაა და შესაბამისად, მისი მოგვარებაც ძალიან რთულია. თუმცა, გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ ზოგიერთ შემთხვევაში მისი გადაჭრა საპატიო კონსულის ინსტიტუტს შეუძლია. მაგალითად, ჩემთან იმყოფებოდა ესპანეტში საქართველოს საპატიო კონსული, რომელიც მეწარმე გახლავთ და რომელმაც საკუთარ საწარმოში დასასაქმებლად არალეგალ ქართველებს ლეგალური სტატუსი მიაღებინა... ვფიქრობ, ამ პრობლემის მოგვარების საკითხში მნიშვნელოვან როლს ითამაშებს ქვეყნებს შორის მოლაპარაკება შრომითი ხელშეკრულებების დადების თვალსაზრიდით, რასაც საგარეო საქმეთა სამინისტრო რამდენიმე ქვეყანასთან უკვე აწარმოებს.

პატიმრებთან დაკავშირებით საუბარი კვიპროსში მაცხოვრებელი ქართველებით მინდა დავიწყო. იქ ციხეში არც ერთი ქართველი არ ზის. ეს კი, უპირველსად, ჩვენი საპატრიარქოს ოფიციალური წარმომადენელის, დეკანოზი ზაქარია ფერაძის დამსახურებაა, რომელიც ნამდვილი მოღვაწეა, დაუღალავად შრომობს იმისათვის, რომ უყურადღებოდ არ დატოვოს მისი არც ერთი სულიერი შვილი. კვიპროსისგან განსხვავებით, ევროპის საპატიმროებში ბევრი ქართველია... აღარაფერს ვამბობ რუსეთზე, სადაც არალეგალ ქართველებს დეპორტაციას აღარ უკეთებენ და სასამართლოს ძალით, პირდაპირ ციხეში უშვებენ - იქ სასჯელს ათას შვიდასამდე ქართველი იხდის.

**- რეინტეგრაციის საკითხებზე თუ მუშაობთ?**

- კარგია, როდესაც საქართველოს მისი შვილი უბრუნდება, მაგრამ ამ პროცესსაც ხელისშეწყობა უნდა. ამ თვალსაზრისით, ვფიქრობ, აუცილებელია რეინტეგრაციის პროგრამის შექმნა. უკვე მქონდა მოლაპარაკებები ჰოლანდიელებთან, როგორც ხელისუფლების წარმომადგენლებთან, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციებთან და იმ შემთხვევაში თუ ჰოლანდიაში მყოფი ქართველი საქართველოში ნებით დაბრუნდება, ის მხარე მას გარკვეულ თანხას მისცემს აქ რაიმე საქმის წამოსაწყებად... ახლა ჩვენ უნდა გამოვითვალოთ თუ რა თანხაზე შეიძლება იყოს საუბარი და ამის შემდეგ, ვფიქრობ, ეს პროგრამა წარმატებით ამოქმედდება. გვსურს მეორე პროგრამის ამუშავებაც, რომელიც ასევე ჰოლანდიურია და მას ჰოლანდიის ხელისუფლება და რეინტეგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციები ერთად აკეთებენ. ის უკვე ამუშავდა ავღანეთში...

12 თებერვალს, ამოქმედებიდან ერთი წლის თავს საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი დიასპორის საკითხებში საქველმოქმედო ფონდ "ერთგულებასთან" ერთად აღნიშნავს. ეს ორი ინსტიტუცია საქართველოს ეროვნულ მუზეუმში თურქეთის ქართული დიასპორის ჟურნალის - "ფიროსმანი" გამართავს პრეზენტაციას. აღნიშნული ჟურნალის მთავარი რედაქტორი - ფაჰრეთინ ჩილოღლუ, გამომცემელი კი - შენოლ ტაბანი. ასევე მალე შედგება სამინისტროს ვებ-გვერდის პრეზენტაციაც, რომელიც რუსეთთან საინფორმაციო ომში ჩაერთვება.

"ჩვენ დავიწყეთ ვებ-პორტალის ამუშავება, სადაც ყველა ჩვენთან დაკავშირებულ ორგანიზაციას თავისი გვერდი ექნება, თვითონ შევა და იმუშავებს. შეივსება მონაცემთა ბაზა და საბოლოოდ პორტალის საშუალებით გავაერთიანებთ ყველა ქართულ დიასპორას მთელ მსოფლიოში. ამას გარდა, მინდოდა აღმენიშნა, რომ ჩვენი ერთ-ერთი პრიორიტეტია წარმატებული ქართველების სამშობლოში დაბრუნება. მათ ინვესტიციები საქართველოში უნდა განახორციელონ. ეს იქნება ჩვენი ბრძოლა კრიზისის წინააღმდეგ. ქართველები საქართველოში უნდა დაბრუნდნენ." - აღნიშნავს იულონ გაგოშიძე.

# ყველაზე პოპულარული მწერლები

გასულ წელს, ბრიტანულ ბიბლიოთეკებში ყველაზე მოთხოვნადი ავტორი აღმოჩნდა ჯეიმს პატერსონი, რომელიც, დაახლოებით, 60 თრილერის ავტორია. როგორც The Guardian იუწყება, თორმეტი თვის განმავლობაში მკითხველმა ამ ავტორის წიგნები სახლში 1,5 მილიონჯერ წაიღო. Forbes-ის მონაცემებზე დაყრდნობით, პატერსონმა 2007-2008 წლებში 50 მილიონი დოლარი გამოიმუშავა, რაც მას ყველაზე ძვირადღირებული ავტორების სიაში მეორე ადგილზე აყენებს. ამ ჩამონათვალში ავტორი ისეთი ბესტსელერებისა, როგორიცაა: "და მოვიდა ობობა" და "გოგონების კოცნისას", ადგილს მხოლოდ ჯოან როულინგს უთმობს. მეორე ადგილი ბიბლიოთეკების რეიტინგში საბავშვო მწერალი - ჟაკლინ უილსონს უჭირავს. რუსულ ენაზე უკვე თარგმნილია მისი წიგნები: "მოხატული დედა", "საიდუმლოებები", "ცუდი გოგონები". მესამეზე აღმოჩნდა ავტორთა ჯგუფი - ისინი ბავშვებისთვის განკუთვნილ ლიტერატურულ კოლექტიურ სახელით - დეიზი მედოუს ქმნიან (რუსეთში ამ ჯგუფის ორი წიგნია გამოცემული - "ირისი, ლურჯი ფერია" და,"ენძელა ყვითელი ფერია"). რეიტინგის მეხუთე ადგილზეა კიდევ ერთი საბავშვო მწერალი - ფრანჩესკა საიმონი, რომელიც ავტორია სერიის "საძაგელი ჰენრი" (ამ სერიიდან, რომელიც თექვსმეტ წიგნს აერთიანებს, რუსულ ენაზე მხოლოდ სამი გამოვიდა).

# სპორტი

## ტრაპატონი კუპერის გუნდს უფრთხის

მიხეილ აბაიშვილი



დუბლინი საქართველოს ეროვნულ ნაკრებს არა ბრიტანული, არამედ, გაცილებით ცივი, უფრო სკანდინავიური ამინდით დაუხვდა. ჩვენების პირველ, თბილისიდან წასულ დელეგაციას (ნაკრების მწვრთნელ-ხელმძღვანელებს და ეროვნულ გუნდში ქართული კლუბებიდან გამოძახებულ ფეხბურთელებს) ეს ბრიტანული კუნძული თოვლით და სიცივით დაუხვდა - დღის განმავლობაში ჰაერი მხოლოდ 3 გრადუსამდე გათბა, ღამე კი ნულს ქვემოთ ჩავიდა. მეორე დღეს ცოტათი გამოიდარა - თოვა შეწყდა და ტემპერატურამაც უმნიშვნელოდ მოიმატა.

საქართველოს ნაკრები დუბლინის შემოგარენში, აეროპორტთან საკმაოდ ახლოს, ფეშენებელურ სასტუმრო "რადისონში" დაბინავდა. სხვათა შორის, ქალაქის სწორედ ამ ნაწილშია ის არენა, სადაც ხვალ მატჩი გაიმართება. "ლენს დაუნ როუდამდე" სასტუმრო "რადისონიდან ავტობუსით სულ თხუთმეტიოდ წუთის სავალია. თან, ყველა პირობასთან და კომფორტთან ერთად, ეს სასტუმრო იმითაც არის კარგი, რომ მოშორებულია ქალაქის ცენტრს და საკმაო სიმყუდროვეა.

ჩვენი ეროვნული გუნდი ირლანდიის დედაქალაქში სრულად 9 თებერვალს შეიკრიბა ამ დღეს გუნდს შეუერთდნენ ის ლეგიონერები, რომლებსაც საკუთარ კლუბებში კალენდარული მატჩების ჩატარება კვირას მოუწიათ. სრულფასოვანი საწვრთნელი შეკრებაც სწორედ გუშინ დაიწყო.

თუიცა სანამ საქართველოს ნაკრებზე გეტყოდეთ, იმას მოგახსენებთ, რომ ირლანდიური პრესა ამ მატჩისადმი დიდ ინტერესს ნამდვილად არ იჩენს და გულშემატკივარს საკმაოდ მწირ ინფორმაციას აწვდის. ირლანდიელთა იტალიელი მწვრთნელი ჯოვანი ტრაპატონი კი მატჩის წინ საკმაოდ ფრთხილ განცხადებებს აკეთებს.

"მინდა გითხრათ, რომ არც ისე სახარბიელო ვითარებაში ვართ. სამწუხაროდ ჩემი გუნდის ფეხბურთელების დიდი ნაწილი კარგა ზნის განმავლობაში საკუთარი კლუბების ძირითადში ვერ ხვდებოდა, რაც მათ სათამაშო ფორმასაც დაეტყო, მართალია ბოლო ხანს ვითარება გამოსწორდა, მაგრამ გარკვეული პრობლემები მაინც არსებობს. რაც შეეხება საქართველოს ნაკრებს, უნდა აღინიშნოს, რომ უმძიმესი მატჩი გველის. კუპერმა ამ გუნდში ბევრი რამ შეცვალა და ქართველებს წინსვლა აშკარად ეტყობათ. ერთი რამ აესვე გასათვალისწინებელია, თუ გახსოვთ საქართველოში შექმნილი პოლიტიკური ვითარების გამო პირველი მატჩი ნაიტრალურ მოედანზე გაიმართა და კუპერმა მაშინნდელი მარცხი სწორედ ამას დააბრალა, ახლა ქართველები ყველა ღონეს იხმარენ რათა გაგვამწარონ. თანაც იმ პირველი თამაშის შემდეგ ჩვენი მეტოქე რადიკალურად შეიცვალა, კუპერმა არაერთი ფეხბურთელი გამოსცადა და ზუსტად ისიც კი არ ვიცი, ოთხშაბათს ვის წინააღმდეგ მოგვიწევს თამაში. საქართველო-ბულგარეთის მატჩზე ჩემი კომენტარი ადრეც გავაკეთე, თუმცა მას შემდეგ აგრეთვე ვნახე რუმინეთისა და საქართველოს ნაკრები გუნდების ამხანაგური შეხვედრა, მართალია კუპერის შეგირდებმა ის თამაში დათმეს, მაგრამ საქართველოს ნაკრებმა ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა. არ იფიქროთ, რომ ამით თავის დღზღვევას ვაპირებთ, ჩვენ მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალური ეტაპის საგზურის მოპოვებას ვაპირებთ და ცხადია ქართველებთან სათამაშოდ სრული მობილიზაციით გავალთ და სამი ქულის აღებასაც ვაპირებთ", - თქვა ტრაპატონიმ.

რაც შეეხება საქართველოს ნაკრებს, კუპერმა გუნდი გუშინ ერთხელ ავარჯიშა, ჯერაც არ არის ცნობილი შეძლებენ თუ არა თამაშს კალაძე და ყენია. დღეს კი საქართველოს ნაკრების მწვრნელი თბილისის დროით 21.30 წუთზე პრესკონფერენიცას გამართავს, რომელზეც ალბათ ბევრ კითხვას გაეცემა პასუხი.



დავით კოვზირიძის სვეტი

## ვერაფერი

ხვალ საქართველოს ეროვნული გუნდი 2009 წლის პირველ მატჩს ატარებს. თამაში ოფიციალურია, სტუმრადაა დუბლინში და ეს ალბათ ერთ-ერთი უმძიმესი 90 წუთი იქნება ჩვენი ნაკრების ისტორიაში, რასაც უამრავი მიზეზი აქვს.

თებერვალი ის დროა, როცა მთელი ირლანდიის ნაკრები პრემიერლიგაში დაჯლიგინებს და შესაბამისად, კარგ ფორმაშიცაა. ამის გამო ბევრი გამოთქვამს უკმაყოფილებას, კალენდარი ცუდადაა შედგენილი, ბრიტანელები დაფრინავენ, ჩვენ კიდევ უთამაშებლები ვართო. დუბლინში ჩასვლა მართლაც ცუდ დროს გვიწევს, მაგრამ ამას ობიექტური ახსნა აქვს - მიმდინარე კალენდარი ნაკრების ყოფილმა მწვრთნელმა კლაუს ტოპმიოლერმა შეადგინა და სწორედ მისი სურვილი იყო, პირველი მატჩი თბილისში გაგვემართა. გერმანელს უნდოდა, რომ კარგად დაგვეწყო, მერე იტალიაში ჩავსულიყავით და შემდეგ ზედიზედ ორჯერ კვლავ შინ გვეთამაშა.

ირლანდია ციკლის თბილისში დაწყებას მხოლოდ იმ პირობით დათანხმდა, რომ 11 თებერვალს (ეს ამხანაგურების დღეა) იქ ჩავიდოდით და შეთანხმებაც შედგა. საბოლოოდ კი ისე მოხდა, როგორც მოხდა - ირლანდიელებთან გუნდი არა ტოპმიოლერმა, არამედ კუპერმა გაიყვანა და გაიყვანა არა თბილისში, არამედ მაინცში. ეს სექტემბერში მოხდა, ომიდან ცოტა ხნის შემდეგ. ჩვენ წავაგეთ და კალენდარული გეგმაც აირია.

ახლა იმაზე ვილაპარაკოთ, თუ თებერვალში არა, მაინც როდის არიან ქართველი ფეხბურთელები ფორმაში? პასუხი უმარტივესია - არასდროს! და მოდი რა, დავივიწყოთ ეს მატრაკვეცული ფრაზა: "რა გვჭირს, კაცო, მთელი ნაკრები მაგარ კლუბებში თამაშობს და მაინც ვერ ვიგებთ." ვინ თამაშობს? სად თამაშობს? და როდის თამაშობს?

კაპიტან კახა კალაძეს ტრავმების გამო კარგა ხანია არ უთამაშია და არც ის ვიცით, იქნება თუ არა მოედანზე ირლანდიაში. ლევან კობიაშვილი ძალიან იშვიათად ხვდება "შალკეს" შემადგენლობაში. ამ გუნდში ჯერ ვერც ყენო ვნახეთ. ზურა ხიზანიშვილი თითქმის მთელი სეზონი განაცხადშიც არ შეჰყავდათ და, კიდევ კარგი, გასულ კვირაში მაინც ათამაშეს. ასათიანი საერთოდ აღარ თამაშობს, ვარჯიშით კმაყოფილდება, ლევან მჭედლიძე "პალერმოს" იშვიათად გაჰყავს მოედანზე, ისიც ბოლო წუთებზე და თან ტრავმებმაც დატანჯეს... ნუღარ გავაგრძელებთ, ისედაც ყველამ კარგად ვიცით, რომ ნაკრების ლეგიონერთა 90 პროცენტი სათამაშო პრაქტიკის მწვავე დეფიციტს განიცდის თებერვალშიც, მარტშიც, მაისშიც და ოქტომბერშიც.

ასეთია რეალობა და რადგან ის ასეთია, მიზნები, ამბიციები და მოთხოვნებიც რეალური უნდა გვქონდეს. იმას არ ვამბობ, რომ ყურებჩამოყრილებმა ვიაროთ და არაფრის იმედი არ გვქონდეს, მაგრამ უნდა ვიცოდეთ, ვინ ვართ, რა შეგვიძლია და რა უნდა გავაკეთოთ, რომ ნელა, მაგრამ მაინც ვიაროთ წინ.

მთელ ამ პრობლემებს ემატება ისიც, რომ ნახევარი გუნდი კვლავ გვაკლია. ეს უკვე ტრადიციაა. ზოგს მართლა ტრავმა აქვს, ზოგს ვითომ რაღაც აწუხებს, ვიღაცას ძირითადში მოხვედრის გარანტიები სჭირდება შეკრებაზე ჩასაბრძანებლად და ვიღაცა შეყვარებულია. საკადრო პრობლემები ყველა გუნდს აქვს ყოველთვის, მაგრამ ასე მასშტაბურად, ასე ქრონიკულად და ასე უპრაგონოდ ეს თავსატეხი არსად მძვინვარებს. საქართველო პატარა, მუდმივად პრობლემებში ჩაფლული ქვეყანაა და მას ცოტა ფეხბურთელები ჰყავს, მით უმეტეს სანაკრებოდ. ამიტომ ეს ნახევარგუნდობა უმწვავესად იგრძნობა.

ყოველივედან გამომდინარე, ჩემთვის ირლანდიაში ფრე ზღაპრული შედეგი იქნება და მისი მიღწევა ერთადერთი ხერხითაა შესაძლებელი - ფეხბურთელებმა კარგად უნდა მოუსმინონ მწვრთნელს და კუპერის დავალებები მოედანზე მაქსიმალური სიზუსტით შეასრულონ. და ბრძოლა, ბრძოლა, ბრძოლა. სხვა გზა ბუნებაში არ არსებობს, სხვა შემთხვევაში ჩვენ ვერ გავუძლებთ შინ, მაგარი გულშემატკივრების ღრიანცელის ფონზე მოთამაშე, ჯგუფიდან გასვლისთვის მეომარ, საბრძოლო შემადგენლობით მყოფ ჯოვანი ტრაპატონის ირლანდიას.

ერთი ბავშვობისდროინდელი ამბავი გამახსენდა - მე და ჩემს მეგობრებს მოქმედ ფეხბურთელებთან უნდა გვეთამაშა. ძალიან პრინციპული საფეხბურთო მტრობა გვქონდა. წინასწარ ძალიან დიდი უპირატესობა ჰქონდათ, თან ორი მეგობარი გამოგვაკლდა, მაგრამ ამ დროს რაღაც რეფლექსი იწყებს მუშაობას, საიდანღაც დამატებითი ენერგია გიჩნდება და ამ ენერგიას მოწინააღმდეგეც გრძნობს. წვიმაში ასფალტზე ვიხოხიალეთ, ყველას სისხლი გვდიოდა, მაგრამ მაინც მოვიგეთ. გაოგნებულები გვიყურებდნენ. ის დღე არასდროს დამავიწყდება იმიტომ, რომ საკუთარ თავს გადავახტით. როცა ამას აკეთებ, წინ ვერაფერი დაგიდგება. ვერაფერი.

*მომავალ სამშაბათამდე*

## თორნიკე შენგელია "პამესას" 7 ქულით შეეწია

ესპანეთის საკალათბურთო ჩემპიონატის მორიგ ტურში კიდევ ერთი ქართული დერბი შედგა. თორნიკე შენგელიას "პამესა" ვლადიმერ ბოისას "ვივამენორკას" დაუპირისპირდა.

17 წლის შენგელიას პრიმერადივიზიონის ერთ-ერთ მოწინავე გუნდში გამოჩენა იმითაცაა აღსანიშნავი, რომ ვალესნიურ კარიერაში სარეკორდოდ ბევრი - 7 ქულა მოაგროვა. თორნიკე ჯერ საკმაოდ ახალგაზრდაა და "პამესა" მას ასაკობრივ ჩემპიონატში ათამაშებს, თუმცა გუშინ ესპანეთის უმაღლესი ლიგის მატჩშიც გაიყვანა მოედანზე და ქართველ ფორვარდს თავი არ შეურცხვენია. საინტერესო კი ისაა, რომ შენგელიას ვლადიმერ ბოისას "მენორკასთან" მოუწია თამაშმა.

შენგელიამ 9 წუთს იასპარეზა და ვალენსიელებს 7 ქულა, 2 მოხსნა და 1 პასი შეაწია, მისმა გუნდმა კი 87:56 იმარჯვა.



შეტევაზეა თორნიკე შენგელია

თორნიკემ 4-დან 2 ორქულიანი და 4-დან 3 საჯარიმო ჩააგდო და მსაჯებს 4 პერსონალური ფოლი დასტყუა.

ბოისამ მოედანზე 17 წუთი დაჰყო და მენორკელებს 4 ქულა, 5 მოხსნა და 1 შედეგიანი გადაცემა შესძინა. ვოვამ 6-დან 4 საჯარიმო გამოიყენა, 2 ორქულიანი კი მიზანს აცდა.

"პამესა" 12 მოგებითა და 9 მარცხით მე-7 ადგილზე დამკვიდრდა, ხოლო "მენორკა" 5 გამარჯვებითა და 16 წაგებით ბოლოსწინა, მე-16 პოზიციაზეა.

4 მოგებითა და 17 მარცხით უკანასკნელ ადგილზე დარჩა ტაირონ ელისის "კახასოლი", რომელმაც ჩემპიონატის ერთ-ერთ ლიდერ მადრიდის "რეალთან" დრამატული მატჩი ოვერტაიმში 92:95 დათმო.

საქართველოს ნაკრების გამთამაშებელმა სევილიელთა სასტარტო ხუთეულში ითამაშა და 36 წუთში გუნდს 7 ქულა, 1 მოხსნა და 4 პასი შესძინა.

## "ასათიანი" "დინამოს" უბრუნდება

მალხაზ ასათიანი კიევის "დინამოში" ბრუნდება - ქართველი მცველი უკრაინულ კლუბში ზაფხულამდე კვლავ არენდით ითამაშებს. ამის შესახებ კიეველთა პრეზიდენტმა იგორ სურკისმა განაცხადა. "მალხაზს ზაფხულამდე ავიყვანთ, შემდეგ კი საბოლოო გადაწყვეტილებას მივიღებთ მის ტრანსფერთან დაკავშირებით. ასათიანი კარგი ბიჭია, კარგად შეეწყო ჩვენს კოლექტივს, "ლოკომოტივში" კი ის არ სჭირდებათ. თუმცა იგი ჩვენს დახმარებას მხოლოდ უკრაინის ჩემპიონატში შესძლებს, რადგანაც უეფას თასზე ასათიანი განაცხადიდან ამოვიღეთ" - თქვა სურკისმა.

## "ანჟის" მატჩი არზიანის გამო ჩაიშალა

ამხანაგური მატჩი მახაჩკალის "ანჟისა" და სამხრეთ კორეულ "ტეგუს" შორის არ დასრულებულა ფეხბურთელთა მასობრივი ჩხუბის გამო. შეგახსენებთ, რომ ამ გუნდში რვა ქართველი ფეხბურთელი ასპარეზობს. პირველი ტაიმის დასრულებას რამდენიმე წუთი აკლდა, როცა ზურაბ არზიანის წინააღმდეგ უხეშად ითამაშეს კორეელებმა, რასაც დიდი გაწევ-გამოწევა და საბოლოოდ მასობრივი ჩხუბი მოჰყვა. თურქეთში საწვრთნელ შეკრებაზე მყოფი "ანჟი" მომდევნო საკონტროლო მატჩს 10 თებერვალს ერთ-ერთ ბოსნიურ გუნდთან გამართავს.

## ციმაკურიძე მხოლოდ პირველ ტაიმში ათამაშეს

ლუგანსკის "ზარიამ", რომლის ღირსებასაც ქართველი ფეხბურთელი გიორგი ციმაკურიძე იცავს, რუმინულ "ვასლუისთან" საკონტროლო მატჩი გამართა და 0:3 განადგურდა.

ციმაკურიძემ მინდორზე პირველი ტაიმი დაჰყო, შემდეგ კი ადგილი ჯიჰანის დაუთმო.

საფიქრებელია, რომ ქართველი მცველი იმ შეცდომის გამო შეცვალეს, რომელიც მან რუმინელთა პირველი გოლისას დაუშვა.

გიორგი "ვასლუის" ფორვარდ ადრიან გეორგიუს ვერ გაუმკლავდა და მეტოქეს ლუგანსკელთა კარის დალაშქვრის საშუალება მისცა.

## ღვინიანიძე ქულას დასჯერდა

გერმანიის მე-2 ბუნდესლიგის მე-19 ტურში მათე ღვინიანიძის "მიუნხენ 1860" "მაინცს" ესტუმრა და ფრედ 2:2 ითამაშა.

ქართველმა მცველმა ბავარიელთა სასტარტო შემადგენლობაში ითამაშა და მოედანზე 90 წუთი დაჰყო.

"მიუნხენ 1860" 23 ქულით მე-11 ადგილზე იმყოფება.

მარცხი განიცადა ლევან ცქიტიშვილის ახალმა კლუბმა "ვეენ ვისბადენმა". ქართველის გარეშე მოთამაშე "ვეენმა" "დუისბურგთან" გასვლითი მატჩი 1:2 დათმო და 17 ქულით მე-17 ადგილზე დარჩა.

## ინგლისის პრემიერლიგაში იანვრის თვის საუკეთესონი გამოავლინეს

ინგლისის პრემიერლიგაში იანვრის საუკეთესო მოთამაშედ "მანჩესტერ იუნაიტედის" სერბი მცველი ნემანია ვიდიჩი დასახელდა, საუკეთესო მწვრთნელად კი მანჩესტერელთავე თავკაცი სერ ალექს ფერგიუსონი აღიარეს. ვიდიჩმა იანვარში ჩატარებულ ხუთ მატჩში ორი გოლის გატანა შეძლო, მის კლუბს კი გოლი უკვე 12 მატჩია არ გაუშვია. ფერგიუსონის ხელმძღვანელობით, "იუნაიტედმა" იანვრის ხუთივე მატჩი მოიგო, სერ ალექსის კარიერაში მსგავსი აღიარება კი უკვე ოცდამეორეა.

## მორატის მურინიოსი სჯერა

"ინტერის" პრეზიდენტი მასიმო მორატი თვლის, რომ მურინიოს "ინტერში" მოწვევა მისი ერთ-ერთი საუკეთესო გადაწყვეტილებაა. "დღითიდღე ვრწმუნდები, რომ სწორი გავაკეთე, როცა მურინიო "ინტერში" მოვიწვიე. მანჩინისთან განშორება არ იყო იოლი, მაგრამ ჩვენ ცვლილებები გვჭირდებოდა. მურინიომ გუნდში მრავალი სიახლე მოიტანა, ამ ადამიანის გამოჩენა ჩვენთან მნიშვნელოვანი მოვლენაა კლუბის მთელი არსებობის ისტორიაში." - ამბობს მორატი.

## წარუმატებელი ფინიში

რუსეთის დედაქალაქ მოსკოვში დასრულებულ საჭადრაკო ფესტივალზე ქართველმა ნაზი პაიკიძემ C ჯგუფში 32-ე ადგილის დაკავება შეძლო.

პაიკიძემ დასკვნით მე-9 ტურში თეთრი ფიგურებით რუს ელენა ტომილოვასთან წააგო და 5.5 ქულა მოაგროვა.

C ჯგუფში სულ 158 მოჭადრაკე ასპარეზობდა, პირველი პოზიცია კი რუსეთის წარმომადგენელ ნატალია პოგონინას (8 ქულა) ერგო.

# გია გრიგალავა თბილისის "დინამოში" თამაშზე ოცნებობდა



რუსეთის მოქალაქეობის მქონე, საქართველოში დაბადებული 19 წლის გია გრიგალავა ამჟამად რუსულ კლუბ "მოსკვაში" ირიცხება. ახალგაზრდა ცენტრალური მცველი ცოტა ხნის წინათ ამსტერდამის "აიაქსშიც" ისინჯებოდა. აღსანიშნავია, რომ გრიგალავას ჯერ არც ერთ ნაკრებში არ უთამაშია და არჩევანი ალბათ მალევე უნდა გააკეთოს.

გუშინ რუსულ სპორტულ გამოცემა "სპორტ ექსპრესში" ფეხბურთელის ინტერვიუ გამოქვეყნდა, რომელსაც ჩვენც გთავაზობთ.

**- ალბათ საფეხბურთო ტექნიკა მემკვიდრეობით გერგოთ?**

- არც ესაა გამორიცხული. ამბობენ, მამაჩემი - ალექსანდრე გრიგალავა, ძალიან ტექნიკური იყო, ოღონდ ის ფეხბურთს არ თამაშობდა, მორაგბე გახლდათ და ქუთაისის "აიას" შემადგენლობაში საბჭოთა კავშირის ჩემპიონის ტიტული სამჯერ აქვს მოპოვებული.

**- მაშ რატომ შეჩერდა თქვენი არჩევანი ფეხბურთზე, მამის კვლას რატომ არ გაჰყევით?**

- ფეხბურთი უფრო მომწონს, მამას კი ჩემთვის არაფერი დაუძალებია. 9 წლამდე ბურთს მხოლოდ ეზოში ვაგორებდი, შემდეგ კი საცხოვრებლად როსტოვში გადავედით და მამაჩემმა საფეხბურთო სკოლაში მიმიყვანა. ასე მითხრა - თუ ნიჭი გაქვს დიდ ფეხბურთს ნებისმიერ შემთხვევაში ითამაშებო.

**- საბავშო სკოლისთვის უკვე ასაკიანი იყავით**

- გამიმართლა და კარგი მწვრთნელის ხელში აღმოვჩნდი - ვალერი მაკარენკოსთან. შემდეგ უკვე "როსტელმაშის" საფეხბურთო სკოლაში აღმოვჩნდი, სადაც კიდევ ერთმა კეთილმა ადამიანმა სერგეი სელინმა პროფესიული კლუბის დუბლშემადგენლობაში ამიყვანა. რუსეთის საფეხბურთო ჩემპიონატში ერთი მატჩი ჩავატარე და ძირითად შემადგენლობასთან ერთად, რუსეთის თასის რამდენიმე მატჩშიც მივიღე მონაწილეობა, თუმცა, ახლა ისეთი დროა, რომ კლუბები ახალგაზრდების აღზრდას უცხოელი ლეგიონერების შეძენას ამჯობინებენ.

**- იქნებ უბრალოდ თქვენი ამპლუის ფეხბურთელები არ სჭირდებათ?**

- მუდამ ცენტრალურ მცველად ვთამაშობდი და მწვრთნელებისგან განსაკუთრებული პრეტენზიები არასდროს მომისმენია. შესაძლოა, დროთა განმავლობაში, გუნდის ძირითად შემადგენლობაშიც მომეკიდა ფეხი, მაგრამ "როსტოვი" პრემიერლიგიდან გავარდა. შინაგანმა გრძნობამ მიკარნახა, რომ გარემო უნდა შემეცვალა. ასკ-ში გადავედი და მაშინვე ვიგრძენი, რომ სწორი გადაწყვეტილება მივიღე. მართალია, თავდაპირველად ტრავმის გამო ბევრი გამიცდა, მაგრამ გუნდის მთავარი მწვრთნელი გენადი სტეპუშკინი მენდობოდა და როგორც კი მოვჯობინდი, ეგრევე მოედანზე შემიშვა.

**- პირველ ლიგაში გადასვლა არ გაგიჭირდათ?**

- თუ მწვრთნელი გენდობა, პრობლემა საერთოდ არ არსებობს. სეზონის ბოლოს, პრემიერლიგის კლუბებიდან მიწვევები მივიღე, მაგრამ ასკ-ში თამაში მომწონდა და შვებულებაშიც ამ გუნდის ფეხბურთელად წავედი. სამწუხაროდფინანსური პრობლემების გამო, გუნდი მეორე დივიზიონში დაქვეითდა. ხასიათი მხოლოდ იმ ცნობამ გამომიკეთა, რომ "აიაქსიდან" მოწვევა მომივიდა.

**- ეს ამბავი, როგორ მოხდა?**

- გამოგიტყდებით და წარმოდგენა არ მაქვს. მივედი ჩემს კლუბში და იქ ვიზა და ბილეთები დამახვედრეს, ამსტერდამში მიდიხარო. ჰოლანდიაში ორი კვირა გავატარე, "აიაქსში" გატარებული პერიოდი დასამახსოვრებელი აღმოჩნდა. ყველა ვარჯიში ბურთის თანხლებით ტარდებოდა და ძირითადი აქცენტი ტექნიკაზე კეთდებოდა. რაც ყველაზე საინტერესოა, ბაზაზე თითქმის არავინ ცხოვრობს. ცდილობენ, რომ ყველა ფეხბურთელს საკუთარი სახლი ჰქონდეს ან სასტუმროს ნომერში ცხოვრობდეს, ისე, როგორც მე ვცხოვრობდი.

**- "აიაქსის" ახალგაზრდულ გუნდში თავს როგორ გრძნობდით?**

- სხვებს არაფრით ჩამოვრჩებოდი, თუმცა იმ მომენტისთვის გუნდში ერთადერთი უცხოელი ვიყავი. მითხრეს, რომ ჩემი კანდიდატურის განხილვას მომავალ სეზონში დაუბრუნდებიან და საკუთარ თავზე მუშაობა მირჩიეს. რა თქმა უნდა. მივხვდი, რომ ასკ აუცილებლად უნდა დამეტოვებინა. რამდენიმე შეთავაზება მქონდა, მათ შორის ორი საკმაოდ საინტერესო - მოსკოვის "სპარტაკი" და "მოსკვა". საკუთარ მენეჯერთან ერთად მეორე ვარიანტი ვარჩიე.

**- რატომ?**

- მესმის, რომ თქვენთვის ეს უცნაურია, "სპარტაკი" ხომ რუსეთში ყველაზე პოპულარული გუნდია, მაგრამ მე, როგორც ყველა ქართველი ბავშვი, ადრე თბილისის "დინამოში" თამაშზე ვოცნებობდი. "სპარტაკი" "სპარტაკია", მე კი, არჩევანი "მოსკვაზე" შევაჩერე.

**- ახალ გუნდში როგორ მიგიღეს?**

- უპრობლემოდ. ვესაუბრე ბოჟოვიჩს, რომელმაც მითხრა, რომ მენდობა, თუმცა ბევრი მუშაობა მომიწევს.

- მომავალ სეზონში რა მიზნებს ისახავთ?

- "მოსკვასთან" ერთად რუსეთის ჩემპიონატი და თასი მინდა მოვიგო, მერე კი ეროვნულ ნაკრებში მოვხვდე.

**- აი, ეს კი საინტერესოა, თბილისის "დინამოში" თამაშზე მეოცნებე ბიჭუნა, რომელი ქვეყნის ეროვნულ ნაკრებში თამაშზე ოცნებობს?**

- ქართველი ვარ, პასპორტი კი რუსული მაქვს. საქართველოს თუ რუსეთის არცერთ ასაკობრივ ნაკრებში, ჯერ არ მითამაშია. აი, ესაა ჩემი პასუხი.

# მუჯირმა ჩეხებს სძლია

ესპანეთის ქალაქ ხერესში შეკრებაზე მყოფმა მოსკოვის "ლოკომოტივმა", რომლის ღირსებასაც ქართველი ნახევარმცველი დავით მუჯირი იცავს, ორ დღეში ორი საკონტროლო მატჩი ჩაატარა.

პირველ შეხვედრაში რკინიგზელებმა ირლანდიურ "ბოჰემიანსს" 2:1 სძლიეს. მუჯირმა სასტარტო შემადგენლობაში ითამაშა, მეორე შეხვედრაში კი ქართველი ნახევარმცველის გარეშე მოასპარეზე "ლოკომოტივი" დანიურ "ჰორსენსს" უგოლოდ დაშორდა.

ბელგრადის "რადთან" საკონტროლო მატჩში 2:0 იმარჯვა დიმიტრი ტატანაშვილის "ვიქტორია პლზენმა".

კვიპროსის ქალაქ ლარნაკაში მყოფმა ჩეხურმა კლუბმა სერბებს ყველა კომპონენტში აჯობა, ქართველი ფორვარდი კი მინდორზე 68-ე წუთზე გამოჩნდა.

კვიპროსის საფეხბურთო ჩემპიონატში თემურ ქეცბაიას მიერ დარიგებულმა "ანორთოსისმა" პარალიმნის "ენოსისს" 1:0 სძლია და 50 ქულით მე-3 ადგილი შეინარჩუნა.

ფამაგუსტელთა რიგებში კლიმენტი წიტაიშვილი არ გამოჩენილა.

ლევან ქებაძის "ეთნიკოსმა" პაფოსის აეპ-თან საშინაო მატჩი 1:3 დათმო, ქართველმა თავდამსხმელმა კი შეუცვლელად ითამაშა.

"ეთნიკოსი" 31 ქულით მე-6 საფეხურზე იმყოფება.

# პარიზმა მასპინძლობა შეიფერა, პაპინაშვილმა 60 კგ.

*თბილისის მსოფლიო თასზე მოპოვებული 3 ოქროს, 5 ბრინჯაოსა და 4 ვერცხლის მედლით საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრებს მორიგი გამოცდის ჩაბარება პარიზის სუპერთასზე მოუწია. პარიზული ტატამი იმდაცაა მნიშვნელოვანი, რომ მასში ასპარეზობის სურვილს გამოთქვამს გაცილებით მეტი ქვეყანა, ყოველივე კი მედლებისთვის ბრძოლას შანსებსა თუ შესაძლებლობებს მეტად ართულებს. როგორც არ უნდა იყოს, თავიდანვე იყო ცხადი, რომ საქართველოს ნაკრები თბილისურ შედეგს არათუ ვერ გაიმეორებდა, არამედ ახლოსაც ვერ მივიდოდა.*


AFP ' 2009
პაპინაშვილს ოქროს მედალი მასპინძელმა დიმიტრი დრაგინმა არ დაანება

ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა შოთა ხაბარელმა საფრანგეთის სუპერთასზე ფაქტობრივად გადახალისებული და ახალგაზრდული გუნდი იახლა. გამოცდილთაგან ტატამზე მხოლოდ ნესტორ ხერგიანი გავიდა და ისიც მისთვის უჩვეულო წონაში. მთლიანობაში საკუთარი ძალები ნაკრების ცხრა წევრმა თუ კანდიდატმა მოსინჯა. მათ შორორის ვინც წარმატებას მიაღწია თბილისის მსოფლიოს თასის გამარჯვებული ამირან პაპინაშვილია (60 კგ.). ეგაა, ამ შემთხვევაში თბილისურ წარმატებამდე მას ერთი ნაბიჯი დააკლდა - ვერცხლის მედალი.

და მაინც, ყველაზე მსუბუქ წონაში საპრიზო ადგილის დაკავება ჩვენთვის იმითაცაა აღსანიშნავი, რომ მასში ნაკრების ღირსებას წლების განმავლობაში იცავდა ნესტორ ხერგიანი. ყოველივეს გათვალისწინებით შეგვიძლია საკუთარ თავს გარკვეულწილად დამშვიდების საშუალება მივცეთ. ფაქტია, ხერგიანს პაპინაშვილის სახით შემცვლელი გამოუჩნდა. ყოველ შემთხვევაში, სეზონის საწყის ორივე ტურნირზე ოქროსა და ვერცხლის მედლის მოპოვება ამის თქმის საბაბს იძლევა.

ნაკრების სხვა წევრებიდან ყველაზე შორს ახალგაზრდებს შორის, ევროპის ორგზისა და მსოფლიო ჩემპიონი, წლეულს კი თბილისის მსოფლიო თასის მომგები ვარლამ ლიპარტელიანი (90 კგ.) წავიდა. მართალია, მედლისკენ მიმავალი გზა მომავალმა ფინალისტმა იაპონელმა ტაკაშიონომ გადაუღობა, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ქართველისა და იაპონელის შერკინებაში გამარჯვებული დამატებით დროში - ოქროს ქულით გამოვლინდა.

რომ არა ეს წაფორხილება, ქართველი ნახევარფინალურ საგზურს ეუფლებოდა. ამ შემთხვევაში კი არავინ იცის რა მოხდებოდა. სავარაუდოდ მომავალ მეტოქე რუს კირილ დენისოვთან გამკლავება ვარლამს არ უნდა გასჭირვებოდა. ლიპარტელიანმა პარიზული ტურნირი ჩასათვლელი მეხუთე ადგილით დაასრულა.

რაც შეეხება ნაკრების დანარჩენ შვიდ წევრს ლევან ჩუბინიძეს (60 კგ.), ნესტორ ხერგიანს (66 კგ.), თენგიზ პაპოშვილს (73 კგ.), ლევან წიკლაურს, გიორგი ბაინდურაშვილს (ორივე 81 კგ.), ნოდარ მეტრეველს (100 კგ.) და ადამ ოქრუაშვილს (მძიმე წონა), ისინი ჩასათვლელი შვიდეულის მიღმა აღმოჩნდნენ.

პარიზული ტატამი მასპინძელთა გუნდური პირველი ადგილით (47 ქვეყანა მონაწილეობდა) დასრულდა. ფრანგებმა 3 ოქროს, 1 ვერცხლი და 3 ბრინჯაოს მედალი დაისაკუთრეს. მეორეზე კორეელები გავიდნენ (2-1-2), მესამეზე კი იაპონელები (2 ოქრო და 1 ვერცხლი). ამ მხრივ საქართველოს ნაკრებმა კუბასთან ერთად გუნდური მეექვსე ადგილი გაიყო.

# შევჩენკო - მთავარი იმედგაცრუება

იტალიური "მილანის" გულშემატკივართა გამოკითხვის შედეგად დადგინდა 2008-09 წლების სეზონში იმ ფეხბურთელთა ვინაობა, რომლებმაც ფანებს ყველაზე მეტად გაუცრუეს იმედები.

სიაში პირველ ადგილს უკრაინელი ფორვარდი ანდრეი შევჩენკო იკავებს, რომელმაც გამოკითხულთა ხმების 46 პროცენტი მიიღო, მეორე ადგილზე "არსენალიდან" "მილანში" გადაბარგებული ფრანგი ნახევარმცველი მეტიუ ფლამინია - 20 პროცენტი დააგროვა. მესამეზე 17 პროცნტით შვეიცარიელი მცველი ფილიპ სენდეროსი აღმოჩნდა, მეოთხეზე კი ფორვარდი მარკო ბორიმული, რომელმაც ტრავმის გამო თითქმის ნახევარი სეზონი გამოტოვა. ბორიელომ ხმების 11 პროცენტი მიიღო.

შეგახსენებთ, რომ თავის დროზე შევჩენკო "მილანის" ფანთა მთავარი გულისმპყრობელი გახლდათ. ეგაა, უკრაინელმა ფაქტობრივად მშობლიურ კლუბს ლონდონის "ჩელსიში" თამაში ამჯობინა, სადაც ორი სრულიად უსახური სეზონი გაატარა და შარშან კვლავ "მილანს" დაუბრუნდა. ფეხბურთელს და "მილანის" ფანებს ეიმედებოდათ, რომ ანდრეი ჩვეულ სტილში ათამაშდებოდა, მაგრამ უკვე ასაკში შესულმა შევჩენკომ აშკარად ვერ გაუძლო იტალიურ გრანდში არსებულ კონკურენციას. ძირითად შემადგენლობაში შევჩენკო თითქმის არ ხვდება და რაიმე მნიშვნელოვანს ვერც მაშინ აკეთებს, როდესაც მას ანჩელოტი თამაშის საშუალებას აძლევს.



შევჩენკომ "მილანის" ფანებს იმედები გაუცრუვა

არადა 1999 წლიდან 2006 წლამდე "შევას" "მილანის" შემადგენლობაში 208 მატჩში უთამაშია და 128 გოლი გაუტანია.

ახლა საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ შევჩენკოს "მილანის" დატოვება კიდევ ერთხელ მოუწევს. უკრაინელი უკმაყოფილოა სათადარიგოს როლით, რომელიც მას ანჩელოტიმ მიუჩინა. გავრცელებული ხმების თანახმად უკრაინელს კლუბის შეცვლა განუზრახავს.

### კაკა ორ კვირას დაისვენებს

"მილანის" ბრაზილიელი ნახევარმცველი კაკა, რომელმაც, სერია A-ს 23-ე ტურში "რეჯინას" წინააღმდეგ ტრავმა მიიღო, სულ მცირე, ორი კვირით გამოვიდა მწყობრიდან. ასე რომ, კაკა იძულებული იქნება გამოტოვოს, სერია A-ს 24-ე ტურის მეტად პრინციპული მატჩი "მილანის" თანაქალაქელ "ინტერთან", რომელიც 15 თებერვალს გაიმართება.

### ადამსი უმუშევრად დარჩა

ინგლისის პრემიერლიგის საფეხბურთო კლუბ "პორტსმუთის" ხელმძღვანელობამ დაკავებული თანამდებობიდან მთავარი მწვრთნელი ტონი ადამსი გაათავისუფლა. ახალი მთავარი მწვრთნელის დანიშვნამდე, "პორტსმუთს" პოლ ჰარტი გაუძღვება, რომელიც აქამდე ახალგაზრდულ გუნდს ავარჯიშებდა. კლუბის ხელმძღვანელობამ ადამსის გაშვების გადაწყვეტილება, მიმდინარე ჩემპიონატში "პორტსმუთის" წარუმატებელი გამოსვლის გამო მიიღო - ბოლო 9 ტურის განმავლობაში გუნდმა მხოლოდ ორი ქულა აიღო. პრემიერლიგის 25-ე ტურში, ადამსის შეგირდები საკუთარ მოედანზე "ლივერპულთან" 2:3 დამარცხდნენ. 42 წლის სპეციალისტი "პორტსმუთს" სათავეში გასული წლის ზაფხულში ჩაუდგა, მას შემდეგ, რაც ექსთავკაცი ჰარი რედნაპი ლონდონის "ტოტენჰემში" გადავიდა.

### ბურდულმა "ტავრიას" მოაგებინა

ვასილ გიგიაძისა და ლადო ბურდულის უკრაინულმა "ტავრიამ", რომელიც თურქულ ბელეკში წინასასეზონო შეკრებაზე იმყოფება, მოლდოვურ "ტირასპოლთან" ამხანაგური მატჩი გამართა და ბურდულის გოლით გამარჯვება მოიპოვა.

"ტავრიას" გეგმიური ვარჯიში უნდა გაემართა, მაგრამ, მათსავე სასტუმროში მცხოვრებმა "ტირასპოლის" ხელმძღვანელობამ, რომელთაც ბულგარულ კლუბთან გასამართი ამხანაგური მატჩი ჩაეშალათ, "ტავრიას" ხელმძღვანელობას სპარინგის გამართვის თხოვნით მიმართეს და უკრაინელებიც შეთავაზებას დათანხმდნენ.

უკრაინელთა მთავარმა მწვრთნელმა სერგეი პუჩკოვმა, საკუთარი გუნდი ორივე ტაიმში განსხვავებული შემადგენლობით ათამაშა. გუნდში მყოფი ქართველი ლეგიონერებიდან პირველი 45 წუთი მოედანზე თავდამსხმელმა ვასილ გიგიაძემ გაატარა. "ტავრიამ" ანგარიში მე-3 წუთზე კორნეევის შორეული დარტყმით გახსნა, გიგიაძემ კი, 44-ე წუთზე თერთმეტმეტრიანი ზუსტად შეასრულა და შესვენებამდე ყირიმელები 2:0 დაწინაურდნენ. ნახევარმცველი ლადო ბურდული თამაშში მეორე ტაიმში ჩაერთო. მატჩის მეორე ნახევარში მოლდოველებმა ორი წუთის ინტერვალით ორი გოლი გაიტანეს და ანგარიში გაათანაბრეს, მერე კი, უპირატესობა კვლავ უკრაინელმა ფეხბურთელებმა მოიპოვეს და რამდენიმე სახიფათო მომენტი შექმნეს, მაგრამ "ტირასპოლის" მეკარე უშეცდომოდ თამაშობდა. 82-ე წუთზე, ბურდული მეტოქის საჯარიმოში შეიჭრა, ორი მცველი ჩამოიცილა და დაახლოებით 5 მეტრიდან გამარჯვების გოლი გაიტანა -3:2.

### ჯერარდი "რეალთან" ვერ ითამაშებს

ინგლისის "ლივერპულის" კაპიტანი სთივენ ჯერარდი ვერ შესძლებს თავისი კლუბის დახმარებას უახლოესი სამი კვირის განმავლობაში. "ევერტონთან" თასის მეოთხედფინალის მატჩისას, რომელიც "ლივერპულმა" 0:1 დათმო, ჯერარდმა კუნთი გაიწყვიტა. ამდენად, "ლივერპულის" კაპიტანი ვერ შესძლებს ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალის პირველი მატჩის თამაშს მადრიდის "რეალის" წინააღდეგ.

### ირლანდიამ საქართველომდე პოლ მაკშეინიც მოისაკლისა

საქართველოს საფეხბურთო ნაკრებთან შესარჩევი მატჩის წინ, ირლანდიელთა თავკაც ჯოვანი ტრაპატონის, შესაძლოა, კიდევ ერთი მოთამაშე დააკლდეს. "ესპანიოლის" მცველ სტივ ფინანისა და "ჰალის" ფორვარდ კალებ ფოლანის დაშავების კვალად, ტრავმამ "სანდერლენდის" წევრი პოლ მაკშეინიც შეაწუხა. მუხლის მყესების დაზიანების გამო, მაკშეინმა პრემიერლიგაში ორი მატჩი გამოტოვა, თუმცა, სანაკრებო შეკრებაზე მაინც გამოცხადდა და ის იყო ვარჯიშს უნდა შედგომოდა, რომ ნაკრების ექიმებმა მას მინდორზე გასვლის ნება არ დართეს. უმჯობესია სამშაბათამდე მოიცდო. ანუ იქამდე ვიდრე საბოლოო გამოკვლევას არ ჩაგიტარებთო. "მაკშეინს გუნდთან ერთად ვარჯიში სურდა, თუმცა, ექიმებთან თათბირის შემდეგ, მცირე ხანს მოცდა ვამჯობინეთ. პოლის ჯანმრთელობით გარისკვა ნამდვილად არ გვსურს", - განაცხადა ტრაპატონიმ მალაჰიდში მდებარე "გენონ პარკზე" გამართული მორიგი წვრთნის შემდეგ. ტრავმირებული ფეხბურთელების შემცვლელად იტალიელმა სპეციალისტმა საქართველოსთან მატჩისთვის 21-წლამდელთა ნაკრების კაპიტან ედი ნოლანს უხმო. თუ ირლანდიელები საქართველოს ნაკრების დამარცხებას შესძლებენ, მე-8 შესარჩევ ჯგუფში, ლიდერი იტალიის ეროვნული გუნდის დარად 10 ქულას დააგროვებენ.

# The New York Times offers a “window" to the world




- Every Tuesday, from 20th of January, the leader of the world press The New York Times with 24 Saati.

- The New York Times selects the articles each week specially for Georgian Reader.

- The best from The New York Times.


„ნიუ-იორკ თაიმსის“ საერთაშორისო ყოველკვირეული გამოცემა - International Weekly, წარმოადგენს „ნიუ-იორკ თაიმსის“ საინფორმაციო სამსახურის მიერ კვირის განმავლობაში გამოქვეყნებული მასალებიდან შერჩეული საუკეთესო სტატიების, ფოტების, გრაფიკის ნაკრებს; იგი მზადდება „ნიუ-იორკ თაიმსის“ რედაქტორებისა და დიზაინერების მიერ, კაბადონდება ნიუ-იორკში და იგზავნება დასაბეჭდად საქართველოში. ყოველკვირეული ჩანართი სპეციალურად მზადდება „24 საათისთვის“, ისევე, როგორც ფრანგული „ლე მონდისთვის“, ესპანური „ელ პაისისთვის“, გერმანული „ზიუდ დოიჩე ცაიტუნგისთვის“, ბრიტანული „ობსერვერისთვის“ და ა.შ.

„24 საათი“ 2009 წლის იანვრიდან არის „ნიუ-იორკ თაიმსის“ კორპორატიული პარტნიორი და უფლება აქვს გამოიყენოს „ნიუ-იორკ თაიმსის“ საინფორმაციო, ფოტო და გრაფიკული ბაზა.

A weekly international edition of "The New York Times" - "International Weekly" is a collection of the best articles, photos and graphics selected by "The New York Times" information service out of all materials published during the whole week. It is preparead by "The New York Times" editors and designers, imposed in New York City and sent to Georgia for printing. A weekly insert is specially prepeared for "24 Saati" newspaper as well as for French "Le Monde", Spanish "El Pais", German "Sueddeutsche Zeitung", British "Observer", etc.

From January 2009, "24 Saati" newspaper is a corporate partner of "The New York Times" and enjoys the right to use information, photo and graphic base of "The New York Times".



AFP ' 2009

*საფრანგეთის ალპებში ვალ დ'იზერის დამრეცებზე მიმდინარე სამთომოთხილამურეთა მსოფლიოს ჩემპიონატზე გუშინდელის დღის ჩათვლით მედლებით თავს მხოლოდ რვა ქვეყანა იწონებს. მათ შორის ორი ოქროს მედლით მოწინავეა აშშ-ის ნაკრები. აი, მედლების საერთო მაჩვენებლით კი ლიდერები შვეიცარიელები არიან, რომლებსაც თითო ოქროს, სამი ვერცხლისა და ერთიც ბრინჯაოს მედალი აქვთ. ნორვეგია, რომელსაც მოთხილამურეები არასდროს დაეწუნებოდათ, გუშინდლამდე ერთი ბრინჯაოს მედალი ჰქონდათ. აქსელ ლუნდ სვინდალის (ფოტოზე) წყალობით კი მათი მონაგარი ოქროთიც შეივსო. სკანდინაველი სუპერკომბინაციაში იყო საუკეთესო. სვინდალს ფეხდაფეხ მიყვნენ ფრანგი ჟულიენ ლიზერუ და ხორვატი ნატკო ზრნიჩ-დიმი.*


თვალის მიკროქირურგიის

ჯ ა ვ რ ი შ ვ ი ლ ი ს

კლინიკა

" ო ფ თ ა ლ მ ი ჯ ი "

ერთადერთი კლინიკა 8 ფილიალით

და ერთი მოძრავი საოპერაციო

ბლოკით

S L T - ლაზერი

გლაუკომის ქირურგია

ოფთალმოქირურგიაში

ტექნიკის უკანასკნელი მიღწევა

ტელეფონი: 54 53 53; 30 10 80


გააგზავნეთ სმს ჯეოსელიდან , მაგთიდან , ბილაინიდან ნომერზე - 30-30 და 1 ლარით ყოველთვიურად დაეხმარებით მზრუნველობამოკლებულ ბავშვებს. ერთჯერადი დახმარებისათვის დარეკეთ ნომერზე 30-30 და ფონდ იავნანას ანგარიშზე ავტომატურად ჩაირიცხება 1 ლარი.

შემოგვიერთდით, ერთად დავუბრუნოთ ბავშვები თავიანთ ოჯახებს!

ფონდი იავნანა
გაზეთი 24 საათი

**თვითმცლელი:**
**BMC PRO 935 FTE.**
**8X4**

მიწოდების ვადა
1
დღე

**BMC**

ტექნიკის ტიპი: ბეტონშემრევი
მწარმოებელი: BMC
მოდელი: BMC PRO 935 FTE
მოცულობა: 10 მ³
ძრავი: Cummins C 350-20 (Euro 2)
Turbo Intercooler
სიმძლავრე: 350 ცხ.ძ.
გადაცემათა კოლოფი: ZF 16 S
ბეტონშემრევი დანადგარი: LIEBHERR
გარანტია: 1 წელი
მიწოდების ვადა: 1 დღე
ანგარიშსწორება: 3–5 წლიანი ლიზინგი



**TEGETA TRUCK & BUS LTD**
ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ.
244-744, 899 55-44-73, 244-744 (1219)

## ინფორმაცია შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ჩატარებულ ტენდერში გამარჯვებულების გამოვლენის შესახებ

**1)** ა/წ 30 იანვარს შს სამინისტროს მიერ მომზადებული გადაცემის განსათავსებლად სატელევიზიო ეთერის შესყიდვის მიზნით ჩატარებულ ტენდერში გამარჯვებულად გამოვლინდა შ.პ.ს. სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“.

**2)** ა/წ 3 თებერვალს საწვავის შესყიდვის მიზნით ჩატარებულ ტენდერში გამარჯვებულად გამოვლინდნენ: 1, 2, 3 და 4 ლოტებზე შ.პ.ს. „რომპეტროლ საქართველო“, ხოლო ლოტი 5-ზე შ.პ.ს. „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია“.

---

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება თეთრონი+ -ს (ს.კ. 208207929) პარტნიორთა 2009 წლის 07 თებერვლის №2 კრების გადაწყვეტილებით ხორციელდება საზოგადოების რეორგანიზაცია (ნატურით გამოყოფა) და საზოგადოების საწესდებო კაპიტალის შემცირება.

დაინტერესებულმა პირებმა მოგვმართეთ:
თბილისი, სადგური ლილო.
ან დარეკეთ: 899 312721.

---

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება სტანდარტი-2008 -ს (ს.კ. 205226986) პარტნიორთა 2009 წლის 06 თებერვლის №7 კრების გადაწყვეტილებით ხორციელდება საზოგადოების რეორგანიზაცია (ნატურით გამოყოფა) და საზოგადოების საწესდებო კაპიტალის შემცირება.

**დაინტერესებულმა პირებმა მოგვმართეთ:**
**თბილისი, საბურთალოს ქ. 43.**
**ან დარეკეთ: 367781.**

GT GROUP
**ჩოლოყაშვილის 48 ბ**
**ტელ: 740 740**
**www.gtgroup.ge**

**Ford Transit**
Ford-ის გლობალური იმპორტიორი GT Motors



გარანტია 2 წელი
16 950
ევროდან

**iVan**
გარანტია 2 წელი
"UKR AUTO"-ს ოფიციალური დილერი GT Group
iVan-ის წარმოების საქალაქო და საგარეუბნო ავტობუსი



25 500
ევროდან

**MST**
გარანტია 1 წელი
"SANKO"-ს ოფიციალური დილერი GT Group
MST-ს ბეკოლოუდერები



46 000
ევროდან

GT GROUP
**ჯი-თი ჯგუფი - FordCargo -ს ოფიციალური დილერი საქართველოში**
**ჩოლოყაშვილის 48 ბ, ტელ: 740 740, www.gtgroup.ge**









**გარანტია 2 წელი**
(გარანტია ვრცელდება ყველა დეტალზე)
**49 000**
**ევროდან**
თქვენს საქმიანობაზე მორგებული სატვირთო ავტომობილი

## შპს "საქართველოს რკინიგზა" 10 თებერვლიდან აცხადებს საერთაშორისო ტენდერს ელმავლების შეკეთების მომსახურების შესყიდვის შესახებ

შპს "საქართველოს რკინიგზა" (მდებარე ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. №15) აცხადებს საერთაშორისო ტენდერს **ელმავლების შეკეთების მომსახურების შესყიდვის** შესახებ და იწვევს ყველა დაინტერესებულ იურიდიულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.

1. დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით შემდეგ რეკვიზიტებზე: ს/ს ბანკი "რესპუბლიკა" ცენტრალური ფილიალი, კოდი: 220101757, ანგარიშის №10494921495;

სატენდერო დოკუმენტაცია და შესაბამის ტექნიკური დავალება (შედგენილი ქართულ ენაზე) გაიცემა **10 თებერვლიდან 2 მარტის** ჩათვლით <u>**სატენდერ მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის და სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნის შესახებ მიმართვის**</u> წარმოდგენის საფუძველზე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. № 15, მე-3 სართული, შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტო.

2. შესყიდვის ობიექტი :

| ლოტი № | მომსახურების დასახელება | რაოდენობა | შესრულების ვადა |
|---|---|---|---|
| | | | |
| 1 | ელ-10 (11) სერიის და სხვა მოდიფიკაციის ელმავლების კრ-2 მოცულობის საქარხნო რემონტი | 9 ცალი | 2009 წლის განმავლობაში |

3. **მიწოდების პირობა:** DDP თბილისი;
4. **მიწოდების ვადა:** 2009 წელი (ელმავლის გადაცემიდან არაუმეტეს 90 დღე)
5. **პრეტენდენტებმა** საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება დალუქული კონვერტებში, ქართულ ან/და თარგმნილი ქართულ ენაზე დამოწმებული ნოტარიული წესით უნდა წარმოადგინონ ორ ეგზემპლარად (ერთი ორიგინალი და ერთი ასლი) 2 მარტის 9სთ 00 წთ დან – 18 სთ და 00 წთ მდე, მისამართზე: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. №15, მე-3 სართული, შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტო.
6. **საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:**
   <u>იურიდიული პირებისათვის :</u>
   1. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
   2. ცნობა სასამართლოდან რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;
   3. სატენდერო წინადადების უზრუნველყოფისათვის სატენდერო წინადადების ღირებულების **5%-იანი საბანკო** გარანტიის წარმოდგენა, <u>რომლის მოქმედების ვადა ერთი თვით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას.</u>
   4. ინფორმაცია განხორციელებული მსგავსი მომსახურების გაწევის შესახებ.

7. <u>**ყველა პრეტენდენტმა აუცილებლად უნდა წარმოადგინოს :**</u>

1. ხელმოწერილი (ასევე ბეჭდით დამოწმებული), სატენდერო წინადადება რომლის მოქმედების ვადა არ უნდა იყოს 30 დღეზე ნაკლები და (ნიმუში წარმოდგენილია სატენდერო დოკუმენტაციაში), რომელშიც აუცილებლად უნდა იყოს მითითებული ლოტის ღირებულება, სატენდერო წინადადების მოქმედების ვადა, პრეტენდენტისათვის სასურველი ანგარიშსწორების პირობები.
2. სატენდერო წინადადების ფასი წამოდგენილი უნდა იქნას ეროვნულ ან სხვა ვალუტაში <u>**დღგ–ს გარეშე**</u>; უცხოურ ვალუტაში სატენდერო წინადადების ფასის დაფიქსირების შემთხვევაში მისი შეფასება მოხდება სატენდერო პაკეტების გახსნის დღეს ეროვნული ბანკის მიერ დაფიქსირებული კურსის შესაბამისად;
3. **გამარჯვებულის გამოვლენის შემთხვევაში მომწოდებელმა ხელშეკრულების გაფორმებამდე უნდა წარმოადგინოს ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტია (მხოლოდ საბანკო დაწესებულებიდან) ხელშეკრულების ღირებულების 5%-ის ოდენობით,** რომლის მოქმედების ვადა 50 კალენდარული დღით უნდა აღემატებოდე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების საბოლოო შესრულების ვადას;
4. <u>**სუბკონტრაქტორის არსებობის შემთხვევაში**</u> ყველა პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს სუბკონტრაქტორებთან სამართლებრივი ურთიერთობის დოკუმენტები (ხელშეკრულება, შეთანხმება ან სხვა ექვივალენტური დოკუმენტი) საკვალიფიკაციო მოთხოვნები ეხება აგრეთვე სუბ-კონტრაქტორებს.

პრეტენდენტები არ დაიშვებიან შეფასებაზე თუ მათ მიმართ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება, ლიკვიდაცია ან რეორგანიზაცია და მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება არ შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციისა და სატენდერო განცხადების მოთხოვნებს

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტოში, ტელ <u>**56-33-71 მაკა ჟუჟუნაშვილი;**</u> (სატენდერო კომისიის აპარატის შემადგენლობა: **ნ. კონჯარია 56-38-60 თ. ხოკერაშვილი 56-39-30; ი. ლობჟანიძე 56-46-96;)**

<u>სატენდერო კომისია</u>

1 უცხო ქვეყნების წარმომადგენლების მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი იქნება შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან კანონით დადგენილი წესით ლეგალიზებული სახით.

## О.О.О. «Грузинская железная дорога» с 10 февраля 2009 года объявляет международный тендер на ремонт электровозов

***О.О.О. «Грузинская железная дорога».*** г.Тбилиси, пр. Царицы Тамары № 15. объявляет международный тендер на ремонт электровозов и приглашает принять участие всех заинтересованных юридических лиц.

1. Заинтересованные лица могут уплатить тендерный сбор в размере <u>**500 (пятьсот)**</u> лари на реквизитах: А/О банк «Республика» центральный филиал: код – 220101757, Р/С – 10494921495.

Тендерная документация и **техническое задание** (на грузинском языке) выдается от **10 февраля** 2009 года **по 2 марта** 2009 года на основании <u>**квитанций вместе с заявкой на выдачу тендерной документации**</u> по адресу: - г.Тбилиси, пр. Царицы Тамары № 15. ***О.О.О. «Грузинская железная дорога»*** Агентство закупок (3-этаж).

2. **Объекты закупки**

| Лот № | Наименование услуг | кол | время поставки |
|---|---|---|---|
| | | | |
| 1 | заводской ремонт (кр-2) электровозов серий ВЛ-10 (11) и других модификаций | 9 шт | в течении 2009 года |
| | | | |
| | | | |

<u>**Специальные условия для всех претендентов:**</u>

3. **Условие и место поставки: DDP Тбилиси.**
4. Тендерные предложения и квалификационные данные претенденты должны предъявить в запечатанных конвертах. в двух экземплярах (Оригинал и его копия). заполненные на грузинском (допускается на русском и на английском языке) и/или с грузинским переводом заверенный нотариусом.

- Сроки предъявления документации: **с 9-00 до 18-00 часов 2 марта 2009 года;**
- Документация должна быть представлена по следующему адресу: г.Тбилиси, пр. Царицы Тамары № 15. ***О.О.О. «Грузинская железная дорога»*** Агентство закупок (3-этаж).

5. **Квалификационные данные должны содержать следующую информацию:**

   **1)** Выписку из предпринимательского реестра.
   **2)** Справку из судебных органов о том. что в отношении претендента не ведется делопроизводство о неплатежеспособности.
   **3)** В силу обеспечения тендерного предложения – банковскую гарантию в размере <u>**5% от общей стоимости предложенного товара**</u>. **срок действия которой должен на один месяц превышать срок действия тендерного предложения.**
   **4)** Информация об аналогичных услугах.

6. <u>**Всем претендентам необходимо представить:**</u>

1. Подписанное (юридическим лицом и инд.производителем и заверенное печатью) тендерное предложение. срок действия которой должен быть не менее 30 дней (образец представлен в тендерной документации). в котором необходимо указать стоимость лота. срок действия тендерного предложения. желательные для претендента условия оплаты.
2. Стоимость тендерного предложения должна быть представлена в национальной валюте <u>**(без НДС)**</u>. В случае предъявления в другой валюте. оценка тенд. предложения будет произведена согласно курсу Национального банка Грузии в день открытия пакетов.
3. **В случае выявления победителя претендент до оформления контракта должен предъявить гарантию (только с банка) по выполнению условий контракта в размере 5% стоимости контракта.** срок действия. который должен на 50 календарных дней превышать срок окончательного исполнения обязанностей предусмотренных в договоре.
4. **В случае существования субконтрактора** претедент должен представить соответствующий прававой документ (контракт. соглашение или др. документы). Квалификационные данные также касаются и субконтракторов.

Претенденты не будут допущений к оценке. если в отношении претендента ведется делопроизводство о неплатежеспособности и представленные ими тендерные предложения и квалификационные данные не будут соответствовать вышеуказанным требованиям.

Дополнительную информацию заинтересованные лица могут получить в Агентстве закупок ***О.О.О. «Грузинская железная дорога».*** тел: <u>**56-33-71 Мака Жужунашвили.**</u> (Аппарат тендерной комиссии: **Н. Конджариа. 56-38-60. Т. Хокерашвили 56-39-30, И. Лобжанидзе 56-46-96.)**

*Тендерная комиссия*

1. Представители зарубежных стран квалификационные данные должны прислать от государственных органов соответствующих стран в легализированном виде и установленными законными нормами.

**ჩვენი საქმიანობის პრიორიტეტი**
**ქალის ჯანმრთელობაა !**
**თავი დაიცავით სარძევე ჯირკვლის და საშვილოსნოს ავთვისებიანი სიმსივნეებისგან ! ! !**

დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრში და მობილურ სკრინინგ-ცენტრში სარძევე ჯირკვლის და საშვილოსნოს ყელის კიბოს პრევენციის პროგრამით ყოველდღიურად წარმოებს პაციენტთა მიღება.
სარძევე ჯირკვლის მამოგრაფიული კვლევა ჩაუტარდებათ 40-დან 70 წლამდე ასაკის ქალბატონებს. გინეკოლოგიური გასინჯვა და პაპ-ტესტი ჩაუტარდებათ 25-დან 60 წლამდე ასაკის ქალბატონებს.
პროგრამა დაფინანსებულია თბილისის მერიის, "გაეროს" მოსახლეობის ფონდის მიერ და გათვალისწინებულია დედაქალაქის ქალთა მოსახლეობაზე.
პროგრამა მიმდინარეობს პირველი ლედის მხარდაჭერით.
გამოკვლევები ტარდება წინასწარი ჩაწერით. აუცილებელია მოქალაქემ თან იქონიოს პირადობის დამადასტურებელი მოწმობა.
პაციენტების მიღების საათებია: ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით - 9 სთ-დან 18 სთ-მდე, შაბათს - 9 სთ-დან 15 სთ-მდე.
მის.: დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი თბილისი, თ. აბულაძის 20

(ვაკე, "სამების" ეკლესიის უკან)
**ტელ.: 91 31 19; 91 32 42; ტელ./ფაქსი 25 39 38;**
**ელ.-ფოსტა usdc@gol.ge**

## განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობას (ქ. მცხეთა, ალმაშენებლის ქ. N73, აცხადებს ტენდერს ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით: სამ ლოტად.

**2. I. ლოტი:** ქ. მცხეთაში ქუჩებისა და მოედნების დაგვა-დასუფთავების, მონახვეტისა და საოჯახო ნარჩენების გატანის, ნაგავსაყრელი ტერიტორიის მიწით დამუშავების მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

შესყიდვის ობიექტის მოკლე დახასიათება:

ქუჩების II კატეგორია - დასაგველი ტერიტორიის საერთო ფართობი შეადგენს 140700 მ2.

ნაგავშემკრები კონტეინერების რაოდენობა 120 ცალი.

ნაგავშემკრები ბუნკერების რაოდენობა 4 ცალი.

მორწყვა-მორეცხვა (ზამთრის პერიოდში - ქუჩის მექანიკური გაწმენდა) დაქვემდებარებული ქუჩების ფართი 68000 მ2.

ნაგავსაყრელამდე ზიდვის საშუალო მანძილია 10 კმ.

**II ლოტი:** ქ. მცხეთის ტერირორიის მწვანე ზოლის ექსპლუატაციისა და მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

- მწვანე ზოლის საერთო ფართია 140 000 კვ.მ.
- ბაღი 20 400 კვ.მ.
- სკვერები 12 180 კვ.მ.
- გაზონები 12 220 კვ.მ.
- ფერდობები 70 200 კვ.მ.
- თეატრონის პარკი 25 000 კვ.მ.

**III ლოტი:** მცხეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ორგანიზაციების და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო ნაგვის გატანა.

ტენდერში გამარჯვებულ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს ევალება მოსახლეობიდან და ორგანიზაციებიდან ნაგვის გატანისთვის დაწესებული ადგილობრივი მოსაკრებლის ამოღება.

შესასრულებელი მომსახურების დეტალური ჩამონათვალი მოცემულია ტექნიკურ დავალებაში, რომელიც ტენდერში მონაწილეებს გადაეცემათ სატენდერო დოკუმენტაციასთან ერთად.

**3.** შესასყიდი ობიექტის მიწოდება უნდა მოხდეს ეტაპობრივად 2010 წლის 1 იანვრამდე.

**4.** სატენდერო დოკუმენტაციის გატანა შესაძლებელი იქნება სატენდერო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი საბუთის წარმოდგენისთანავე 2009 წლის 2 მარტის 18 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. მცხეთა დ. აღმაშენებლის N73. სატენდერო დოკუმენტაცია შესრულებული იქნება ქართულ ენაზე.

**5.** სატენდერო მოსაკრებლის ოდენობა შეადგენს 200 (ორას) ლარს, გადახდილი უნდა იქნეს შემდეგ ანგარიშზე: მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა (ქ. მცხეთა დ. აღმაშენებლის 73, ორგანიზ/კოდი 236094196, „სახალხო ბანკი"-ს მცხეთის ფილიალი; ბ/კოდი: 220101415 ა/ა 33030024)

შესყიდვაში მონაწილეობის მსურველს სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე შეუძლია გაეცნოს სატენდერო დოკუმენტაციას ზემოთ აღნიშნულ მისამართზე.

**6.** პრეტენდენტებმა ქართულ ენაზე შედგენილი განაცხადი ტენდერში მონაწილეობის შესახებ და საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, ერთ დახურულ კონვერტში უნდა წარმოადგინონ 2009 წლის 3 მარტის 10 საათიდან 15 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. მცხეთა დ. აღმაშენებლის N73.

**7.** ლოტების შესაბამისად გამოვლინდება ერთი გამარჯვებული.

**8.** ტენდერში მონაწილის (სუბ-კონტრაქტორების არსებობის შემთხვევაში, ასევე-მათი) საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**8.1 იურიდიული პირისთვის:**

ა) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ იურიდიული პირის მიმართ არ მიმდინარეობს გაკონტროლების ან რეაბილიტაციის საქმის წარმოება;

გ) ცნობა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ იურიდიული პირის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

**8.2 ფიზიკური პირისათვის:**

ა) ცნობა, უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;

ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ ფიზიკური პირის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

**8.3 როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირებისათვის:**

ა) ინფორმაცია ბოლო 5 წლის განმავლობაში განხორციელებული ანალოგიური მომსახურების შესახებ;

ბ) ინფორმაცია მატერიალურ ტექნიკური ბაზის შესახებ.

**9.** პრეტენდენტმა საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ დედნის სახით ან მათი ნოტარიულად დამოწმებული ასლები. არარეზიდენტმა ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისად უფლებამოსილი ორგანოების მიერ გაცემული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტაციები, რომელსაც თან უნდა დაერთოს თარგმანი ქართულ ენაზე, ნოტარიულად დამოწმებული სახით. კვალიფიკაციის გასავლელად განმცხადებელმა უნდა დააკმაყოფილოს ყველა ზემოაღნიშნული საკვალიფიკაციო მოთხოვნა. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-8 მოცემულ ყველა ცნობასა და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

**10.** შერჩევის დროს შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება წინამდებარე განცხადების მე-8 პუნქტით მოთხოვნილი ცნობები და ინფორმაცია.

**11.** ტენდერში გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადებისა (ღირებულების 1%-ის ოდენობით) და ხელშეკრულების შესრულების (ღირებულების 2%-ის ოდენობით) უზრუნველყოფის საბანკო გარანტიების მექანიზმი.

**12.** დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულმა პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: ნინო ქიტუაშვილი ან ნინო დიდებაშვილი ტელ: 51 26 96. ტენდერში გამოვლინდება ერთი გამარჯვებული.

**სატენდერო კომისია**

## განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველო აცხადებს ტენდერს მთავარი სამმართველოს ბალანსზე რიცხული ავტოსატრანსპორტო საშუალებებისა და ტექნიკის ტექნიკური მომსახურების (სერვისი) შესყიდვაზე და იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.**

დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ ჩარიცხონ სატენდერო მოსაკრებელი 200(ორასი) ლარის ოდენობით ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურში, რომლის რეკვიზიტებია: სახელმწიფო ხაზინა, სახაზინო კოდი:302003174, ანგარიშსწორების ანგარიში N200122900, მიუთითოთ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს სატენდერო მოსაკრებელი და წარმოადგინოთ თანხის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი, ქ. ქუთაისი ჯავახიშვილის ქუჩა N12 ოთახი N23, რის შემდგომაც გადმოგეცემათ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია.

1. გასაწევი მომსახურეობის ჩამონათვალი და მომსახურების გაწევის ადგილი.

**ლოტი 1** - ავტომანქანების „მიცუბისი-პაჯერო" - 2 ერთეული, „ოპელი-ვექტრა" - 5 ერთეული, „მერსედესი" - 4 ერთეული, „შკოდა-ოქტავია" - 15 ერთეული, „შევროლე-ლაცეტი" - 8 ერთეული, „ფოლცვაგენ-პასატი" - 3 ერთეული, „ბე-ემ-ვე" - 2 ერთეული, „მიცუბისი ლ-300" - 1 ერთეული, „ფორდ-სკორპიო" - 1 ერთეული, „ოპელ-მონტერეი" - 1 ერთეული, „ჰიუნდაი-ტუკსონი" - 4 ერთეული, „ჰიუნდაი-აცენტი" - 1 ერთეული, „ჰიუნდაი-ტერაკანი" - 1 ერთეული ტექნიკური მომსახურება ქ. ქუთაისში.

**ლოტი 2** - ავტომანქანების „ვაზ-2107" - 3 ერთეული, „ვაზ-2106" - 3 ერთეული, „ვაზ-21214" - 45 ერთეული, „უაზ-31514" - 14 ერთეული, დიზელ-გენერატორი 1 ერთეული ტექნიკური მომსახურება ქ. ქუთაისში,

**ლოტი 3 - ავტომანქანების** „ტოიოტა ჰაილუქსი" - 32 ერთეული, „ნისანი" -1 ერთეული ტექნიკური მომსახურება ქ. თბილისში.

ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური მომსახურეობის გაწევის ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2009 წლის 31 დეკემბრამდე.

2. იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს ბალანსზე რიცხული ავტოსატრანსპორტო საშუალებების სერვისი (რემონტი) უნდა განხორციელდეს ქ. ქუთაისში (მინიმუმ 5 ავტოტრანსპორტო საშუალებაზე ერთდროულად).

3. პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ ორ ეგზემპლარად (ერთი ორიგინალი და ერთი ასლი) 03 მარტის 10.00 საათიდან 14.00 სათამდე მისამართზე: ქ. ქუთაისი, ჯავახიშვილის ქუჩა N12, იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველო.

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

